კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“ ჯუბა უაგლა

# საქართველოს რესპუბლიკა

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

ორშაბათი
17 მარტი,
2003 წელი
№70
(4449)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

ფაქტი

## „მეისრე“, რომელსაც აკაკი ჩხაიძე ასორმოცდაათ ლარს უხდის


ლევან ლომაძის ფოტო.

**სიტყვა „მეისრე“ აქ სიმბოლურად ვახსენე. დიდი ხანია, რკინიგზაში ეს პროფესია „მუზეუმს“ ჩაბარდა – მისი ფუნქცია ავტომატიკამ იკისრა. მაგრამ დარჩა სპეციალობები, რომლებიც იმავე რკინიგზას ჰაერივით სჭირდება. ადამიანი, ვისზეც უნდა მოგითხროთ, სწორედ ასეთ „უბრალო“ საქმეს ემსახურება. ეს სათქმელად, თორემ, სინამდვილეში უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია.**

მაგრამ ვიდრე უშუალოდ პაატა ირემაშვილს გაგაცნობდეთ, ორიოდე სიტყვით უნდა შევეხო სიტუაციას, რამაც პარლამენტში მთელი დავიდარაბა გამოიწვია. მხედველობაში მაქვს მინიმალური ხელფასები. გინდა თუ არა, მაინც იკითხავ: თავის დროზე სად იყვნენ ის ადამიანები, ვინც სადღეისოდ ამ უტოპიურ წინადადებას აყენებენ? რომ მოხდეს სასწაული და მათი თავგამოდება პარლამენტმა ყურად იღოს, კაცმა არ იცის, რა სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდება არა მარტო ბიუჯეტი, არამედ ის ხალხი, ვისი „სიკეთისთვისაც“ ზოგიერთი ხელმოცარული პოლიტიკოსი იღვწის. არადა, ბრმა და ყრუც მიხვდება, რატომაც კეთდება ეს – კარზეა მომდგარი არჩევნები, მავანი და მავანი კი ტყავში ძვრება მხარდამჭერთა გადასაბირებლად...

ჰოდა, კიდევ ერთი კითხვა იბადება: სად იყვნენ ეს პოლიტიკოსები, რატომ არ იღებდნენ კანონებს, რომელთაც ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცება უნდა მოჰყოლოდა? ვინ დაუშალა, რომ უფრო ყურადღებით და საქმიანად მოჰკიდებოდნენ უფრო აქტუალური საკითხების გადაწყვეტას, რათა ხალხი გაჭირვებიდან ამოეყვანათ? ჩანს, მაშინ საამისოდ არ „ეცალათ“. ახლა ოპოზიციაში არიან, მთავრობის ლანძღვა კი დღეს ყველაზე იოლია.

აი, ახლა კი ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ პაატა ირემაშვილი, საქართველოს რკინიგზის ერთ-ერთი რიგითი მუშაკი, პროფესიითა და საქმიანობით – სამგზავრო სადგურის მებუნიკე. მისი მოვალეობა გაჩერებული სამგზავრო შემადგენლობის ბუნიკით ბლოკირებაა. სწორედ ბუნიკმა უნდა უზრუნველყოს ვაგონების საიმედოდ დამაგრება, როცა ელმავალს ჩახსნიან.

მე იგი თბილისის სამგზავრო სადგურის მთავარმა ინჟინერმა ვასილ გოგოლაძემ გამაცნო. საიმედო კაცია, თანაც – ოთხი შვილის მამააო.

– ზემო ხანდაკელი ვარ. მირიანის მეფრინველობის ფაბრიკაში ვმუშაობდი. ფაბრიკამ არსებობა შეწყვიტა და უსაქმოდ დავრჩი. ბიძაჩემმა, ამირან ბასიაშვილმა, რომელიც რკინიგზაში დისპეტჩერად მუშაობდა, შემაგულიანა, განცხადება დაწერე და უთუოდ მიგიღებენო.

იხ. მე-2 გვ.

ვიზიტის წინ

## ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ქამალ ხარაზი



**ქამალ ხარაზი** დაიბადა 1944 წელს ქალაქ თეირანში. 1969 წელს დაამთავრა თეირანის უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის ფაკულტეტი, 1972 წელს – იმავე უნივერსიტეტის მაგისტრატურა. 1976 წელს ქალაქ ჰიუსტონის უნივერსიტეტში მიიღო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი პედაგოგიკაში.

1972-78 წლებში იყო ამერიკის „მუსლიმ სტუდენტთა ასოციაციის“ აქტიური წევრი.

1978-1980 წლებში იგი იყო ირანის ტელერადიომაუწყებლობის (IRIB) კომპანიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ბავშვთა და ახალგაზრდობის ინტელექტუალური განვითარების ცენტრის უფროსი.

1980 წლიდან 1988 წლამდე (ერაყ-ირანის ომის დასასრულამდე) ბატონი ხარაზი იყო თავდაცვის უმაღლესი საბჭოს წევრი და გენერალური შტაბის სამხედრო პროპაგანდის სამსახურის უფროსი.

იმავე წლებში იგი ხელმძღვანელობდა ისლამური რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტო IRNA-ს.

1989-97 წლებში ბატონი ხარაზი ირანის ისლამური რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელია გაეროში.

1997 წლის აგვისტოში იგი დაინიშნა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.

მორიგი ხუთშაბათობა

## ენდე, მაგრამ შეამოწმე

**13 მარტის მორიგ ხუთშაბათობაზე, როგორც ვიუწყებოდით, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი ეწვია. როგორც ყოველთვის, ახლაც გაიმართა გულახდილი, საჭირბოროტო საუბარი სადღეისო პრობლემებზე, მათი მოგვარების გზებზე. პირველი შეკითხვა ეხებოდა საბაჟო დეპარტამენტის შემოწმების შედეგებს, რომლის ნაწილიც შაბათის ნომერში გამოვაქვეყნეთ. ამიტომ აქ მასზე აღარ შევჩერდებით და შემდგომ კითხვებს მივყვებით.**

იხ. მე-3 გვ.

თვალსაზრისი

## პარლამენტშოუ შუაღამისას, მილოშევიჩის გამოცდილება და სამამულო თეძოები

იხ. მე-2 გვ.

პოზიცია

## შპს „ლილი & კომპანია“ LILI & COMPANY LTD

## ერთმნიშვნელოვნად და კანონიერად მოვითხოვთ...

**შპს „ლილი და კომპანიამ“ წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო მინისტრს, ფინანსთა და სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრებს, რომელსაც დღეს გთავაზობთ და, რომელშიც, კერძოდ ნათქვამია:**

იხ. მე-13 გვ.

ანონსი

**ხვალ, 18 მარტს, ჩვენს გაზეთში გაეცნობით საქართველოს გენერალური პროკურატურის მასალებს „სხვადასხვა მაღალჩინოსნის მიერ ძალის გამოყენებით ხელისუფლების შესაცვლელად შეთქმულების მომზადებასთან დაკავშირებით“.**

**სხვებთან ერთად შემოგთავაზებთ პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის, ჟურნალისტ ირმა ნადირაშვილის და სხვათა ახსნა-განმარტებებს.**

უკანასკნელ საათს

**ესპანეთის** პრემიერ-მინისტრის აზრით, ერაყის თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუცია საჭირო არ არის. მისი თქმით, დამატებითი რეზოლუცია „სასურველია პოლიტიკური თვალთახედვით“, მაგრამ „სამართლებრივი თვალსაზრისით საჭირო არ არის“.



**ცენტრალური** აფრიკის რესპუბლიკაში მეამბოხეთა მეორე ცდას სამხედრო გადატრიალება მოჰყვა. სახელმწიფოს მეთაურად საკუთარი თავი წამოაყენა შეიარაღებული ძალების გენშტაბის ყოფილმა უფროსმა, გენერალმა ფრანსუა მოზიზემ, რომელმაც შარშან ოქტომბერში უშედეგოდ სცადა გადატრიალების მოწყობა.



ინტერპანორამა

**სერბეთის** მალო-ცრნიჩეს რაიონის სოფელ სმოლიანაცში დააპატიმრეს ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ზორან ჯინჯიჩის მკვლელობის ერთ-ერთი შემკვეთი მლაჯან მინიჩი თავისი ჯგუფის ექვს წევრთან ერთად.



**ბრიტანელთა** სულ უფრო ნაკლებ ნაწილს სურს, რომ მეფედ იხილოს პრინცი ჩარლზი. ქვეყნის მოქალაქეთა ასევე სულ უფრო მეტი ნაწილის აზრით, კარგი იქნება, თუ მონარქად მის უფროს ვაჟს აკურთხებენ.



**ერაყში** ომი დაიწყება 19 ან 20 მარტის გამთენიისას, – საჯარისო წყაროებზე დაყრდნობით იუწყება გაზეთი „სანდი ტელეგრაფი“.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ფაქტი

# „მეისრე“, რომელსაც აკაკი ჩხაიძე ასორმოცდაათ ლარს უხდის

(პირველი გვერდიდან)

დავწერე, მიმიღეს. 32 ლარი ხელფასი დამინიშნეს. კონსულტანტად ბონდო ტაბატაძე მომიჩინეს. ორი თვე ვსწავლობდი ჩემი მომავალი საქმიანობის ანა-ბანას. გავიდა ცოტა ხანი და ხელფასი 50 ლარამდე, მერე 80 ლარამდე გამიზარდეს, გავკეთდი კაცი! ჩემს ოთხ შვილს ზურაბს, ომარს, ალექსანდრესა და მარიამს ლუკმაპური გაუჩნდა. დიდ დროს არ გაუვლია და ანაზღაურება კიდევ გამიზარდეს – ახლა ასორმოცდაათი ლარი მაქვს...

ასე წარმომიდგინა რკინიგზაში თავისი ხუთწლიანი საქმიანობა პაატა ირემაშვილმა. ეტყობა, სათქმელი კიდევ ჰქონდა, ამიტომ საჩქაროდ დაამატა:

– მაგრამ მარტო ხელფასის იმედად როდი ვარ – 100 ლარს ბავშვების დახმარებას მაძლევენ. წამლები, ექიმი დამჭირდება და, უყურადღებოდ არც მაშინ მტოვებენ...

– უწუნო მუშაობისათვის ყოველწლიურად ვაჯილდოვებთ, – ხელი „წააშველა“ ვასილ გოგოლაძემ.

მერე, ჩვენს საუბარს უფრო საქმიანი სახე რომ მიეღო, პაატას სამუშაო უბანს ვეწვიეთ. ეს უბანი კი არც ისე „მოკლეა“ – სამგზავრო სადგურის მთელ სიგრძეზეა გადაჭიმული. დღეში ამ მონაკვეთის წაღმაუკუღმა გავლა უამრავჯერ უხდება. საქმეს ძალიან უიოლებს რაცია, რომლითაც დისპეტჩერს ნებისმიერ დროს უკავშირდება, დავალების შესრულებასაც პატაკობს და ახალ მითითებებსაც იღებს.

– ერთი სიტყვით, საჭირო კაცი ხართ, არა?

– რა თქმა უნდა. საპასუხისმგებლო საქმეა. თითოეული ბუნიკი აღრიცხული და დანომრილია. როგორც კი ბუნიკს ავიღებ, მორიგეს რაციით ვამცნობ და ბუნიკის ნომერი საგანგებო ჟურნალში შემაქვს. ხან დღე ვმუშაობ, ხან – ღამე. მორიგეობის მერე ერთ ან ორ დღეს ვისვენებ, გააჩნია, დღისით ვიმუშავებ თუ ღამე. ბრიგადაში ოთხნი ვართ – ირაკლი ჭუბაბრია, მამუკა მოდებაძე, ჯემალ ქანაშვილი და მე. რაც გიამბეთ, იმათთანაც შეგიძლიათ გადაამოწმოთ...

ეეჰ, ჩემო პაატა, განა მართლა ისე წახდა საქმე, რომ ერთმანეთისა აღარ გვჯეროდეს? მე კი მჯერა შენი, ჯერ ერთი ვასილ გოგოლაძის წარდგინების გამო, მეორეც და, რაც მთავარია, შენი გულწრფელობისა და სიალალის გამო, მაგ ნაჯაფი ხელების გამოც. ალალია შენზე ის 150 ლარი და დახმარებები, რკინიგზა რომ გიხდის. ხოლო იმათ, ვინც უსაგნო ლაყბობაში დროს ხარჯავს, უბრალოდ ვეტყვი: კარგი ხელფასების გაცემა მხოლოდ სავსე სალაროს შეუძლია. შეავსეთ ეს სალარო – ბიუჯეტი და ვინ დაგიშლით, ასთხუთმეტი კი არა, ათას-ათასი ლარი დაურიგეთ ხალხს!..

ოღონდ, „საქმით, ძამიკო საქმით“ და არა ლიტონი სიტყვით...

**ელგუჯა ლებანიძე.**

ინფორმაცია



### მოწვეულია პარლამენტის რიგგარეშე სხდომა

**საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, 80 დეპუტატის თხოვნის საფუძველზე, ხელი მოაწერა განკარგულებას სამშაბათიდან პარლამენტის რიგგარეშე სხდომების მოწვევის შესახებ.**

**როგორც ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარემ ვიტალი ხაზარაძემ განაცხადა, პარლამენტის სხდომის დღის წესრიგში შეტანილია „უპირველესი და მნიშვნელოვანი საკითხი“ – „აშშ-სა და საქართველოს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ რატიფიცირება.**

**ამასთან, ხაზარაძის ინფორმაციით, დღის წესრიგშია, აგრეთვე „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის საკითხი, ფრაქცია „მრეწველების“ მიერ მომზადებული საგადასახადო კოდექსის პროექტი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნის საფუძველზე „საბიუჯეტო სისტემების შესახებ“ კანონის მეორე მოსმენით განხილვა და „შრომის კანონში“ შეტანილი ცვლილებების – სახელფასო მინიმუმის გაზრდის საკითხი.**

### ყრილობა - მარტის ბოლოს

**„საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაცია“ (სმაკ-ი), რომელიც 7 ათასამდე წევრს აერთიანებს, მეექვსე ყრილობას მარტის ბოლოს გამართავს.**

### თბილისში დაიწყება...

**ფრანკოფონიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, რომელიც 20 მარტს აღინიშნება, თბილისში კვირას იწყება.**

**ღონისძიებები საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის თბილისის ცენტრის ორგანიზებით ტარდება.**

### კალაძე იმედოვნებს

**იტალიის „მილანის“ ქართველი ლეგიონერის კახა კალაძის განცხადებით, მისი მკურნალობის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და 29 მარტს, ირლანდიის ნაკრებთან ოფიციალური მატჩისას, მან, შესაძლოა, საქართველოს ნაკრებში თამაშიც შეძლოს.**

**ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.**

თვალსაწიერი

# პარლამენტშოუ შუაღამისას, მილოშევიჩის გამოცდილება და სამამულო თეძოები

**ეს იყო ოთხი დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო... საქართველოს საცოდაობით.**

**ეს იყო ოთხი დღე, რომელმაც მსოფლიოს დაანახა, რომ... საქართველოს საშველი არ იქნება ამ პარლამენტის ხელში. ხოლო იქიდან გამომდინარე, რომ მისი დღევანდელი შემადგენლობის დიდი ნაწილი შემოდგომაზე ხელახლა აპირებს კენჭისყრას და ჩვენს „გაბედნიერებას“, ეს საშველი, ალბათ, კარგა ხანს კიდევ არ დაგვადგება.**

ამ დღეების პარლამენტშოუმ თვალნათლივ გამოკვეთა: საკანონმდებლო ხელისუფლება, როგორც ასეთი – ევროპული და ამერიკული გაგებით (სხვათა შორის – აზიურითაც), ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს, ჩვენი პარლამენტი ჯერჯერობით ვაუ-ვაუ ტომის მეომართა ღრიანცელა ყრილობას ჰგავს, რომლის დღის წესრიგშიც ერთადერთი საკითხი დგას: ტყვედ ჩაგდებული მოწინააღმდეგე უმად შეჭამონ თუ მწვადად. ხმების უმრავლესობა კი ღრიალის, კბილთა ღრჭიალისა და შუბების ბრაგა-ბრუგის ხმოვანობით განისაზღვრება.

პარასკევის თითქმის სადღეღამისო სხდომამ ხომ სულ „დახურა“. იგი იმის თვალსაჩინოება იყო, თუ როგორ ავიწყდებათ დავის დროს თვით დავის საგანი – იმ დღეს ყბადაღებული „115 ლარი“ ყველას ფეხებზე ეკიდა, უმთავრესი „გამარჯვება“ იყო.

მგზნებარე გია ბარამიძეს არც დაუმალავს: – „ჩვენ გავიმარჯვეთ“! ანუ, რომ მოვთარგმნოთ, – გავიმარჯვეთ იმით, რომ საკითხი ჰაერში გამოკიდებული დარჩა და დიდი შანსია, ყველაფერზე თავისტეხა პრეზიდენტს მოუწიოს, საბოლოოდ მას შეეხოცოს ხელიო!

ცოდვას ვერ ვიქმ – არც მარად უშფოთველ კობა დავითაშვილს დაუწყია იწილო-ბიწილო: ბრძოლით მოპოვებულ გამარჯვებას უბრძოლველად არ დავთმობთ, ოპოზიციამ განგებ გააჭიანურა საკითხის განხილვა „შაბათამდე“ და ამით რაიმე გადაწყვეტილების მიღებას ჩაილურის წყალი დაალევინაო.

დიალაც ასე იყო, გააჭიანურა და, მართალია, ერთობ არგუმენტირებულად გამოვიდნენ „თემატური უმრავლესობიდან“ გოგი თოფაძე, ირაკლი მინდელი თუ ვახტანგ რჩეულიშვილი, უახლოეს პერიოდში შეუძლებელია ხელფასის მინიმუმის 115 ლარამდე გაზრდა, ამის ეკონომიკური საფუძველი დღეს არ არსებობს, მატება, ისიც თანდათან, ეტაპობრივად, შეიძლება მხოლოდ გაისიდან, როცა ახალი საგადასახადო სისტემა ამოქმედდებაო, მათი არავინ ისმინა.

საერთოდ, უმრავლესობა ამაოდ აწყდებოდა მიკროფონებთან თერმოპილეს დამცველი სპარტელებივით უდრეკად მდგარ ოპოზიციას.



ამიტომ, ალბათ, სრულიად სამართლიანი და გასაგებია უმრავლესობის წევრის ზეზვა ღუღუნიშვილის გულისტკივილით გაცხადებული, 4 დღეა ვკამათობთ, ვასაბუთებთ, არგუმენტები მოგვყავს, რათა პარლამენტმა დადგენილება მიიღოს, მაგრამ ამას ვერ ვაღწევთ, ამ დროს კი საკმარისი გახდა დეპუტატ კოღუაშვილის ერთი განცხადება, თავისთავად იქნებ სწორიც, რომ პარლამენტს გენერალური პროკურორისადმი მიმართვის შესახებ გადაწყვეტილება მიეღოო.

პარლამენტმა მთელი ამ უშველებელი (და უშედეგო) დღის მანძილზე პაუზა ვერ გამონახა, საქართველო-ამერიკის სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიცირებისთვისაც კი!

ერთი სიტყვით, ოპოზიციამ საბაბი იშოვა და სამომავლოდ (რა იცი, ხალხი ვართ!) „115 ლარის რევოლუციას“ ჩაუყარა საფუძველი...

ამას რომ ვამბობ, ეჭვის საფუძველიც მაქვს. თანაც ეს საფუძველი თვით დიდმა ოპოზიციონერმა მიხეილ სააკაშვილმა მომცა. მეც და სხვასაც.

14 მარტს, სწორედ მაშინ, როცა პარლამენტში პოზიცია და ოპოზიცია ერთმანეთს ხოცავდნენ, როცა ლევან პირველი, რომელსაც სპიკერმა სიტყვა არ მისცა, „გვამებზე გადავლით“ უშედეგოდ მიიკვლევდა გზას ტრიბუნისკენ, ბატონი მიხეილ სააკაშვილი მორჭმით იჯდა „რუსთავი-2“-ის „ღამის კურიერში“ და თბილისში ლიფტების, სახურავების და დედაქალაქის სხვა პრობლემებზე ლაპარაკობდა. პირდაპირ ვიტყვი: ლაპარაკობდა საინტერესოდ, არსებითად, მიმზიდველად.

მაგრამ მერე, როცა პარლამენტში მიმდინარე მოვლენების შეფასება სთხოვეს, ბატონმა მიშამ სახურავები და ლიფტები გვერდზე გადადო, რა თქმა უნდა, ოპოზიციის მოქმედება ძალიან მოიწონა და ხელისუფლებას თავისებურად შეუბერა.

და აქ მან, „სიტყვამ მოიტანა“ და ასეთი რამ თქვა: ახლახან ამერიკელებმა ბელგრადში მილოშევიჩის დამხობის გამოცდილების შესასწავლად ჩაგვიყვანეს მე და დავით გამყრელიძე (თუ ყურმა არ მომატყუა, სწორედ დავით გამყრელიძე თქვა), ორი დღით ვიყავით, სწორედ პრემიერ-მინისტრ ჯინჯიჩის მკვლელობის კვირაძალზეო.

ჰოდა, ახლა ვკითხულობ: რა უნდოდა სახურავებითა და ლიფტებით დაკავებულ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ბელგრადში მილოშევიჩის დამხობის გამოცდილების შესასწავლად? რატომ მაინცდამაინც ამ გამოცდილების? ვითომ ბელგრადში სხვა, სამსახურებრივად უფრო ახლობელი გამოცდილების შესწავლა არ შეიძლებოდა? თანაც, რატომ მაინცდამაინც – ახლა?..

კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა მოხდა ამ დღეებში ჩვენს უამრავი პრობლემით შეჭირვებულ დედაქალაქში – გაიმართა საქართველოში პირველი მოდების ჩვენების შოუ. პოდიუმზე ნახევრადშიშველი, თითქმის შიშველი და ფაქტობრივად შიშველი „თინეიჯერი“ გოგონები დაგოგმანებდნენ და გაჭედილ დარბაზს ელექტრონული ნაპერწკლებით მუხტავდნენ. თურმე სულაც არ გართულებულა მოდელების პოდიუმზე ასე შილიფად გასვლაზე დათანხმება – მათთან თურმე ფსიქოლოგები მუშაობდნენ, მშობლებთან კი – თვით მოდელები. ჩვენი უკომპლექსო ქალიშვილები ბედნიერი არიან, რომ პირველნი მონაწილეობენ ამ შოუშიო.

რა თქმა უნდა, ბედნიერი და ამაყი ვიყავით ჩვენც, შიშველ სამამულო წარმოების თეძოებსა და მათს მიმდებარე ადგილებს რომ ვუცქერდით. მადლობა წამოწყების მოთავეებს. ამ კურთხეულ დროში მხოლოდ ეს გვაკლდა სრული ბედნიერებისათვის და, აჰა, ესეც გვაქვს!..

ჰოდა, ჩვენზე უფრო ბედნიერი, კიდევ არის სადმე ერი?

**ალეკო ასლანიშვილი.**

კვირა




# რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი

**– რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? – „კვირას“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს ქეთი დოლიძე.**

### ქვეყნისთვის

– მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში არ ვერევი, რადგან ნაკლებად ვენდობი ჩვენს პოლიტიკოსებს, ვინაიდან ისიც კი გაუგებარია, თუ ვინ ვისთან არის და ვის რა სურვილი ამოძრავებს, ჩემთვის მაინც მტკივნეულია ის, რაც ბოლო ხანს საქართველოს პარლამენტში ხდება. გადაბრალება ადვილი საქმეა...

ცხადია, ნებისმიერი მოქალაქე უნდა მომხრე იყოს სოციალური პირობების გაუმჯობესებისა. მეჩვენება, რომ ამ ეტაპზე არგუმენტაციით უმრავლესობას უმცირესობა ჯობნის. ამ მიმართებით, ხალხისთვის უმრავლესობისა და უმცირესობის თანამშრომლობა უფრო შედეგიანი იქნებოდა, ვიდრე კონფრონტაცია და დაპირისპირება.

### ჩემთვის პირადად

– და მაინც, ყოველივე ეს ნამდვილად გადაფარა პეტრე ხოტიანოვსკისა და ინგა გარუჩავას პიესაზე „მიტევების დღეზე“ გურანდა გაბუნიასთან მუშაობამ. ამ მონოსპექტაკლით, ვფიქრობ, სიამოვნებას მიიღებს ის ხალხი, ვისაც ნამდვილი თეატრი უყვარს.

უდიდესი ტკივილი მომაყენა გოგი გეგეჭკორის გარდაცვალებამ და ჩემთვის, შინაგანად, მის ხსოვნას მივუძღვენი „მიტევების დღის“ პრემიერა, რომელიც გოგი გეგეჭკორის დასაფლავების დღეს დაემთხვა. მწამს, რომ ბატონ გოგის ჭეშმარიტად გაახარებდა ჩემი სპექტაკლის წარმატება.

ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუკი „მიტევების დღით“ ერთი სასიამოვნო ფურცელი მაინც ჩაიწერება ქართული თეატრის მატიანეში.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## მორიგი ხუთშაბათობა

# ენდე, მაგრამ შეამოწმე

(პირველი გვერდიდან)

**— ბატონო სულხან, ახლახან საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დააკავა „საქგაზის“ ყოფილი გენერალური დირექტორი გურამ ჩიჩუა. იგი მეორე დღესვე გაუშვა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ, რომელმაც ბრალდებულს გირაოს სახით 165.000 ლარი დაატოვებინა (საიდან მოაქვთ ასე სწრაფად ამდენი ფული, არავინ კითხულობს ამას). რას იტყვით, საერთოდ, ამ ფაქტზე და ხომ არ ჰქონია მასთან შეხება თქვენს უწყებას?**

— ესაა გახმაურებული „საქგაზის“ საქმე, რომელიც თავიდანვე ინიცირებულია კონტროლის პალატის მიერ. თუ არ ვცდები, ამის შესახებ სამჯერ გამოვედი მთავრობის სხდომაზე, რამდენიმე ინფორმაცია მივაწოდე საქართველოს პარლამენტსაც ამ სისტემაში არსებული დარღვევების შესახებ. რაც მთავარია, 2,5 წლის წინათ ჩვენს მიერ მოპოვებული, დანაშაულის უტყუარი ნიშნების შემცველი მასალები გადავეცით გენერალურ პროკურატურას სათანადო სისხლის სამართლებრივი პროცედურების განსახორციელებლად. „საქგაზის“ საქმეში ფიგურირებს არა მარტო გურამ ჩიჩუა, არამედ სხვა თანამდებობის პირებიც. აქ ჩვეულებრივი ფინანსური აფიორაა, რომლითაც ბიუჯეტმა იზარალა ნახევარ მილიონზე მეტი ლარით.

ჩვენი პოზიციის სამართლიანობა დადასტურებულია როგორც სასამართლო, ისე საბუღალტრო ექსპერტიზებით. პროკურატურამაც გულდასმით გამოიძია ეს საქმე, გურამ ჩიჩუა კიდეც დააკავა. და სწორედ მაშინ, როდესაც წინ აღარაფერი უნდა დადგომოდა ამ საქმის სასამართლო პერსპექტივას, კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ გირაოს საფუძველზე ბრალდებული გაათავისუფლა. მე მიკვირს იმ პოლიტიკური ძალებისა, რომლებიც ნებისმიერ უმნიშვნელო დარღვევაზე საქვეყნო აჟიოტაჟს ტეხენ, აი, ასეთ დროს კი პირში წყალს იგუბებენ. მე დიდი იმედი მქონდა, რომ საოლქო სასამართლო თავის სიტყვას აუცილებლად იტყოდა და ასეც მოხდა. სწორედ დღეს მან გურამ ჩიჩუას აღმკვეთი ღონისძიებების სახით 3-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა. სულ ახლახან საოლქო სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნა ძალზე პრინციპული და სამართლიანი პიროვნება, ქალბატონი მაია მწარიაშვილი და მწამს, რომ ამიერიდან საოლქო სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება ასეთივე პრინციპული და სამართლიანი, ამავე დროს ქვეყნისა და ხალხის ინტერესების უშუალო გამომხატველი იქნება.

ამის გაკეთება აუცილებელია, რადგან მსგავსი ფაქტები ძალზე უარყოფითად აისახება ჩვენი მუშაობის შედეგებზე. ის ხალხი, რომელმაც ეს შემოწმება ჩაატარა, პირდაპირ დაზაფრულია. ჭირს მათი მობილიზება შემდგომ შემოწმებებზე. იყო, მაგალითად, მეორე, ე. წ. ჩაჩხიანის საქმეც. ისიც გაათავისუფლეს. ჰოდა, მსგავს სიტუაციებში უკვე აშკარად ემუქრებიან კონტროლის პალატის მუშაკებს, რევიზორებს, — დაგიჭერთო, გაგანადგურებთო. იუსტიციის საბჭოში არის ისეთი სამსახურები, რომელთაც ევალებათ სასამართლო პრაქტიკის, დასჯითი პრაქტიკის განზოგადება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადავხედოთ ასეთ მოვლენებს და იქიდან სათანადო დასკვნები გამოვიტანოთ. კანონებიც უნდა შევცვალოთ. განა შეიძლება კაცი ერთნაირად აგებდეს პასუხს როგორც 11 ათასი ლარის მითვისებისათვის, ისე 11 მილიონი დოლარის დატაცებისთვის? საბოლოო ჯამში, საქართველო აგებს და ყოველივე ამას წერტილი მალე უნდა დაესვას.

**— კონტროლის პალატის მასალები, როგორც ახლახან თქვენვე ბრძანეთ, შემდგომი სამართლებრივი პროცედურების განსახორციელებლად იგზავნება გენერალურ პროკურატურაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში და ა. შ. არ შეიძლება, თქვენი მასალები, თქვენი დასკვნები უშუალოდ ჩაითვალოს მტკიცებულებებად, და ამის მიხედვით იმოქმედოს გამოძიებამ ან სასამართლომ, თორემ ზოგჯერ სისხლის სამართლის საქმეები თვეობით კი არა, წლობითაც ჭიანურდება.**

— ძალიან კარგი შეკითხვაა. მე პირადად ეს საკითხი წამოვჭერი და როგორც კი ვთქვი, რომ დასკვნები იმ სტრუქტურისა, რომელსაც სახელმწიფო თვლის უმაღლეს მაკონტროლებელ ინსტიტუტად და აქვს ლეგიტიმურობის უმაღლესი ხარისხი, ჩაითვალოს მტკიცებულებებად, იმავე წუთში ატყდა ვაი-უშველებელი, — აი, კონტროლის პალატა ითხოვს უფლებების გაფართოებასო და ზედ მოგვაყოლეს ლანძღვა-გინებაც. განა საოცარი არ არის ის ამბავი, რომ ნებისმიერი ნივთი, თუნდაც ქაღალდის უბრალო ნაგლეჯიც (თუ საქმისთვის საინტერესოა) ხშირად სასამართლოში ითვლება მტკიცებულებად და ამავე დროს მტკიცებულებად არ ითვლება უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს დასკვნები? კოდექსში მაინც ჩავწეროთ, ამით რა დაშავდება? მაგრამ არა, არ უნდათ!

**— ამბობენ, რომ უცხოეთში ჩვენთვის ნაყიდი ელექტროენერგია სხვაგან იყიდება და ჩვენ არ გვხმარდება, ან ტარიფში ერთი და იგივე დახარჯული თანხა ორჯერ იდება... არ შეიძლება ამ ფაქტების შემოწმება? დაიქანცა ჩვენი მოსახლეობა ამ ენერგოპრობლემებით.**

— ენერგოსისტემაში აღრიცხვიანობა ძალიან სუსტია. არავინ იცის, ქვეყანაში რამდენი შემოდის, რამდენი გადის. აქ არის ძალიან დიდი საფუძველი კორუფციული გარიგებებისათვის. ზაფხულობით დიდძალი დენი გადის თურქეთსა და სომხეთში, ასევეა გაზიც. როცა სპეციალისტები ამბობენ, რომ ამ დარგში დანაკარგები აღწევს 70 პროცენტს, ეს უკვე დანაშაულის აღიარებაა. ამაზე კომენტარის გაკეთებაც არ შეიძლება. ჩვენ მალე დავამთავრებთ „თბილგაზის“ შემოწმებას, რომლის მიმართაც „საქგაზთან“ ერთად აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მაშინ უფრო ნათლად გაირკვევა ყველაფერი. ამას საზოგადოება აუცილებლად შეიტყობს.

**— ბატონო სულხან, რას იტყვით საქართველოში განხორციელებულ ანტიკორუფციულ ღონისძიებებზე? რა ურთიერთობა გაქვთ უშუალოდ ანტიკორუფციულ საბჭოსთან?**

— მე ძალიან ვაფასებ ქვეყნის პრეზიდენტის ანტიკორუფციულ ინიციატივებს, იგივე 7-კაცას ან 12-კაცას შექმნას. თუნდაც ადრინდელ ინიციატივებს. 1992 წლის 7 მარტს ჩამოვიდა საქართველოში პრეზიდენტი და 16 მარტს უკვე შექმნა კონტროლის პალატა. ეს იყო გასაოცარი, პირველი ანტიკორუფციული ნაბიჯი. 1993 წელს მანვე მიიღო გადაწყვეტილება სასამართლოების დამოუკიდებლობის შესახებ. მაშინ სასამართლოებში თოფიანი ხალხი დადიოდა და რაც უნდოდა, იმას აკეთებდა. მას შემდეგ მოდის და მოდის ანტიკორუფციული სხვა ღონისძიებებიც, მაგრამ ამას, სამწუხაროდ, ზოგი ვერ ხედავს. ჩვენში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის შექმნილია შესაბამისი ინსტიტუტები და ეს ინსტიტუტები ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ ამ მავნე სენის დასაძლევად. ესაა ახლა მთავარი. აქედან გამომდინარე, მე ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ იმ კრიტიკას, რომელიც გაისმის ანტიკორუფციული საბჭოს მიმართაც. ისე კი, ზოგჯერ მიკვირს, რატომ უფრო ეფექტიანად არ იყენებს ანტიკორუფციული საბჭო კონტროლის პალატის მასალებს. ეს გაცილებით მომგებიანი იქნებოდა ქვეყნისათვის.

**— თქვენ ახლა განახორციელეთ სისტემის რეფორმა. საიდან აიღეთ თარგი? თუ არსებობს უცხოეთში მსგავსი სტრუქტურები, თანაც ეფექტიანი, ყველასთვის მისაღები...**

— მიუხედავად იმისა, რომ ცივილიზებულ, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში არ უჭირთ არც ბიუჯეტის სწორად შედგენა და არც საბიუჯეტო თანხების მიზნობრივად ხარჯვა, მაინც ყველგან არის უმაღლესი მაკონტროლებელი სტრუქტურა. ბრიტანეთში მას ჰქვია ეროვნული აუდიტორული ოფისი, პოლონეთში — კონტროლის პალატა, რუსეთში — საანგარიშო პალატა, ესპანეთში — ეროვნული აუდიტორული სასამართლო, საფრანგეთში — საბიუჯეტო დისციპლინის სასამართლო, ამერიკაში — გენერალური კონტროლის სამსახური... ფული ყველა ქვეყანაში არის ცდუნების საგანი, ამიტომ ყველგანაა უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანო და ასეთი ორგანო აუცილებელია ჩვენისთანა ქვეყნისთვისაც, რომელიც რთულ, გარდამავალ პერიოდში იმყოფება.

ჩვენ რეფორმირების თარგი ავიღეთ უცხოეთისგან, მაგრამ იგი განვახორციელეთ ძალზე მოკრძალებულად. დაჯდა ძალიან იაფი, 35 ათასი დოლარი, რომელიც არ გახლდათ კრედიტი. შეფასება? ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენელი აგზავნის შეტყობინებას თეთრ სახლში და ამბობს, რომ კონტროლის პალატაში ჩატარებული რეფორმა არის საქართველოში ჩატარებულ რეფორმათაგან ყველაზე გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. ასეთმა რეფორმამ დიდი შედეგი მოიტანა. თუ ადრე ჩვენი გადაგზავნილი მასალებიდან სისხლის სამართლის საქმეები აღიძვრებოდა მხოლოდ 10 პროცენტზე, ახლა აღიძვრება 40 პროცენტზე. ბოლო წლებში 300-მდე თანამდებობის პირი გაანთავისუფლეს ჩვენი დასკვნების საფუძველზე. მათგან ყველაზე დაბალი რანგისა მთავარი ბუღალტერია. მარტო სასაზღვრო დეპარტამენტმა 25-მდე მაღალჩინოსანს დაატოვებინა დაკავებული პოსტი. ახლა ბიუჯეტში ორჯერ მეტი თანხა შეგვაქვს. აღარ ვლაპარაკობ კონტროლის პალატის ახალ შენობაზე და თანამშრომელთა სამუშაო პირობების მკვეთრად გაუმჯობესებაზე.

**— თქვენ აკონტროლებთ მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციებს. არადა, ხშირად ქვეყანას, მის ბიუჯეტს უდიდეს ზიანს აყენებენ კერძო კომპანიებიც, ფირმებიც. სადმე, რომელიმე ქვეყანაში თუ ერევიან მათს საქმიანობაში?**

— კერძო სექტორი ძალზე ავტონომიური, ძალზე კარჩაკეტილი სფეროა. მათი საქმიანობის გაკონტროლება ერთობ სათუთი საქმეა. არ უნდა დავაზიანოთ ის, რასაც საბაზრო ეკონომიკა ჰქვია. ამასთან, არც ისაა დასამალი, რომ უმეტესად ამ სფეროში ხდება ფულის გათეთრება და კიდევ სხვა ამგვარი დარღვევა. ჩემი აზრით, თუ სახელმწიფო სახელმწიფოა, მან კანონის ფარგლებში მაინც უნდა გააკონტროლოს კერძო სექტორიც.

**— ჯერაც არ ჩამცხრალა საუბარი სახელმწიფო შეთქმულებაზე, რომელშიც თურმე თქვენც მონაწილეობდით. რას იტყვით ამის შესახებ?**

— ბოლო ხანს ბევრ რამეს მაბრალებენ. ვფიქრობდი, კიდევ რა უნდა მოიგონონ-მეთქი, მაგრამ მოიგონეს. გაოცებას ვერ ვფარავ. ამას ნამდვილად არ მოველოდი. მოფიქრება ხომ გინდა! ესაა ე. წ. შავი პიარი, რამდენიმე პოლიტიკური ძალის მიერ დაგეგმილი. ნაკლოვანებები ბევრგანაა, მათ შორის ჩვენს სისტემაშიც, მაგრამ ის, რომ მე შეთქმულებაში ვმონაწილეობდი, წმინდა წყლის პროვოკაციაა. და მე ამას სერიოზული რეაქცია მივეცი ტელევიზიითაც, მთავრობის სხდომაზე გამოსვლითაც... ახლა თქვენი გაზეთითაც ვთხოვ პროკურატურას, — არ ჰყავს ავტორები ამ ცილისწამებას? არ უნდა აგონ მათ პასუხი?



**— ბატონო სულხან, მოდით, ცოტა გადავუხვიოთ ყოველდღიური საქმიანობიდან. გვაინტერესებს თქვენი მინი-ფეხბურთის გუნდის ამჟამინდელი მდგომარეობა. იგი, თუ არ ვცდებით, ძალზე პერსპექტიულად გამოიყურება...**

— ეს გუნდი არის ჩვენი ქვეყნის ორგზის ჩემპიონი. წლევანდელი ჩემპიონატის პირველი წრეც ერთპიროვნული ლიდერობით დავამთავრეთ. ალბათ, ისიც იცით, რომ პირველად საქართველოს ისტორიაში ჩვენი გუნდი — „იბერია-2000“, გავიდა ჩემპიონთა ლიგაში, სადაც დაამარცხა ბელორუსები, ფრე ითამაშა რუსებთან და დამარცხდა პორტუგალიელებთან. ეს იყო პირველი გასვლა ევროპულ სარბიელზე. ერთი უწყების კვალობაზე მართლაც შესანიშნავი შედეგია.

**— თავად თუ „მისდევთ“ სპორტს?**

— ვარ პირველთანრიგოსანი მოცურავე, სპორტის ოსტატობის კანდიდატი კალათბურთში და ახლახანს „დავდექი“ თხილამურებზეც. მართალია, მე და ლადო ჭანტურიამ გვერდები გემრიელად დავიჭეჭყეთ, მაგრამ მალე, ალბათ, წაუქცევლად ვისრიალებთ.

**— ოჯახი?**

— მყავს სამი შვილი, მეუღლე. სულ ეს არის!

**ბატონმა სულხან მოლაშვილმა რამდენიმე შეკითხვა პასუხის გასაცემად თან გაიყოლა, რამდენიმე შემკითხველი კონტროლის პალატაშიც დაიბარა, ჩვენს რედაქციას კი ძველებურად მუდმივი თანამშრომლობა აღუთქვა, რაც ჩვენც სიამოვნებით მივიღეთ.**

**ბონდო გულიაშვილი.**

## მსოფლიო შტრიხებში



### ისაკ ნიუტონმა ისევ შეაზანზარა მსოფლიო

**ამას წინათ კაცობრიობამ აღნიშნა გენიალური მეცნიერის ისაკ ნიუტონის დაბადებიდან 360 წლისთავი. ამ დღეებში კი მან თავი ისევ შეგვახსენა. როგორ? დედამიწის მიზიდულობის კანონის აღმომჩენის 4,5 ათას ხელნაწერს შორის, რაც მისი სიკვდილის შემდეგ აღარ გაურჩევიათ, იერუსალიმელმა მკვლევარებმა აღმოაჩინეს ქაღალდის ნაგლეჯი, რომელზეც მითითებული იყო სამყაროს დასასრულის ზუსტი თარიღი (?!). პატივცემული ისაკის აზრით, ის 2060 წელს უნდა დადგეს.**

**ამ უშავეს თარიღს წინ უნდა უსწრებდეს გამანადგურებელი ომები და გლობალური ეპიდემიები. შემდეგ დედამიწას უნდა მოევლინოს მესია, რომელიც მარტო მიხედავს მთელ პლანეტას.**

**როგორც ყოველი ადამიანი, არც ბრძენი ინგლისელი იყო დაზღვეული შეცდომებისაგან. ერთ-ერთმა მათგანმა, მაგალითად, ძალზე დაამუხრუჭა ოპტიკის განვითარება, მეორეს მიხედვით კი, მთვარე აუცილებლად უნდა დაეცეს ჩვენს პლანეტას.**

**ღმერთმა ქნას, რომ დიდი მეცნიერი აქაც ცდებოდეს.**

### ჩინეთი კვლავ სახალხო ბრძოლას აცხადებს

**ალბათ, ბევრს გახსოვთ, როგორ გამოუცხადეს ჩინეთში საერთო-სახალხო ბრძოლა ბეღურებს, შემდეგ, თუ არ ვცდებით, მათი მოსპობის გამო მომრავლებულ ბუზებს შეუტიეს, ახლა კი მოსახლეობით მსოფლიოს ეს უდიდესი ქვეყანა ბრძოლას უცხადებს ე. წ. საღეჭ რეზინს — კევს. ჩინელ მეცნიერებს დაევალათ, უახლოეს 18 თვეში შეიმუშავონ ქიმიკატი, რომელიც გახსნის „ქუვაჩკას“.**

**თითქოს და უცოდველმა კევმა ეს კატეგორიული ზომები იმით დაიმსახურა, რომ შარშან, ეროვნულ დღესასწაულზე პეკინის მთავარ მოედანზე ზეიმის მონაწილეებმაც და ტურისტებმაც, უკაცრაული პასუხია და, 600 ათასი საღეჭი რეზინი გადმოაფურთხეს, მოედნის გასუფთავება კი ქალაქს 120 ათასი დოლარი დაუჯდა.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 70, ორშაბათი, 17 მარტი, 2003 წელი.

ფინანსები

# 17 მარტიდან საერთაშორისო ბაზრებზე ათვლის ახალი თარიღი იწყება

***ერაყის კრიზისის დაწყების დღიდან საერთაშორისო საფინანსო ბაზრების განწყობას უმეტესწილად ეკონომიკური კი არა, პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციები განაპირობებდა. ინვესტორები ფინანსთა მინისტრებისა თუ ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელთა გამოსვლებზე მეტად, საგარეო საქმეთა თუ სამხედრო უწყებების ხელმძღვანელების გამოსვლებს ადევნებდნენ თვალს. ამ უკვე ადაპტირებული ჭეშმარიტების, შეიძლება ითქვას, კლასიკური დადასტურება იყო გასული კვირაც, როდესაც ერაყის კრიზისთან დაკავშირებული ცხელ-ცხელი ინფორმაციების ფონზე რადიკალურად იცვლებოდა სიტუაცია საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე.***

გასული კვირის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების საფონდო ბაზარზე სავაჭრო სესია ომისწინა ჭექა-ქუხილის ატმოსფეროში წარიმართა. დაძაბულობამ გეოპოლიტიკურ ფრონტზე ერაყის კრიზისის დაწყებიდან უმაღლეს ზღვარს მიაღწია. უკვე ორშაბათს, კვალიც კი აღარ ჩანდა იმ მცირედი ამოსუნთქვის, რაც ინვესტორებს იმის წინა კვირას გაეროს უშიშროების საბჭოში რეზოლუციის ახალი, ანგლო-ამერიკული პროექტის წარდგენის შემდეგ შეექმნათ.

ახალი პროექტი, რომელიც შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა უშიშროების საბჭოში ესპანეთის მხარდაჭერით წარადგინეს, ერაყს მშვიდობიანი განიარაღებისათვის ბოლო ვადად 17 მარტს უყენებს. თუ ბაღდადი ამ დროისათვის სრულიად არ განიარაღდება, როგორც ქვეტექსტში იკითხება, მის წინააღმდეგ ძალა იქნება გამოყენებული. უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ, ახალი რეზოლუცით დათქმული ბოლო ვადის გამო მტანჯველი გაურკვევლობის შეგრძნებისაგან დროებით გათავისუფლებული ინვესტორები აქტიურად ჩაერთვნენ სავაჭრო პროცესში, რამაც 7 მარტს ძირითადი საფონდო ინდექსების ზრდა განაპირობა, მაგრამ უკვე კვირის დასაწყისში პირველივე სავაჭრო სესიაზე დაძაბული, ვოლატილური ბაზარი კვლავ საწინააღმდეგო მიმართულებით გაიხარა.

ინვესტორების განწყობის შექმნაში წინა პლანზე გადმოიწია იმ სერიოზულმა პრობლემებმა, რომელიც შეერთებულ შტატებს უშიშროების საბჭოში შეექმნა: მაშინ როდესაც ამერიკული ადმინისტრაცია მთელი ძალიასხმევით უმტკიცებდა საბჭოს წევრებს ახალი რეზოლუციის მიღების აუცილებლობას, საფრანგეთმა ერაყის მიმართ ანგლო-ამერიკული ულტიმატუმის საწინააღმდეგო სააგიტაციო კომპანია დაიწყო. ამასთან, საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის განცხადებამ აღარავითარი ეჭვი აღარ დატოვა იმისა, რომ საფრანგეთი ვეტოს უფლებას გამოიყენებს. ოფიციალური ვერსიით, იგივეს რუსეთი და ჩინეთიც აპირებს. მკაცრმა ოპოზიციამ აიძულა შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ცვლილებები შეეტანა რეზოლუციის განხილვის გეგმაში. როგორც ჯერ კიდევ ორშაბათს შეერთებული შტატების ელჩმა გაეროში ჯორჯ ნეგროპონტემ განაცხადა, ამერიკის ადმინისტრაციამ გადადო უშიშროების საბჭოში სამშაბათისათვის დაგეგმილი კენჭისყრა და თავისი აგიტაციის დამატებითი არგუმენტების ძებნა დაიწყო.

უშიშროების საბჭოში ცხარე ბრძოლების ფონზე გეოპოლიტიკური ატმოსფერო ჩრდილოეთ კორეაში სამხედრო რაკეტის გამოსაცდელმა გაშვებამაც გაამუქა, რაც ფხენიანმა ბოლო ორი კვირის განმავლობაში იაპონიის ზღვაში უკვე მეორედ გააკეთა.

პრობლემების გართულებამ, რომელსაც შეერთებული შტატები საერთაშორისო სარბიელზე წააწყდა და ომის მოახლოებამ ბუშის სამხედრო გეგმების მიმართ მკვეთრი ოპოზიციის პირობებში, ახალი რისკები წარმოშვა საფინანსო ბაზრებზე და საფონდო ინდექსების მორიგი დაცემა განაპირობა. დაცემა განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო სამშაბათს, როდესაც რიგი კომპანიების მიერ საპროგნოზო საფინანსო მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ, Dow Jones-ის ინდექსი ხუთწლიან მინიმუმამდე, 7524.06 პუნქტამდე, ხოლო Nasdaq-ი 1271. 47 მაჩვენებლამდე დაეცა.

სავაჭრო სესიის განმავლობაში General Motors-ის აქციების კურსი 2.5%-ით დაეცა 29.75 დოლარამდე, რაც 1993 წლის შემდეგ მინიმალურ მაჩვენებელს წარმოადგენს.

ანალიტიკოსები ერაყში საომარი მოქმედებების დაძრული მუქარის ფონზე ყველაზე მეტად ავიაგადაზიდვების სექტორის კომპანიების აქციების შემცირებას ელოდებიან.

უკვე შუა კვირაში ერაყის გარშემო შექმნილი საერთაშორისო დაძაბულობის შედარებითმა განმუხტვამ შეერთებული შტატების საფონდო ბაზრების გამოცოცხლება განაპირობა. ოთხშაბათის ვაჭრობის მონაცემებით, ძირითადმა საფონდო ინდექსებმა უმნიშვნელო ზრდა დააფიქსირეს. ზრდა უფრო შთამბეჭდავი იყო კვირის ბოლოსაკენ, როდესაც ხუთშაბათის სავაჭრო სესიის შემდეგ, Dow Jones-ის ინდექსი 269.68 პუნქტით, ანუ 3.6%-ით გაიზარდა 7821.75 -მდე, ხოლო Nasdaq-ი 61.53 პუნქტით, ანუ 4.8%-ით 1340.77 მაჩვენებლამდე. შედეგად, „ცისფერი კოჭების“ ინდექსმა კვირის დასაწყისდან 82, ხოლო მაღალტექნოლოგიების Nasdaq-მა 36 პუნქტით მოიმატა.

ინვესტორების მზარდი რწმენა იმისა, რომ ერაყის პრობლემა შესაძლოა უახლოეს პერიოდში გადაიჭრას, ტელეკომპანია CNN-ის ინფორმაციამაც განაპირობა. როგორც ტელეკომპანიამ ამერიკულ წყაროებზე დაყრდნობით განაცხადა, მიმდინარეობს მოლაპარაკებები ერაყის არმიის ზოგიერთი ქვედანაყოფის კაპიტულაციის შესახებ, რამაც შეერთებული შტატების აქციების ბაზარზე კოტირებების აქტიური ზრდა განაპირობა. Dow-ს შემადგენელი 30 კომპონენტიდან ზრდა 27-ის აქციების კოტირებებზე დაფიქსირდა, ამასთან 11 მათგანზე თითქმის 5%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

ნიუ-იორკის საფონდო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობამ 1.74 მლრდ. აქცია შეადგინა. გაზრდილი აქციების თანაფარდობამ დაცემულთან შედარებით 12/5-თან შეადგინა.




იხ. მე-7 გვ.

უცნობი ისტორია

# ბრძოლა კავკასიისათვის

## (1942–1943 წლები)

მიუხედავად იმისა, რომ „ბერგმანის“ სადესანტო ჯგუფმა დიდი დანაკარგები განიცადა გროზნოს ნავთობსახდელი ქარხნის დაცვის ასეულის საპასუხო ცეცხლით (პარაშუტისტებს ჯერ კიდევ ჰაერში აუტეხეს სროლა), ხოლო გროზნოსაკენ გერმანული ჯარების გარღვევის ცდა 25-27 სექტემბერს მარცხით დამთავრდა, რაზმმა ჩეჩენ მეამბოხეთა დახმარებით მოახერხა მდევარს გასცლოდა. ობერლეიტენანტმა ლანგემ თავისი ჯგუფის დანარჩენ წევრებთან ერთად ჩეჩენ მეამბოხეთა რაზმების ხელმძღვანელობასთან, მათ შორის, კავკასიელ ძმათა განსაკუთრებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ხ. ისრაილოვთან (ტერლოევთან) შეხვედრა შესძლო. მოილაპარაკეს მათთან შემდგომ მოქმედებებზე და ლანგეს ჯგუფი ბრძოლებით გაიჭრა თავისიანებისაკენ, საბჭოთა და გერმანიის ფრონტის ხაზს მიღმა.

ამასთან, ბერგმანელებმა მოახერხეს, თან წაეყვანათ წითელი არმიის რიგებიდან ნებაყოფლობით გადმოსული რამდენიმე ასეული ქართველი, აზერბაიჯანელი და ჩრდილოკავკასიელი, შემდგომში ბატალიონის რიგები რომ შეავსეს.

თავის მემუარებში ამასვე ადასტურებს „ბერგმანის“ ყოფილი ობერლეიტენანტი გ. გაბლიანი, რომლის სიტყვებითაც: „ჯგუფმა ადვილად მოახერხა ჩრდილოკავკასიელებთან კავშირის დამყარება, თანაც ბევრი ნებაყოფლობით შეუერთდა მათ კრემლის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

ლანგეს მისიის შედეგად გერმანიის სარდლობა თვალნათლივ დარწმუნდა, თუ როგორ სძულთ ჩრდილოკავკასიელებს კრემლის რეჟიმი.

* * *

სადაზვერვო-დივერსიული სპეცდავალებების შესრულებასთან ერთად, ბატალიონის მეთაურები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პროპაგანდისტული ხასიათის ოპერაციებს, რომლებიც მიმართული იყო წითელი არმიის იმ ნაწილების გახრწნადაშლისაკენ, რომლებიც კავკასიელებისაგან შედგებოდა, ვერმახტის მხარეს მათი გადასვლის მიზნით. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ პროპაგანდისტული აქცია, რაც მოზდოკის სამხრეთით, თერგზე მდებარე პლაცდარმზე დისლოცირებულმა „ბერგმანის“ მე-4 და მე-5 ქართულმა ასეულმა განახორციელეს. იმ პროპაგანდის შედეგად, ხმამაღლამოლაპარაკეების საშუალებით ქართულ ენაზე რომ წარმოებდა, ბერგმანელმა პროპაგანდისტებმა დიდი გავლენა მოახდინეს 414-ე ქართულ მსროლელთა დივიზიის ჯარისკაცებზე, რომელსაც 1942 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ფრონტის ხაზი ეკავა იშერსკის სამხრეთით, ბენო-მურტის – მენდარ-იურტის რაიონში. კერძოდ, როგორც გერმანელთა მხარეზე გადასულთა ჩვენების საფუძველზე გერმანიის დაზვერვის მიერ შედგენილი ცნობები მოწმობს, ბერგმანელთა პროპაგადისტული აქციის ზეგავლენით 414-ე დივიზიის 1367-ე პოლკის ქართველი ოფიცრები ფარულად შეთანხმდნენ „პირველი შესაძლებლობისთანავე ნაწილის პირად შემადგენლობასთან ერთად გადასულიყვნენ გერმანელთა მხარეზე“. ამ პერიოდში ვერმახტის მხარეზე გადასული ქართველი წითელარმიელები ასევე ამტკიცებდნენ, რომ დივზიის „პირადი შემადგენლობის უმრავლესობა გადავიდოდა გერმანელთა მხარეს, როგორც კი ამის შესაძლებლობა შეიქმნებოდა“.

გერმანელთა მხარეს გადასულთა ცნობები მთლიანად დადასტურდა 1942 წლის 24 დეკემბერს: იშერსკაიასა და ტომაშევოს მახლობლად, 135,2 სიმაღლეზე შეტევის დროს დივიზიის 1375-ე მსროლელთა პოლკის მე-3 ბატალიონის უდიდესი ნაწილი თავის მეთაურის წინამძღოლობით გერმანელთა მხარეს გადავიდა.

ვერმახტის მხარეზე გადავიდა 414-ე დივიზიის ერთ-ერთი საარტილერიო ბატარეის პირადი შემადგენლობა მეთაურთან ერთად.

ამის შედეგად, აშკარა არასაიმედობის გამო 414-ე საბჭოთა ქართული დივიზია ფრონტის დაკავებული უბნიდან მოიხსნა და აზერბაიჯანული დივიზიით შეიცვალა, რომელიც შემდეგ ასევე მოხვდა „ბერგმანის“ აზერბაიჯანული ასეულის პროპაგანდისტულ დაბომბვაში.

ამ პროპაგანდისტული აქციისათვის „ბერგმანის“ მე-4 და მე-5 ქართულმა ასეულებმა 52-ე საარმიო კორპუსის მეთაურის, ინფანტერიის გენერლის ოტტის განსაკუთრებული ქება დაიმსახურა.

შენაერთის საბრძოლო დამსახურების აღიარებად უნდა ჩაითვალოს პირველი სატანკო არმიის სარდლობის



ქართული ლეგიონის ერთ-ერთი ასეულის მეთაური, გამოწყობილი ვერმახტის ტროპიკულ ფორმაში, რასაც იყენებდნენ სსრ კავშირის სუბტროპიკული კლიმატის რეგიონებში მოქმედი გერმანული ნაწილებისათვის.

1942 წლის 29 სექტემბრის ბრძანება, რომელიც ტ. ობერლენდერს ავალებს მათ მხარეზე გადასულებისა და ადგილობრივი მოსახლეობიდან „ბერგმანის“ უკვე არსებული ქვედანაყოფის დამატებით ჩამოაყალიბოს ოთხი მსროლელთა ასეული, თითოეული 200 კაცით – ქართული, ჩრდილოკავკასიური, აზერბაიჯანული და შერეული სათადარიგო და იმდენივე ცხენოსანთა ესკადრონი – ერთი ქართული (მეთაური – თავადი მ. დადიანი) და სამი ჩრდილოკავკასიური.

ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა, 1942 წლის ბოლოსათვის ბატალიონი გადაეკეთებინათ სამბატალიონიან პოლკად, რომელიც 2450 კავკასიელსა და 240 გერმანელს ითვლიდა (ბატალიონები: „ბერგმანი I“ – ქართული, „ბერგმანი II – აზერბაიჯანული, „ბერგმანი“ III – ჩრდილოკავკასიური).

1942, წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, „ბერგმანის“ მიერ დასახული ძირითადი სადაზვერვო-დივერსიული ოპერაციის შესრულების შემდეგ, შენაერთი გამოიყვანეს აბვერის იურისდიქციიდან და სახმელეთო ჯარების უმაღლეს სარდლობას დაუმორჩილეს.

1943 წლის 1 იანვრის შემდეგ, როცა გერმანიის სარდლობამ კავკასიიდან ვერმახტის უკანდახევის ბრძანება გასცა, ქვედანაყოფი „ბერგმანი“ უკანდახეული ჯარების არიერგარდულ დაცვას ახორციელებდა. 1943 წლის 2 თებერვალს ტამანის ნახევარკუნძულიდან შენაერთი ყირიმში გადაიყვანეს და ნახევარკუნძულზე გერმანიის ჯარების სარდლობას დაუქვემდებარეს. მას იყენებდნენ საბჭოთა პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად ბახჩისარაი-იალტის გზატკეცილის რაიონში, აგრეთვე, ნაწილობრივ, ჯანკოის ჩრდილოეთით საზღვაო სანაპიროს დასაცავად.

### ქართული ლეგიონის 795-ე საველე ბატალიონი

ქართული ლეგიონის პირველი საველე ბატალიონი, რომელიც გერმანიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ კავკასიისათვის ბრძოლაში აამოქმედა, იყო 795-ე ქვეითი ბატალიონი, რომელიც, პოლონეთიდან პიატიგორსკში ჩასვლის შემდეგ, 1942 წლის 10 სექტემბერს მიამაგრეს ვერმახტის 23-ე სატანკო დივიზიას (მე-3 სატანკო კორპუსი, პირველი სატანკო არმია), იმ დროს ფრონტის ბაქსანის მონაკვეთზე რომ იბრძოდა. ეს ბატალიონი, რომელიც 934 ქართველისა და 41 გერმანელისგან შედგებოდა, დასავლეთ გერმანელი სამხედრო ისტორიკოსის ი. ჰოფმანის თქმით, მთლანად იყო დაკომპლექტებული პირადი შემადგენლობით და მშვენივრად შეიარაღებულიც. ბატალიონის გერმანელი მეთაური იყო ობერლეიტენანტი შირი – დიდი საბრძოლო გამოცდილების მქონე ოფიცერი. ქართულ პირად შემადგენლობას პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა ბატალიონის ქართველი მეთაური, პოლკოვნიკი შ. მაღლაკელიძე.

მიუხედავად იმისა, რომ 14 აგვისტოს ანგარიშში, რომელიც მომზადებული იყო გენერალ-საგუბერნატოროს (პოლონეთი) გერმანული სამხედრო ხელისუფლების მიერ, აღინიშნა ბატალიონის უნარი სამხედრო ამოცანების შესასრულებლად, ლეგიონერებთან მუშაობის პირადი გამოცდილების საფუძველზე პოლკოვნიკი მაღლაკელიძე და ობერლეიტენანტი შირი თავიანთ პატაკში მიუთითებდნენ სერიოზულ ნაკლოვანებებსა და შეცდომებზე, რაც დაშვებული იყო ამ ნაწილის დაკომპლექტებისას. კერძოდ, როგორც პოლკოვნიკი მაღლაკელიძე აღნიშნავდა, თუ ნაკლოვანებებს არ აღმოფხვრიდნენ, ფრონტზე მიმავალი ქართული ბატალიონებიდან ამ პირველს „სარგებლის ნაცვლად შეიძლება ზიანი მოეტანა ბოლშევიზმის წინააღმდეგ გერმანულ-ქართული ბრძოლის საერთო საქმისათვის“. აბვერის ოფიცერთა შეხედულებით, ბატალიონის პირადი შემადგენლობის მესამედი, ანუ დაახლოებით 300 კაცი პოლიტიკურ-მორალური და სამხედრო თვალსაზრისით ნდობას არ იმსახურებს, ხოლო „საუკეთესო საბჭოთა ტრადიციებზე“ აღზრდილი ყოფილი წითელარმიელების ქართულ პატრიოტულ გრძნობებზე ლაპარაკიც არ ღირსო. შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავლად პოლკოვნიკს ნაწილებიდან იმ არასაიმედო ელემენტების განდევნა მიაჩნდა, რომლებიც, მისი აზრით, უნდა გადაიყვანონ არასაბრძოლო, საგზაო-სამშენებლო ბატალიონის შემადგენლობაში.

ამას გარდა, ასეულების, ოცეულებისა და ათეულების ქართველი მეთაურების პროფესიული თვისებების გამორკვევამდე, ისინი უნდა იყვნენ გერმანელი ოფიცრების უშუალო სამხედრო კონტროლის ქვეშ. საერთოდ კი, საბრძოლო მოქმედებებში ჩართვის დაწყებით სტადიაზე ბატალიონი უნდა გამოიყენონ ეტაპობრივად და დიდი სიფრთხილით.

ამ დაკვირვებების საფუძველზე, ობერლეიტენანტი შირი აღნიშნავდა, რომ ნაწილის დაკომპლექტებისას გერმანიის სარდლობის ძირითადი შეცდომა იყო მოხალისეობის პრინციპის დაუცველობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბატალიონში ჩარიცხვისას ხშირად უპირატესობას ანიჭებდნენ არა ჭეშმარიტად პოლიტიკურ რწმენას, არამედ ყოფილი წითელარმიელების ეროვნულ წარმომავლობას და მაინც, როგორც ობერლეიტენანტი დივიზიის მეთაურის, პოლკოვნიკ ფ. ფონ ბოდენჰაუზენის სახელზე გაგზავნილ მოხსენებაში წერდა, თუ განხორციელდებოდა აუცილებელი ზომები: ბატალიონიდან არასაიმედო ლეგიონერების მოშორება, ინტენსიური ოთხკვირიანი საბრძოლო მომზადება, აგრეთვე შესაბამისი პროპაგანდისტული ღონისძიებები ქართულ ენაზე, მაშინ 795-ე ბატალიონიდან ბრძოლისუნარიანი ნაწილის შექმნა სავსებით შესაძლებელიაო.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 51, 58, 63.

იხ. მე-10 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

2003 წლის 11 მარტი — ქ. თბილისი

## საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 16 მარტის №113 ბრძანებულების გაუქმებისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების შევსება

1. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლისა და მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რიგი სახელმწიფო უწყების სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით დამტკიცდეს იმ თანამდებობის პირთა თანდართული თანამდებობრივი რეესტრი, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების შევსება და თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში წარდგენა.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 16 მარტის №113 ბრძანებულება და ამ ბრძანებულებით დამტკიცებული „იმ თანამდებობის პირთა რეესტრი , რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების შევსება და თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში წარდგენა“.

3. ამ ბრძანებულებით დამტკიცებულ თანამდებობრივი რეესტრით გათვალისწინებულ თანამდებობებზე თანამდებობის პირის დანიშვნისას (არჩევისას, დამტკიცებისას) ან თანამდებობიდან გათავისუფლებისას (უფლებამოსილების ვადის გასვლისას, ვადამდე შეწყვეტისას, გადადგომისას, გადაყენებისას) იმ სახელმწიფო (ადგილობრივი თვითმმართველობის) დაწესებულების კადრების სამსახურმა, რომელშიც საჯარო სამსახურს ახორციელებს თანამდებობის პირი, თანამდებობის პირის დანიშვნიდან (არჩევიდან, დამტკიცებიდან) ან გათავისუფლებიდან (უფლებამოსილების ვადის გასვლიდან, ვადამდე შეწყვეტიდან, გადადგომიდან, გადაყენებიდან) სამ დღეში მომხდარი საკადრო ცვლილება წერილობით აცნობოს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს.

4. წინამდებარე ბრძანებულებით დამტკიცებული თანამდებობრივი რეესტრით გათვალისწინებული თანამდებობის შეცვლის ან მათი შესატყვისი საშტატო ერთეულის გაუქმების, აგრეთვე შესაბამისი უწყების (დაწესებულების, ორგანოს, ორგანიზაციის) სტრუქტურაში ცვლილებების ან დამატების შეტანის შემთხვევაში იმ სახელმწიფო (ადგილობრივი თვითმმართველობის) დაწესებულების კადრების სამსახურმა, რომელშიც შეიცვალა თანამდებობის სახელწოდება (გაუქმდა შესატყვისი საშტატო ერთეული) ან სტრუქტურა,ცვლილებებიდან სამ დღეში წერილობით აცნობოს აღნიშნულ თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს ახალი სახელწოდების (გარდა შესატყვისი საშტატო ერთეულის გაუქმების შემთხვევისა) მითითებით.

5. ბრძანებულება ამოქმედდეს 2003 წლის 1 აპრილიდან.

**ედუარდ შევარდნაძე.**

# იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრი, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების შევსება და თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში წარდგენა

I. საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები

მუხლი 1. საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 2. საქართველოს პარლამენტის წევრი.

მუხლი 3. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.

მუხლი 4. საქართველოს მინისტრი.

II. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირები

მუხლი 5. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე – სახელმწიფო კანცელარიის უფროსი, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე.

მუხლი 6. საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სისტემაში:

1. საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე.
2. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მრჩეველი.
3. საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის უფროსის მოადგილე.
4. საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, საპარლამენტო მდივნის მოადგილე.
5. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის პირველი მოადგილე, მდივნის მოადგილე, უშიშროების საბჭოს აპარატის დეპარტამენტის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მთავარი მრჩეველი, საქართველოს პრეზიდენტის – სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურის უფროსი, უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი, საქართველოს პრეზიდენტის – სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო ინსპექციის უფროსი, უფროსის მოადგილე, ინსპექტორი.
6. საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი – მიმართულების ხელმძღვანელი.
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პრეზიდენტის მუდმივი და სრულუფლებიანი წარმომადგენელი.
8. სახელმწიფო სამსახურის ბიუროს უფროსი, უფროსის მოადგილე.
9. სამსახურის უფროსი, უფროსის პირველი მოადგილე, უფროსის მოადგილე, მთავარი ბუღალტერი.
10. ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების კომისიების გაერთიანებული აპარატის უფროსი.
11. მთავარი კონსულტანტი.
12. განყოფილების უფროსი.
13. არქივის უფროსი.
14. საინვესტიციო და ეკონომიკური საკონსულტაციო საბჭოების სამდივნოს უფროსი.

მუხლი 7. საქართველოს სამინისტროების სისტემაში:

1. განათლების სამინისტროს სისტემაში:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
ბ) დეპარტამენტის უფროსი, უფროსის მოადგილე;
გ) აღმასრულებელი სამდივნოს უფროსი, უფროსის მოადგილე;
დ) სამმართველოს უფროსი;
ე) ბიუროს უფროსი;
ვ) განყოფილების უფროსი.

2. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
ბ) დეპარტამენტის უფროსი, უფროსის მოადგილე;
გ) მთავარი სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე;
დ) ინსპექცის უფროსი;
ე) სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე;
ვ) სამსახურის უფროსი, უფროსის მოადგილე;
ზ) ცენტრის უფროსი;
თ) განყოფილების უფროსი;
ი) ცენტრალური ბუღალტერიის მთავარი ბუღალტერი;
კ) აპარატის უფროსი.

3. ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
ბ) მინისტრის მრჩეველი;
გ) დეპარტამენტის დირექტორი, დირექტორის პირველი მოადგილე, დირექტორის მოადგილე;
დ) სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე;
ე) მთავარი ბუღალტერი;
ვ) მინისტრის აპარატის უფროსი, უფროსის პირველი მოადგილე, უფროსის მოადგილე;
ზ) სამდივნოს უფროსი;
თ) მცირე სიმძლავრის ელექტრონული მანქანების ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის გენერალური დირექტორი ;
ი) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე;
კ) მსოფლიო ბანკის საინსტიტუციო მშენებლობის პროექტის განხორციელების რგოლის დირექტორი;
ლ) საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორი;
მ) სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

4. თავდაცვის სამინისტროს სისტემაში:

ა) მინისტრის მოადგილე;
ბ) შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, უფროსის პირველი მოადგილე, უფროსის მოადგილე;
გ) ოპერატიული მიმართულება „კოდორის ხეობის“ უფროსი, უფროსის პირველი მოადგილე, უფროსის მოადგილე, შტაბის უფროსი;
დ) სწრაფი რეაგირების, სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-საზღვაო თავდაცვის ძალების უფროსი, უფროსის პირველი მოადგილე, შტაბის უფროსი;
ე) ბრიგადის მეთაური;
ვ) ეროვნული გვარდიის მმართველობის უფროსი, ეროვნული გვარდიის სარდალი, სარდლის პირველი მოადგილე, სარდლის მოადგილე, შტაბის უფროსი;
ზ) დეპარტამენტის უფროსი, უფროსის პირველი მოადგილე, უფროსის მოადგილე, მთავარი სამმართველოს უფროსი, უფროსის პირველი მოადგილე, უფროსის მოადგილე, შტაბის უფროსი;
თ) საარტილერიო პოლკის მეთაური;
ი) მინისტრის აპარატის უფროსი, აპარატის უფროსის მოადგილე, კანცელარიის უფროსი;
კ) გენერალური ინსპექციის უფროსი, უფროსის მოადგილე;
ლ) პროტოკოლის უფროსი;
მ) თავდაცვის ეროვნული აკადემიის უფროსი, უფროსის პირველი მოადგილე, უფროსის მოადგილე, შტაბის უფროსი;
ნ) ლოგისტიკის მართვის ცენტრის უფროსი, უფროსის მოადგილე, შტაბის უფროსი;
ო) სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტის უფროსი.

5. იუსტიციის სამინისტროს სისტემაში:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
ბ) მინისტრის აპარატის უფროსი;
გ) გენერალური ინსპექციის უფროსი, უფროსის მოადგილე;
დ) დეპარტამენტის უფროსი, უფროსის მოადგილე;
ე) სამსახურის უფროსი;
ვ) სამმართველოს უფროსი;
თ) სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე;
ი) სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი;
კ) საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარე;
ლ) ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორი;
მ) იუსტიციის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი;
ნ) საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქციის ხელმძღვანელი.

6. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სისტემაში:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
ბ) მთავარი სახელმწიფო მრჩეველი;
გ) სამინისტროს აპარატის უფროსი, უფროსის მოადგილე, მინისტრის თანაშემწე;
დ) დეპარტამენტის უფროსი, უფროსის მოადგილე;
ე) მთავარი ბუღალტერი;
ვ) სამმართველოს უფროსი;
ზ) ინსპექციის უფროსი, უფროსის მოადგილე;
თ) ადმინისტრაციის თავმჯდომარე;
ი) ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსი;
კ) ტრასეკას ქვეყნების მთავრობათაშორის კომისიაში საქართველოს ეროვნული მდივანი;
ლ) ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის დირექტორი ;
მ) საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის თავმჯდომარე.

7. კულტურის სამინისტროს სისტემაში:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
ბ) დეპარტამენტის დირექტორი, დირექტორის მოადგილე;
გ) განყოფილების უფროსი;
დ) სამდივნოს უფროსი.

8. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სისტემაში:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
ბ) დეპარტამენტის უფროსი, უფროსის მოადგილე;
გ) მიგრაციის კონტროლის დეპარტამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე;
დ) მინისტრის აპარატის უფროსი, უფროსის მოადგილე;
ე) სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე;
ვ) სამსახურის უფროსი;
ზ) კანცელარიის უფროსი;
თ) განყოფილების უფროსი;
ი) მთავარი რეგიონალური სამმართველოს უფროსი;
კ) რეგიონალური სამმართველოს უფროსი.

9. საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
ბ) დეპარტამენტის დირექტორი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი, წარმომადგენლის მოადგილე, საგანგებო დავალებათა ელჩი;
გ) დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი, გენერალური კონსული;
დ) სამმართველოს უფროსი;
ე) მთავარი ბუღალტერი;
ვ) მინისტრის სამდივნო დეპარტამენტის დირექტორი, მინისტრის თანაშემწე სპეციალურ საკითხებში;
ზ) სამინისტროს გენერალური მდივანი, გენერალური მდივნის მოადგილე;
თ) პრესცენტრის უფროსი;
ი) ცენტრის ხელმძღვანელი;
კ) საინვესტიციო ცენტრის დირექტორი;
ლ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიუროს დირექტორი;
მ) სატრანსპორტო სამმართველო „დიპტრანსის“ დირექტორი;
ნ) საპროტოკოლო მომსახურების ბიუროს დირექტორი;
ო) ადმინისტრაციული შენობების მომსახურების სააგენტო „მთაწმინდას“ დირექტორი.

10. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სისტემაში:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
ბ) დეპარტამენტის დირექტორი;
გ) სამმართველოს უფროსი;
დ) განყოფილების უფროსი;
ე) კანცელარიის უფროსი;
ვ) მთავარი ბუღალტერი;
ზ) „ენერგოგენერაციის“ თავმჯდომარე;
თ) ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტის მომსახურე ორგანიზაციის დირექტორი.

11. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სისტემაში:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
ბ) ადმინისტრაციის უფროსი, უფროსის მოადგილე;
გ) ანტიტერორისტული ცენტრის უფროსი, უფროსის მოადგილე;
დ) სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე;
ე) სამსახურის უფროსი, უფროსის მოადგილე;
ვ) უშიშროების საკითხებში ოფიცერთა ჯგუფის უფროსი, უფროსის მოადგილე;
ზ) ცენტრის უფროსი, უფროსის მოადგილე;

იხ. მე-6 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 70, ორშაბათი, 17 მარტი, 2003 წელი.

# იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრი, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების შევსება და თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში წარდგენა

(მეხუთე გვერდიდან)

თ) განყოფილების უფროსი;
ი) იზოლატორის უფროსი;
კ) აკადემიის უფროსი, აკადემიის პრორექტორი;
ლ) სამხედრო-სამედიცინო ნაწილის უფროსი;
მ) ქ. თბილისის სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე, სამმართველოს განყოფილების, რაიონული განყოფილების უფროსი;
ნ) რეგიონალური სამმართველოს უფროსი;
ო) რაიონული (საქალაქო) განყოფილების უფროსი.

12. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სისტემაში:
ა) მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
ბ) დეპარტამენტის უფროსი, უფროსის პირველი მოადგილე, უფროსის მოადგილე;
გ) აპარატის უფროსი, უფროსის მოადგილე;
დ) სამსახურის უფროსი;
ე) გენერალური ინსპექციის უფროსი, უფროსის მოადგილე;
ვ) ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე.

13. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სისტემაში:
ა) მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
ბ) დეპარტამენტის უფროსი, უფროსის მოადგილე;
გ) სამინისტროს აპარატის უფროსი, უფროსის მოადგილე;
დ) სამსახურის უფროსი;
ე) სამმართველოს უფროსი;
ვ) განყოფილების უფროსი;
ზ) სექტორის უფროსი;
თ) სამინისტროს აპარატის კანცელარიის უფროსი;
ი) ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარე.

14. ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს სისტემაში:
ა) მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
ბ) დეპარტამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე;
გ) სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე;
დ) ინსპექციის უფროსი, უფროსის მოადგილე;
ე) საქმეთა მმართველი, საქმეთა მმართველის მოადგილე;
ვ) რეგიონალური დეპარტამენტის დირექტორი;
ზ) „ცენტრი საქსოფლპროექტის“ დირექტორი;
თ) „ცენტრი საქკომუნპროექტის“ დირექტორი;
ი) „საქმშენორგმექტესის“ დირექტორი;
კ) „საქბინმშენპროექტის“ დირექტორი;
ლ) „თბილსახავტოგაზპროექტის“ დირექტორი;
მ) „ჰაბიტატ-ჯორჯიას“ დირექტორი;
ნ) „თბილარქთეორიის“ დირექტორი;
ო) „თბილწყალგეოს“ დირექტორი;
პ) „საქნაპირდაცვის“ დირექტორი;
ჟ) „მშენებლის“ დირექტორი.

15. ფინანსთა სამინისტროს სისტემაში:
ა) მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
ბ) მთავარი მრჩეველი, მრჩეველი;
გ) დეპარტამენტის უფროსი, უფროსის მოადგილე;
დ) სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე;
ე) განყოფილების უფროსი, ლაბორატორიის უფროსი;
ვ) მინისტრის აპარატის უფროსი, უფროსის მოადგილე;
ზ) მინისტრის კანცელარიის უფროსი;
თ) სამსახურის უფროსი, უფროსის მოადგილე;
ი) მთავარი ბუღალტერი, მთავარი ბუღალტერის მოადგილე;
კ) სამინისტროს კანცელარიის უფროსი;
ლ) საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილე;
მ) საბაჟო დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე;
ნ) საბაჟო დეპარტამენტის სამსახურის უფროსი, უფროსის მოადგილე;
ო) საბაჟო დეპარტამენტის ლაბორატორიის უფროსი, უფროსის მოადგილე;
პ) საბაჟო დეპარტამენტის მთავარი ბუღალტერი, მთავარი ბუღალტერის მოადგილე;
ჟ) საბაჟო დეპარტამენტის აპარატის უფროსი, უფროსის მოადგილე;
რ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საბაჟო სამმართველოების უფროსები, უფროსის მოადგილეები;
ს) საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟოს უფროსი, უფროსის მოადგილე;
ტ) საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილე;
უ) საგადასახადო დეპარტამენტის აპარატის უფროსი, უფროსის მოადგილე, კანცელარიის უფროსი, მთავარი ბუღალტერი;
ფ) საგადასახადო დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე;
ქ) მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსი, უფროსის პირველი მოადგილე, უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე, მთავარი ბუღალტერი, საქმეთა მმართველობის უფროსი;
ღ) საგადასახადო დეპარტამენტის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საგადასახადო ინსპექციის უფროსი, უფროსის მოადგილე;
ყ) საგადასახადო დეპარტამენტის საოლქო, ზონალური, რაიონული საგადასახადო ინსპექციის უფროსი;
შ) გენერალური ინსპექციის უფროსი, უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე, მთავარი ბუღალტერი;
ჩ) საგანგებო ლეგიონის უფროსი, უფროსის მოადგილე, აპარატის უფროსი, კანცელარიის უფროსი, სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე, სწრაფი რეაგირების რაზმის უფროსი, უფროსის მოადგილე;
ც) აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიუროს უფროსი, უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე, მთავარი ბუღალტერი, საქმეთა მმართველობის უფროსი;
ძ) აქციზური მარკების სამსახურის უფროსი, უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე, მთავარი ბუღალტერი;
წ) სახაზინო სამსახურის უფროსი, უფროსის პირველი მოადგილე, უფროსის მოადგილე, დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი, სამმართველოს უფროსის მოადგილე, მთავარი ბუღალტერი, მთავარი ბუღალტრის მოადგილე, კანცელარიის უფროსი, ცენტრის უფროსი, უფროსის მოადგილე;
ჭ) ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, დირექტორის მოადგილე.

16. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში;
ა) მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
ბ) დეპარტამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე;
გ) მთავარი სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე;
დ) სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე;
ე) სამინისტროს შტაბის უფროსი, უფროსის პირველი მოადგილე, უფროსის მოადგილე, პრესცენტრის უფროსი;
ვ) გენერალური ინსპექციის უფროსი, უფროსის მოადგილე;
ზ) პოლიციის სპეცდანიშნულების სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე;
თ) შინაგანი ჯარების სარდალი, სარდლის მოადგილე, შტაბის უფროსი;
ი) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სრულუფლებიანი წარმომადგენელი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ჩადენილი ორგანიზებულ და სხვა სახის დანაშაულთან ბრძოლის საკოორდინაციო ბიუროში;
კ) ეროვნული ცენტრალური ბიუროს (ეროვნული ბიუროს) უფროსი, უფროსის პირველი მოადგილე, უფროსის მოადგილე;
ლ) სამინისტროს საქმეთა მმართველობის უფროსი, უფროსის მოადგილე;
მ) მინისტრის ოპერატიული სამორიგეო სამსახურის უფროსი, უფროსის მოადგილე;
ნ) სამინისტროს აკადემიის რექტორი, აკადემიის პრორექტორი;
ო) სამინისტროს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბის „დინამოს“ თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
პ) დაცვის პოლიციის ლეგიონის მეთაური, მეთაურის მოადგილე;
ჟ) პოლიკლინიკის (ჰოსპიტლის) უფროსი, უფროსის მოადგილე;
რ) სამხარეო, ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე;
ს) ქ. თბილისის კრიმინალური, ადმინისტრაციული პოლიციის, საგამოძიებო, სისხლის სამართლის სამძებრო, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი, კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის, საგზაო პოლიციის, მეტროპოლიტენის დაცვის, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის, საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის, საექსპერტო-კრიმინალისტიკური, კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე;
ტ) ქ. თბილისის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე;
უ) რაიონის, ქალაქის სამმართველოს (განყოფილების) უფროსი.

17. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში:
ა) მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
ბ) მინისტრის საგანგებო დავალებათა უფროსი;
გ) მინისტრის აპარატის უფროსი, უფროსის მოადგილე;
დ) დეპარტამენტის უფროსი, უფროსის პირველი მოადგილე, უფროსის მოადგილე;
ე) გენერალური ინსპექციის უფროსი, უფროსის პირველი მოადგილე, უფროსის მოადგილე;
ვ) სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე;
ზ) განყოფილების უფროსი;
თ) რეგიონალური დეპარტამენტის დირექტორი, სამმართველოს უფროსი;
ი) საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დირექტორი;
კ) საქართველოს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
ლ) დასაქმების სახელმწიფო სამსახურის დირექტორი;
მ) საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის დირექტორი;
ნ) ფარმაკოპეის კომიტეტის დირექტორი;
ო) აუდიოლოგიისა და სმენის რეაბილიტაციის ცენტრის დირექტორი;
პ) ექსპერიმენტული ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი;
ჟ) შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი;
რ) სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის დირექტორი;
ს) ფარმაკოლოგიის კომიტეტის დირექტორი;
ტ) მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის დირექტორი;
უ) ადამიანის განვითარების პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი;
ფ) სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრის დირექტორი;
ქ) საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდის დირექტორი;
ღ) დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის რექტორი.

მუხლი 8. საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის აპარატის სისტემაში:
ა) მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
ბ) მინისტრის სამდივნოს უფროსი;
გ) განყოფილების უფროსი;
დ) მთავარი ბუღალტერი.

მუხლი 9. საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტების სისტემაში:
ა) სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 10. საქართველოს სახელმწიფო ინსპექციების სისტემაში:
სახელმწიფო ინსპექციის უფროსი, უფროსის პირველი მოადგილე, უფროსის მოადგილე.

მუხლი 11. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი.

მუხლი 12. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული, სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე.

III. საქართველოს სასამართლო ხელისუფლების თანამდებობის პირები

მუხლი 13. საკონსტიტუციო სასამართლოების სისტემაში:
1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი.

მუხლი 14. საერთო სასამართლოების სისტემაში:
1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.
2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე.
3. თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლე.
4. რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლე.
5. საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლე.
6. ქ. თბილისის რაიონების რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლე.

მუხლი 15. საქართველოს პროკურატურის სისტემაში:
1. საქართველოს გენერალური პროკურორი, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე, გენერალური პროკურორის მოადგილე;
2. გენერალური პროკურატურის აპარატის უფროსი, უფროსის მოადგილე.
3. სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე.
4. გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი, უფროსის მოადგილე.
5. გენერალური ინსპექციის უფროსი, უფროსის მოადგილე.
6. სამსახურის უფროსი.
7. გენერალური პროკურატურის სასწავლო ცენტრის უფროსი.
8. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორი, პროკურორის მოადგილე.
9. ქ. თბილისის პროკურორი, პროკურორის მოადგილე.
10. საოლქო, რაიონული, საქალაქო პროკურორი, პროკურორის მოადგილე.
11. საქართველოს ტრანსპორტის პროკურორი, პროკურორის მოადგილე.
12. რეგიონალური ტრანსპორტის პროკურორი, პროკურორის მოადგილე.
13. საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი, პროკურორის მოადგილე.
14. რეგიონალური სამხედრო პროკურორი, პროკურორის მოადგილე.
15. სასჯელთა აღსრულებისას კანონების დაცვის ზედამხედველობის პროკურორი, პროკურორის მოადგილე.

IV. საქართველოს სხვა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირები

მუხლი 16. საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოები:
1. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი.
2. საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საკონსულტაციო ეკონომიკური საბჭოს წევრი.
3. საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი.
4. საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს წევრიი.
5. ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

მუხლი 17. საქართველოს კონტროლის პალატის სისტემაში:
1. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილე.
2. კონტროლის პალატის პრეზიდიუმის წევრი.
3. დეპარტამენტის უფროსი, უფროსის მოადგილე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 70, ორშაბათი, 17 მარტი, 2003 წელი.

4. აპარატის უფროსი, უფროსის მოადგილე, მთავარი მრჩეველი, აპარატის კანცელარიის უფროსი, უფროსის მოადგილე, აპარატის პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსი.
5. მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს უფროსი.
6. სამსახურის უფროსი.
7. სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე.
8. მთავარი კონტროლიორი, მთავარი იურისტი.
9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილე, მთავარი კონტროლიორი.
10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილე, სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე, მთავარი კონტროლიორი.

მუხლი 18. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრი

მუხლი 19. საქართველოს სახელმწიფო ანტიკორუფციული სამსახურის უფროსი, უფროსის პირველი მოადგილე, უფროსის მოადგილე.

მუხლი 20. საქართველოს სახალხო დამცველი.

მუხლი 21. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი.

მუხლი 22. საქართველოს შემდეგი დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს კომისიონერი:
1. საქართველოს ენერგეტიკული მარეგულირებელი ეროვნული კომისია;
2. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;
3. საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო.

V. საჯარო სამართლის იურიდიული პირები
საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე შექმნილი შემდეგი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი;
1. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო.
2. ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია.
3. საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის საქართველოს ცენტრი.
4. სახელმწიფო სამსახურის მართვისა და მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი.
5. საქართველოს ბავშვთა ფედერაცია.
6. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.
7. თანამგზავრული ტექნოლოგიების გამოყენების ცენტრი.
8. ეკონომიკური რეფორმების საინფორმაციო ცენტრი.
9. შავი ზღვის დაცვისა და რესურსების კვლევის სახელმწიფო სააგენტო.
10. საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭო.
11. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“.
12. სავალდებულო დაზღვევის ფონდი.
13. საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი.
14. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი.
15. პრივატიზებულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის ცენტრი.
16. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.
17. მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი.
18. საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი.
19. საქართველოს ანტიკორუფციული ბიურო.
20. საერთაშორისო თანამშრომლობის ენერგეტიკული ცენტრი.
21. საქართველოს საინოვაციო ეროვნული სამსახური „საქინოვაცია“.

VI. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის თანამდებობის პირები
მუხლი 23. რაიონის ადმინისტრაციული ცენტრის საკრებულოს თავმჯდომარე და მდივანი.
მუხლი 24. რაიონის გამგებელი, გამგებლის პირველი მოადგილე.
მუხლი 25. ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი) საკრებულოს თავმჯდომარე და მდივანი.
მუხლი 26. ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი) მერი, მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი).
მუხლი 27. ქ. თბილისის მთავრობის წევრი.
მუხლი 28. ქალაქის გამგებელი, რომელიც აირჩევა პირდაპირი წესით.
მუხლი 29. ქ. თბილისის რაიონის გამგებელი, გამგებლის პირველი მოადგილე.
მუხლი 30. გუდაუთაში, ტყვარჩელში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს რწმუნებული, რწმუნებულის პირველი მოადგილე.
მუხლი 31. ქ. გაგრის მერი, მერის პირველი მოადგილე.

VII. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები და მოხელეები
მუხლი 32. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე.
მუხლი 33. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მუხლი 34. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე.
მუხლი 35. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილე.
მუხლი 36. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი, უფროსის მოადგილე.

VIII. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები და მოხელეები
მუხლი 37. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური.
მუხლი 38. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე.
მუხლი 39. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მუხლი 40. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე.
მუხლი 41. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილე.

ფინანსები

# 17 მარტიდან საერთაშორისო ბაზრებზე ათვლის ახალი თარიღი იწყება

(მეოთხე გვერდიდან)

ტრადიციული სექტორის ინდექსმა ზრდა კვირის ბოლო დღის სავაჭრო სესიაზეც გააგრძელა, ნიუიორკის საფონდო ბაზარზე პარასკევის ვაჭრობის მონაცემებით, Dow Jones-ის ინდექსი 38.03 პუნქტით, ანუ 0.49%-ით გაიზარდა და 7859.78 მაჩვენებელზე განისაზღვრა, რაც შეეხება მაღალტექნოლოგიებს, Nasdaq-ი უმნიშვნელოდ 0.04%-ით დაეცა და 1340.26 პუნქტი შეადგინა.

* * *

**გასული** კვირა **სავალუტო ბაზრებზე** წამყვან ვალუტებთან მიმართებაში დოლარის კურსის გამყარებით აღინიშნა. ტენდენცია კვირის ბოლოსაკენ გამოიკვეთა და ამის პირველი სიგნალები აზიურ ბაზრებზე დაფიქსირდა. დოლარის კურსი ევროსთან მიმართებაში სამი მარტის შემდეგ ყველაზე მაღალ – 1.088 დონეზე განისაზღვრა. დოლარის კურსი გაიზართა იაპონურ ვალუტასთან მიმართებაშიც, ტოკიოს სავალუტო ბაზარზე ხუთშაბათს, ერთი დოლარი 118.40 იენა ღირდა, რაც 24 თებერვლის შემდეგ ასევე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

დოლარის კურსი წამყვანი ვალუტების მიმართ კვირის ბოლოსაკენ ამერიკულ სესიაზეც გაიზარდა.

ვალუტის ტრეიდერების შეფასებით, შეერთებული შტატების სამხედრო გეგმის მიმართ ფართო საერთაშორისო მხარდაჭერის თუნდაც გარეგნული ალბათობა ძლიერ მხარდაჭერას უჩენს დოლარის კურსს.




კვირის ბოლო დღეს ამერიკულ სესიაზე ევრო / დოლარის კურსი თითქმის 100 პუნქტით დაეცა და 1.0688 დონეს მიაღწია, რაც ბოლო სამი კვირის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ფუნტი/დოლარის კურსი თითქმის 230 პუნქტამდე დაეცა 1.5791 დონემდე.

ანალიტიკოსების შეფასებით, საერთაშირო სავალუტო ბაზრებზე მიმდინარე კვირაში, ანუ 17 მარტიდან, რომელიც ახალი რეზოლუციის პროექტით ერაყის მშვიდობიანი განიარაღების ბოლო ვადაა, ცვლილებები მეტწილად დამოკიდებული იქნება არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციების გამოქვეყნებაზე.

გასული კვირის ბოლოსათვის კი ინვესტორებმა, ვინაიდან იწურებოდა რა შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის კოალიციის მიერ ერაყისათვის დადგენილი მშვიდობიანად განიარაღების ვადა, შემდგომი მოვლენების განვითრების მოლოდინში, რომლებსაც სერიოზული ზეგავლენის მოხდენა შეუძლია საფინანსო ბაზრებზე, რისკების მინიმიზაცია ამჯობინეს და ამერიკულ ვალუტაზე მოკლე პოზიციების დახურვა გააგრძელეს, რამაც დოლარის კურსის გამყარება განაპირობა.

* * *

**ძვირფასი ლითონების ბაზარზე** ოქროზე ფასების დაწევის ტენდენცია გასულ კვირაშიც გაგრძელდა და პარასკევის ვაჭრობის მონაცემებით, მისმა ფასმა ნიუ-იორკის ბაზარზე უნციაზე 335 დოლარი შეადგინა, რაც შეიძლება ითქვას, სერიოზული დანაკლისია, იმის წინა კვირის ბოლოს დაფიქსირებულ 356.60 დოლართან შედარებით.

კვლავინდებურად მყარად განსაზღვრულ დიაპაზონში მერყეობს პლატინისა და ვერცხლის ფასი: შესაბამისად 686 და 4.54 დოლარი.

* * *

**დაინახა** რა რეზოლუციის ახალ პროექტში ომის დაწყების მორიგი ულტიმატუმი, გასული კვირის დასაწყისში **ნავთობის ბაზარი** კვლავ ზრდისაკენ წავიდა. მაგრამ მძლავრმა ოპოზიციამ, რომელსაც შეერთებული შტატები უშიშროების საბჭოში წააწყდა, ბაზრის მონაწილეებს მოგების ფიქსაციაზე გადასვლა აიძულა. ამასთან, ბევრმა მათგანმა ოპეკის კონფერენციის წინ, რომელსაც ნავთობის მოპოვების კვოტის საკითხი უნდა განეხილა, ყოველი შემთხვევისათვის თავის დაზღვევა და პოზიციების დახურვა ამჯობინა. შედეგად, ორშაბათის ვაჭრობის მონაცემებით, ლონდონის საერთაშორისო ნავთობის ბაზარზე Brent-ის მარკის ნავთობის ფიუჩერსის ფასი ბარელზე 33.75 დოლარამდე, ხოლო ნიუიორკის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის ნავთობის ფიუჩერსი ბარელზე 37.27 დოლარამდე დაეცა.

მომდევნო დღეს, ნავთობის ბაზარმა სეზონური ფაქტორის გათვალისწინებით, კვლავ განაგრძო დაწყებული შეგრილება. დარგობრივი ანალიტიკოსების აზრით, ზამთრის გასვლასთან ერთად, ნავთობზე მოთხოვნის შემცირების სეზონური პერიოდი იწყება და შესაბამისად, თუ ერაყში შესაძლო ომი, რეგიონიდან ნავთობის მოწოდების შეფერხებას განაპირობებს, დეფიციტის კომპენსირება მარტივად, ოპეკის მიერ კვოტების გაზრდის გარეშეც, მოთხოვნის სეზონური ვარდნის ხარჯზე მოხდება.

ამასთან, სამშაბათს, ვენაში ჩატარდა ოპეკის მორიგი კონფერენცია, რომელზეც ომის შესაძლო დაწყების წინ, ნავთობის მოპოვების კვოტის საკითხი განიხილეს. ოპეკის წამყვან წევრებს ამ საკითხთან მიმართებაში საპირისპირო პოზიცია გააჩნიათ. საუდის არაბეთი და ქუვეითი ერაყთან ომის გათვალისწინებით, წევრი ქვეყნების მიერ ნავთობის მოპოვების მაქსიმიზაციის მიზნით სრული თავისუფლების მომხრე არიან. ხოლო ირანის წარმომადგენელმა პირდაპირ განაცხადა, რომ კვოტის გაუქმება, ოპეკის წევრების მიერ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გეგმის მიმართ მხარდაჭერას ნიშნავს. დანარჩენი ქვეყნების აზრით, ბაზარზე ნავთობი საკმარისი რაოდენობით არის და აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით არ არსებობს მისი მოპოვების გაზრდის აუცილებლობა.

ოპეკის პრეზიდენტის აბდულა ბენ ჰამედ ალ-ატიას, თუმცა პირდაპირ არ განუცხადებია კვოტების დროებით გაუქმების შესახებ, მაგრამ მისი თქმით, კარტელი შეეცდება ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რათა დააკმაყოფილოს მოთხოვნა, იმ შემთხვევაში თუ სამხედრო რეგიონიდან ნავთობის შეფერხება დროებით შეწყდება.

საბოლოოდ, ოპეკმა მიიღო გადაწყვეტილება ამ ეტაპზე უცვლელად დატოვოს ნავთობის მოპოვებაზე არსებული კვოტები.

სამშაბათის ვაჭრობის მონაცემებით, ლონდონის საერთაშორისო ნავთობის ბაზარზე Brent-ის მარკის ნავთობის ფიუჩერსის ფასი ბარელზე 33.29 დოლარამდე, ხოლო ნიუიორკის სასაქოლო ბირჟაზე WTI-ის ნავთობის ფიუჩერსი ბარელზე 36.72 დოლარამდე დაეცა. მაგრამ მომდევნო დღეს ბაზრებზე კვლავ „ხარის“ განწყობა დატრიალდა, ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის შემდეგ, რომლის მიხედვითაც შეერთებულ შტატებში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგის მორიგი შემცირება დაფიქსირდა. მიღებულმა მონაცემებმა გააძლიერა ნავთობის ბაზრის შიში, რომ ერაყში ომი, ახლო აღმოსავლეთიდან ნავთობის მოწოდების შეფერხებას გამოიწვევს. თუმცა ოპეკმა წინა დღეს მზადყოფნა გამოხატა, რომ ყველა ღონეს იხმარს ომის დაწყების შემთხვევში, ნავთობის შესაძლო შეფერხებით გამოწვეული დეფიციტის აღმოსაფხვრელად, დარგობლივი ანალიტიკოსები და ტრეიდრები შიშობენ, რომ მას ამისათვის სარეზერვო სიმძლავრეების ამოქმედება არ ეყოფა. საერთაშორისო ენერგეტიკულმა სააგენტო IEA-მ ოთხშაბათს, მორიგი ყოველთვიური ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც მიუთითა ძალიან დაბალი სამეწარმეო სიმძლავრის შესახებ, რომელიც ოპეკს დარჩა მიმდინარე წლის ზამთარში ნავთობის მოპოვების გაზრდის შემდეგ. IEA-ის მონაცემებით, მსოფლიო ნავთობის მოპოვება თებერვალში დღეღამეში 1.96 მლნ. ბარელით გაიზარდა 79.41 მლნ ბარელამდე. ზრდის თითქმის სამი მეოთხედი ოპეკის მიერ იყო უზრუნველყოფილი, რომელიც ცდილობდა, ვენესუელური ნავთობის კომპენსირებას. შედეგად, ოპეკის სარეზერვო სიმძლავრე, იანვარში დღეში 2.37 მლნ ბარელით, ხოლო თებერვალში 1.72 მლნ. ბარელით შემცირდა. მართალია, IEA-მ აღიარა, რომ სეზონური ფაქტორი შეძლებს ბაზარზე ერაყული ნავთობის ექსპორტის კომპენსირებას, ბაზრმა იგნორირება გაუკეთა ამ შეფასებას და ოთხშაბათის ვაჭრობის მონაცემებით, ლონდონის საერთაშორისო ნავთობის ბაზარზე Brent-ის მარკის ნავთობის ფიუჩერსის ფასი 62 ცენტით ბარელზე 33. 91 დოლარამდე, ხოლო ნიუ-იორკის Nymex-ის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის ნავთობის ფიუჩერსი 1.11 დოლარით გაიზარდა 37.83 დოლარამდე. თუმცა, ბაზარმა მომდევნო დღესვე გადახარშა ეს ინფორმაცია, რასაც კვირის ბოლოსაკენ ერაყის გარშემო შექმნილი დაძაბულობის განმუხტვაც დაერთო, რაზეც გათვლას ბოლო პერიოდში მრავალი სპეკულაციური ფონდი აკეთებდა, და რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა სეზონური ფაქტორით გამოწვეული მოთხოვნის შემცირების ეფექტი. შედეგად, ხუთშაბათის ვაჭრობის მონაცემებით, საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასი თითქმის 2 დოლარამდე დაეცა. ლონდონში Brent-ის მარკის ნავთობის ფიუჩერსის ფასი 1.44 დოლარით, ბარელზე 32.47 დოლარამდე, ხოლო ნიუ-იორკის Nymex-ის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის ნავთობის ფიუჩერსი 1.82 დოლარით დაეცა 32.47 დოლარამდე.

**ეკა ლეჟავა,**
**„სრ“ ეკონომიკური მიმომხილველი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 70, ორშაბათი, 17 მარტი, 2003 წელი.

## 50 წელიწადი უსტალინოდ

# ბელადის სააგარაკო ცხოვრება

...„ახლო“ აგარაკი 30-იან წლებში ააშენეს თავად ბობროკვოლინსკის ყოფილ მამულში – ერთი ვერსიის მიხედვით, იმისათვის, რომ სტალინს სული მოეთქვა კრემლში დაძაბული მუშაობის შემდეგ, ხოლო მეორის თანახმად – ვითომდა, იმის გამო, რომ ბელადს ეშინოდა, არ გამხდარიყო თავდასხმის მსხვერპლი. აქ უჩვეულო სიმყუდროვე სუფევდა, თან დაცვისათვის უფრო იოლი იყო მუშაობა. სხვათა შორის, ერთ-ერთი აპოკრიფის მიხედვით, სწორედ სტალინის პირადი მცველების მაგიური რიცხვის გამო (ოთხი – მიმაგრებული, ხუთი – ეგრეთ წოდებული „მოარული“) რომლებიც ცხრანი იყვნენ, „მეცხრე“ ეწოდა მთელ სამმართველოს...

მთელ აგარაკზე ვერსად ნახავთ ვერაფერს „პირადს“. ერთადერთი, „პირადი“ იყო დაცვა...

### განრიგი

...სტალინის სამუშაო დღე არასდროს არ იყო ნორმირებული. როგორც წესი, სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტისას ბელადი და მისი თანამოსაგრენი ხშირად მუშაობდნენ „ახლო“ აგარაკზე დილის სამ-ოთხ საათამდე. სტალინი თავს არ იზოგავდა, ძალიან იღლებოდა და ზოგჯერ კარგავდა დროის ორიენტაციას. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ახლო აგარაკიდან თანამოსაგრეთა წასვლის შემდეგ ორიოდ საათში სტალინს გამთენიისას დაურეკავს მორიგისათვის და უთხოვია, მასთან გაეგზავნა რამდენიმე პოლიტბიუროს წევრი, ხოლო როდესაც მორიგე მოახსენებდა, რომ ისინი სულ ცოტა ხნის წასული არიან აგარაკიდან, სტალინს უკან მიჰქონდა თავისი განკარგულება...

### ჩვეულება

სტალინი არავის არ ანებებდა, რაიმეში მიხმარებოდნენ. თავის დროზე, ატარებდა კალოშებს, რომლებსაც ხშირად უვარდებოდა უკანა მხარე. თანამშრომლები ცდილობდნენ დახმარებოდნენ, მაგრამ სტალინი მათ ახლოსაც არ იკარებდა და თვითონ ისწორებდა კალოშებს. ერთხელ ვერ შეამჩნია, რომ პალტოს ლაცკანი ჩახვეული ჰქონდა. ვოროშილოვი შეეცადა, გაესწორებინა, რისთვისაც სტალინმა მსუბუქად დაარტყა ხელზე და გაბრაზებულმა უთხრა: „თვითონ გავისწორებო“.

სიცოცხლის ბოლო თვეებში სტალინი წინასწარ არ აცნობებდა დაცვას, სად აპირებდა წასვლას საღამოს მუშაობის შემდეგ. ჩაჯდებოდა მანქანაში და მხოლოდ გზაში ეტყოდა, სად მიდიოდნენ. თავისუფალ დროს სტალინი, როგორც წესი, დიდ თეატრში დადიოდა საყვარელი საოპერო მომღერლების არიების მოსასმენად, ანდა მიდიოდა „კუთხის“ დარბაზში ფილმების საყურებლად. ასე უწოდებდნენ შენობას კრემლში, სადაც კინოსურათებს უშვებდნენ. როდესაც ზუსტად არ ვიცოდით, სახელდობრ, სად წავიდოდა სტალინი, ჩვენ პატარა მაგიდაზე ვშლიდით სუფრას დიდ თეატრში, და „კუთხის“ დარბაზში. ერთხელ დიდ თეატრში სტალინმა დაინახა, რომ ლოჟის წინა ოთახში სუფრა იყო გაშლილი და მკაცრად იკითხა: „ვინ გითხრათ, რომ აქ უნდა მოვსულიყავი?“. უპასუხეს, რომ ჩვენ, ჩვეულებრივ, ყოველი შემთხვევისათვის, ვამზადებდით ხოლმე სუფრას აქ და „კუთხის“ დარბაზში. სტალინი მიგვიხვდა ამ პატარა ეშმაკობას და მდუმარედ შევიდა თავის ლოჟაში. თუმცა, „სუფრის გაშლა“ მეტისმეტად ხმამაღლა არის ნათქვამი: მაგიდაზე იდგა მხოლოდ ხილის ვაზა, ერთი ბოთლი ბორჯომი, თეფში და ჭიქა.

### საგანგებო შემთხვევა

დაცვის ორგანიზაცია კარგად იყო გააზრებული, კადრებიც შემოწმებული და სანდო გვყავდა. მაგრამ მაინც ხდებოდა ხოლმე „საგანგებო შემთხვევები“. მაგალითად, 1952 წლის ზაფხულში დაცვის თანამშრომელმა აღმოაჩინა ტყვია, რომელიც ბილიკის ასფალტში შესულიყო დაახლოებით ნახევარ სანტიმეტრზე. როდესაც ადგილზე მივედი, დავადგინე, რომ სროლის ხმა არავის გაუგონია, ტყვია შამხანისა იყო და ძალა ჰქონდა დაკარგული. დაუყოვნებლივ მოვაწყვეთ ბალისტიკური ექსპერტიზა, რომელმაც გვიჩვენა, რომ შაშხანა ბელურაანთ მთიდან უსვრიათ. იქ სასწრაფოდ მივიდნენ ოპერატიული მუშაკები და გამოავლინეს, რომ თოფი შემთხვევით გავარდნია ჯარისკაცს, რომელიც უნივერსიტეტის მშენებლობაზე დასაქმებულ ტუსაღებს ყარაულობდა.

### მედიცინა

როდესაც ეგრეთ წოდებული ექიმების საქმე გაჩნდა, სტალინი, რომელთანაც რეგულარულად მიჰქონდათ დახურული კონვერტებით დაპატიმრებულთა დაკითხვის ოქმები, კრემლის მედიცინის მიმართ აშკარა უნდობლობით განისმჭვალა.

ერთხელ სტალინს მსუბუქი ფორმის გრიპი შეეყარა. „ახლო“ აგარაკზე გამოიძახეს ექიმი, რომელმაც გასინჯა ავადმყოფი, მისცა რამდენიმე რჩევა და წამალი დაუტოვა. ამის შემდეგ, მორიგე ოფიცერს სთხოვა, კრემლის საავადმყოფოდან მოეყვანათ გამოცდილი მედდა, რომელიც თვალს გაადევნებდა წამლების მიღებას, და, საერთოდ, დაეხმარებოდა ავადმყოფს.

როდესაც ექიმი წავიდა, სტალინმა იხმო დაცვის ერთ-ერთი რიგითი თანამშრომელი, რომელსაც კარგად იცნობდა. დაავალა მორიგე ოფიცერს, გამოეყოთ ამ თანამშრომლისათვის მანქანა იმ დავალების შესასრულებლად, რომელიც, სტალინის თქმით, არ ეხება არავის სხვას, „ჩემი და ამ თანამშრომლის გარდა“. სტალინმა თანამშრომელს ჩააწერინა წამლების სახელწოდება და უბრძანა, ეყიდა ისინი მოსკოვის მახლობლად მდებარე ერთ-ერთი სოფლის აფთიაქში. თანამშრომელმა ზუსტად შეასრულა დავალება, ხოლო ექიმის დატოვებული წამლები გადაყარა.

სტალინი სიგარას არ ეწეოდა, მაგრამ უყვარდა მისი სურნელი. ზოგჯერ სამ ნაწილად ტეხავდა ძვირფას „ჰავანას“, თითებით მოსრესდა სიგარის თუთუნს და ჩიბუხში ჩატენიდა.

### ზაამოს

აგარაკის „ქუხნა-სახლში“ იყო დიდი ნათელი სამზარეულო რუსული ღუმელით. სტალინი, როდესაც ძალიან შეაწუხებდა ხოლმე რადიკულიტი, სამზარეულოში მივიდოდა, ცხელ ღუმელზე დადებდა განიერ ფიცარს, გაიხდიდა და ზედ წვებოდა.

გარდა ამისა, სტალინს ძალიან უყვარდა რუსული აბანო. როდესაც კიროვი ცოცხალი იყო, ერთად დადიოდნენ აბანოში. პოლიტბიუროს არც ერთ სხვა წევრს ასეთი პატივი არ ღირსებია. ერთხელ სტალინმა ბრძანა, აბანო მომიმზადეთო, და მუშამ ივანე დუბინინმა, რომელმაც არ იცოდა, ბელადი როდის მოვიდოდა, გადაწყვიტა, იქამდე თვითონ ებანავა. ორთქლის ბუღი დააყენა და თაროზე აძვრა. ცოტა ხნის შემდეგ გაიგონა, რომ კარზე ვიღაც აკაკუნებს. გაუკვირდა და იკითხა: „რომელი ხარო“, პასუხად კი მოესმა: „ეს თქვენა ხართ, დუბინინ?.. იბანავეთ, იბანავეთ. მე მოვიცდი“, – დაამშვიდა სტალინმა. დუბინინი სასწრაფოდ მორჩა ბანაობას და გამოვიდა. სტალინმა კი მეგობრულად უთხრა: „გაამოთ, ამხანაგო დუბინინ!“.



### გასტრონომია

აგარაკის კომენდანტმა, ჩვეულებრივ, იცოდა ხოლმე, რამდენი სტუმარი მოვიდოდა, ხოლო მომსახურე პერსონალს „ქუხნა-სახლიდან“ გრძელი გადასასვლელი დერეფნით მოჰქონდა სასადილო დარბაზში ლანგრებით საჭმელები. სუფრაზე წინასწარ აწყობდნენ ჭურჭელს, დანა-ჩანგალს, პურს, კონიაკს, არაყს, მშრალ ღვინოს, წიწაკას, მარილს, მწვანილს, ბოსტნეულსა და სოკოს კერძებს. ძეხვეული, შაშხი და ლორი, როგორც წესი, არ იყო, კონსერვებს სტალინი ვერ იტანდა. პურს თვით მზარეულები აცხობდნენ. პირველი თავი კერძები დიდ ქაშანურის ქვაბებში ესხა და იდგა ცალკე მაგიდაზე, აქვე იყო სუფთა თეფშები. მომსახურე პერსონალი დარბაზში სადილის დროს არ შემოდიოდა. თავისი მდგომარეობის მიუხედავად, სადილის ყოველი მონაწილე თვითონ ემსახურებოდა საკუთარ თავს. ჩვეულებრივ, სტალინი პირველი გადაიღებდა ხოლმე თეფშში ქვაბიდან შჩის ან წვნიანს, ანდა უხას, მერე კი თეფში მიჰქონდა თავის ტრადიციულ ადგილზე სუფრასთან, დარბაზის სიღრმეში. დამკვიდრებული წესისამებრ, მას წინ უდგამდნენ მოგრძო ფორმის ლამაზ ბროლის გრაფინს, რომელშიც გაციებული სასმელი წყალი იყო. მეორე კერძები მოგვიანებით შემოჰქონდათ და მაგიდასთან მსხდომნი თვითონ ირჩევდნენ, რომელიც მოეწონებოდათ. მესამე კერძის ნაცვლად, მეტწილად მოჰქონდათ ჩაი. ჩაის ასხამდნენ დიდი თუხთუხა სამოვარიდან, რომელიც იმავე ცალკე მაგიდაზე იდგა. ნაყენის ჩაიდანს კი პატარა ქურაზე აცხელებდნენ.

სადილის წინ სტალინი ზოგჯერ ერთ-ორ სირჩა კონიაკს გადაჰკრავდა, მერე კი მხოლოდ მშრალ ქართულ ღვინოს სვამდა. ღვინოს ისხამდა ბოთლებიდან, რომელთა ეტიკეტები მანქანაზე იყო დაბეჭდილი.

### პატარ-პატარა სიხარულები

...სტალინის ოჯახის წევრთაგან აგარაკზე მასთან არავინ არ ცხოვრობდა და, ეტყობა, იმისათვის, რომ ცოტა ხანს, დაესვენა რთული სახელმწიფო საქმეებისაგან, გაესაუბრებოდა ხოლმე მცველებს, რისთვისაც სულ სხვადასხვა საბაბს მოძებნიდა. მაგალითად, ზამთარში დილაობით ხშირად ეკითხებოდა პირველივე მცველს, რომელსაც დაინახავდა: „როგორ გგონიათ, რამდენი გრადუსი ყინვა იქნება ახლა?“ თანამშრომელი რაღაც ციფრს დაუსახელებდა. შემდეგ მეორე თანამშრომელი ამავე კითხვის პასუხად თავის სავარაუდო ციფრს მოახსენებდა, მერე კი სტალინი თავისას იტყოდა, და სთხოვდა, შეემოწმებინათ, რომლის ვარაუდი იყო ყველაზე ახლოს ჭეშმარიტებასთან. თერმომეტრი აგარაკის კედელზე ეკიდა, და თანამშრომელი იქ მიდიოდა. ნახავდა საზომის ჩვენებას, ბრუნდებოდა და სტალინს ზუსტ ციფრს მოახსენებდა. თერმომეტრები ბევრგან ეკიდა, სხვადასხვა ადგილას, მათ შორის, ხეებზეც, და მცველები, რომ არ გაწბილებულიყვნენ, ყოველდღიურად ადევნებდნენ თვალს ტემპერატურას.

ასეთი ცოცხალი ურთიერთობის მეორე ხერხი იყო მანძილის „თვალდათვალ“ გაზომვა. ერთხელ, სტალინმა დაცვის თანამშრომელს უთხრა: „როგორ გგონიათ, რამდენი მეტრი იქნება აი იმ ხემდე, იმ ტირიფამდე?“ ერთი თანამშრომელი ერთ ციფრს იტყოდა, მეორე – მეორეს. სტალინი თავისას დაასახელებდა და შემდეგ სთავაზობდა, გაეზომათ მანძილი. იწყებდნენ საზომი ხვეული რულეტის ძებნას, რომელიც არავის არ ჰქონდა. ბოლოს იპოვიდნენ და განსაზღვრავდნენ, ვინ იყო ყველაზე ახლოს ჭეშმარიტებასთან. ამის შემდეგ დაცვის ყოველი თანამშრომელი აგარაკის საგუშაგოებზე ჯიბით ატარებდა გასაზომ რულეტს.

სტალინისათვის ნამდვილი საშინაო თეატრი იყო მუსიკალური რადიოგადაცემები და გრამჩანაწერების მოსმენა. ახალი გრამფირფიტები მისთვის ძირითადად მოჰქონდათ აპრილის გრამფირფიტების ქარხნიდან. იგი წინასწარ გასინჯავდა და იქვე აძლევდა შეფასებას. თითოეულ ფირფიტაზე ჩნდებოდა სტალინის ხელით გაკეთებული მინაწერები: „კარგია“, „არა უშავს“, „ცუდია“, „არ ვარგა“. ტუმბოში და მაგიდაზე რჩებოდა მხოლოდ ისეთი ფირფიტები, რომლებზეც პირველი ორი წარწერა იყო, დანარჩენები კი კომენდანტს მიჰქონდა.

დასვენების დღეებში უსათუოდ გავიდოდა ხოლმე ლითონის ბადით შემოღობილ სპორტულ მოედანზე, სადაც რიკტაფელას ეთამაშებოდა პირადი დაცვის თანამშრომლებს. დაცვა მეტწილად აგებდა, იმიტომ, რომ ძალები ძალზე უთანასწორო იყო. სტალინს პარტნიორად ჰყავდა რიკტაფელას საუცხოო მოთამაშე, ქვედანაყოფის ფიზიკური მომზადების ხელმძღვანელი ვლადიმერ პომერანსკი. წაგებულებს ზოგჯერ მასხარად იგდებდნენ, არცთუ იშვიათად, მოუზომავი გამოთქმებით, რაც პირადად სტალინს არ უყვარდა. ყოველი მოხვედრების შემდეგ სტალინი ძალზე კმაყოფილი რჩებოდა და აუცილებლად იტყოდა ხოლმე: ესეც მაგათო! ხოლო როდესაც ააცდენდა, მაშინვე იწყებდა ჯიბეში ასანთის ძებნას და ყალიონს უკიდებდა.

### აღსასრული

თებერვლის ბოლო დღეს გვიან ღამით მოსკოვიდან „ახლო“ აგარაკისაკენ მიმავალი ჩვენი ავტომანქანების კორტეჟის ფარების შუქზე ასფალტის გზაზე კურდღელი გამოვარდა. იგი პირველივე, ძირითად ავტომანქანას ემსხვერპლა. დაცვამ მოკლული კურდღელი მეორე, სარეზერვო ავტომანქანის საბარგულში ჩადო და აგარაკზე მისვლისას სამზარეულოს გადასცა.

ჩვენს უკან მოდიოდნენ „სტუმრები“: ბერია, მალენკოვი, ხრუშჩოვი, ბულგანინი. ვახშამი, როგორც ასეთი, არ იყო. მაგიდაზე, იდგა მხოლოდ ყურძნის წვენი, და, როგორც ყოველთვის, ხილის ვაზები. დილის ოთხი საათი იყო დაწყებული, რომ აიშალნენ, და ხრუშჩოვს, რომელმაც სტუმრები გააცილა, სტალინმა უთხრა: „მე დასასვენებლად ვწვები, არ გამოგიძახებთ, და თქვენც და მომსახურე პერსონალსაც შეგიძლიათ, დაისვენოთ და წაუძინოთო“. საათის ისარმა შუადღეს გადააცილა, სტალინი კი თავისთან არავის არ იძახებდა. ბოლოს, 18.30-ზე მის ოთახში შუქი აინთო. ყველამ შვებით ამოისუნთქა. მაგრამ ამასობაში დრო გადიოდა, სტალინი კი კვლავინდებურად არ იძახებდა არავის.

დაახლოებით 22.30-ზე ფოსტა მოვიდა. დაცვის თანამშრომელი, რომელმაც შიკრიკისაგან ჩაიბარა ფოსტა, მთავარ სახლისაკენ, სტალინთან გაემართა. გაიარა პირველი ოთახი, და როცა მეორის კარს მიადგა, შიგ შეიხედა და ტრაგიკული სურათი დაინახა: სტალინი ხალიჩაზე ეგდო, მაგიდასთან, თითქოს, იდაყვს დაყრდნობილი. „რა მოგივიდათ, ამხანაგო სტალინ?“, ჰკითხა ოფიცერმა. პასუხად გაიგონა სულ ორი ბგერა „ძზ“ – და მეტი არაფერი. იქვე იატაკზე დავარდნილიყო პაველ ბურეს მექანიზმიანი პირველი ქარხნის ჯიბის საათი და გაზეთი „პრავდა“. მაგიდაზე იდგა ბორჯომის ბოთლი და ჭიქა. ეტყობოდა, რომ სტალინს, რომელიც ჯარისკაცის პერანგისამარა იყო, უკვე შესცივნოდა. როგორც ჩანს, იგი გონმიხდილი იწვა 19 საათიდან და თანდათან უუარესდებოდა მდგომარეობა. სტალინი ტახტზე გადააწვინეს და პლედი დააფარეს.

...ღამის სამ საათზე აგარაკს ავტომანქანა მოუახლოვდა. ეგონათ, ექიმები მოვიდნენო, მაგრამ ბერიასა და მალენკოვის დანახვაზე სამედიცინო დახმარების უკანასკნელი იმედი გადაეწურათ. თავაწეული ბერია ბრახაბრუხით შევიდა სტალინის კაბინეტში, რომელიც კვლავინდებურად ტახტზე იწვა. მალენკოვს ახალი ფეხსაცმელი უჭრაჭუნებდა, დერეფანში გაიხადა და ამოიღლიავა. ბერიამ, მწოლიარე სტალინი რომ დაინახა, მკვახედ წამოიძახა: „რა პანიკას და აურზაურს ტეხთ? ამხანაგ სტალინს მაგრად სძინავს! ნუღარ შეგვაწუხებთ და ამხანაგ სტალინთან ახლოს არ მიხვიდეთო“. „თანამოსაგრენი“ ცოტა ხანს მდუმარედ იდგნენ, მერე კი დარბაზი დატოვეს, თუმცა, მათ უმტკიცებდნენ, ამხანაგი სტალინი მძიმედ არისო ავად.

ორ მარტს დილით 7.30-ზე მოვიდა ხრუშჩოვი და თქვა: „მალე ექიმები მოვლენო“. 9 საათზე გამოჩნდნენ ექიმებიც. ყველას ხელი უკანკალებდა. ჩვენ ექიმებს დავეხმარეთ და ამხანაგ სტალინს ტანზე შემოვაჭერით პერანგი. ექიმებმა გასინჯეს და დაადგინეს, რომ ავადმყოფს ტვინში სისხლი ჩაჰქცევია. დაიწყეს მკურნალობა, დაასვეს წურბელები, ასუნთქეს ჟანგბადის ბალიში, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო...

...5 მარტს ღამით, უფრო ზუსტად, გამთენიისას მთავარი სახლის სადარბაზოს მოადგა „სასწრაფო დახმარების“ ტიპის ავტომანქანა. მძღოლი, რომელსაც შავი ცხვრის ტყაპუჭი ეცვა, სახლში შეიპატიჟეს, რათა განსვენებულს გამოთხოვებოდა. „ახლო“ აგარაკიდან სადოვოკუდრიცკის ქუჩაზე მდებარე საცხედრემდე დაცვა უკვე სხვა კორტეჟით მიდიოდა – ძირითადი ჯავშნიანი ავტომანქანის ნაცვლად მივემგზავრებოდით მხოლოდ ავტომანქანა – კატაფალკითა და, როგორც ჩვეულებრივ, ორი ოპერატიული ავტომობილით, რომელშიც გამსვლელი პირადი დაცვის ოფიცრები ისხდნენ. მათ მიჰყვებოდათ მიქოიანისა და ბულგანინის ავტომანქანები, რომლებიც იცავდნენ სამგლოვიარო ცერემონიალს. მაგრამ, როგორც კი ჭიშკარი უკან დაგვრჩა, ადგილს მოსწყდნენ და ყოფილი ბელადის ავტომანქანები უკან მოიტოვეს...

**(გადამდგარი გენერალ-მაიორის ნ. პ. ნოვიკისა და სტალინის პირადი დაცვის ჯგუფის თანამშრომლის, გადამდგარი მაიორის ი. ს. სოლოვიოვის მოგონებათა მასალების მიხედვით).**

დაურეკეს მალენკოვს. მალენკოვმა რაღაც ჩაილუღლუღა და ყურმილი დადო. მერე თვითონ დარეკა და თქვა: „ბერია ვერ ვნახე, თვითონ მოძებნეთო“. ერთი საათის შემდეგ დარეკა ბერიამ და გვიბრძანა: „ამხანაგი სტალინის ავადმყოფობის შესახებ არავის არ დაურეკოთ და სიტყვა არ დაგცდეთო“. თქვა, და მაშინვე შეწყვიტა ლაპარაკი.

ინ. მე-9 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## პოეზია

### უპირველეს ყოვლისა



## ციკლიდან – „ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულნი“

მზია ხეთაგური

### შენი იმედი კვლავაც სავსეა...

სოსო გველესიანს

ბევრ ღვთისნიერ ექიმს ვიცნობ საქართველოში. მათ შორის ერთ-ერთი განსაკუთრებული კაცია – სოსო გველესიანი, რომელსაც ამ ლექსს ვუძღვნი, თუმცა ეს ისე ცოტაა მის დამსახურებასთან შედარებით...

რამდენჯერ ცრემლი თვალს მოგწოლია,
როს მლიეს შველოდი ავადმყოფ ღარიბს,
რამდენჯერ რაინდს, სულით გოლიათს
შეგიდგამს მისთვის მრთოლვარე მხარი!

შენ „ჰიპოკრატეს ფიცით“ ირჩენდი თავს,
და კვლავ ცხოვრობ ამ ერთგულებით...
მომაკვდავს როცა გადაარჩენდი,
ეს იყო შენი ოქროს ქულები!

გიყვარდა, გიყვარს ყველა მოკვდავი
სულით ჯანსაღი, თუნდ ავადმყოფი...
ცხადშიც, სიზმარშიც შენ არ სცოდავდი
მათთან სიკვდილშიც, ხშირად, ნამყოფი!..

„გმადლობ, ექიმო“! — რამდენჯერ უთქვამთ,
ზოგს აღარც ახსოვს შენი სიკეთე,
თუმც მომავალში იმათი სუნთქვა
ხსოვნას ფიქრებში მოგიპირკეთებს!

შენი იმედი კვლავაც სავსეა,
მთვარიან ღამეს სულით მზიანობ!..
სამადლობელი ისე ნაზია,
მეირფასო, სოსო გველესიანო!

### შენ არ იცვლები

გელა მუხაშავრიას

კიდევ ერთ ლექსს ვუძღვნი შესანიშნავ ექიმსა და ადამიანს, რომელიც ჩემს გარდა უამრავ ადამიანს უყვარს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემი სიყვარულიც წრფელია...

შენი არ იცვლები, ვით შეცვლილია,
უკვე, მრავალი
ჩვენს ეპოქალურ სამანეყო ტყუილ-მართალში...
შენი წარსული სპეტაკია, და მომავალიც
იბრწყინებს, რადგან არ გჩვევია კაცთან თამაში.

ეს მერამდენედ, მსურს შევამკო შენი სიკეთე,
ეს მერამდენედ ვიგრძენი, რომ შენით ვამაყობ...
კარი, რამდენჯერ, ვითომ „მმებმა“, გამომიკეტეს,
შენი გული კი კვლავ ღიაა, როგორც სამეარო!

### შენ ისეთი კაცი ხარ

ივანე (ვოვა) დავითაიას

ი. დავითაია – მართალი კაცი, ბრწყინვალე დასტაქარი, რომელსაც არც ტრაბახი უყვარს, არც ღალატი...

შენ ისეთი კაცი ხარ,
ცილს ვერავინ დაგწამებს...
ვიცი, ფიქრი მამულზე
სხვაზე მეტად გაწამებს!

შენ ისეთი ნაღდი ხარ,
ვერ ეჩვევი სიყალბეს,
დააბიჯებ ნაღმივით
საქართველოს მიწაზე.

გლოცავდა და კვლავ გლოცავს
პაციენტთა ამალა!
მათ სიყვარულს გილოცავ
ჩემებურად, — ალალად!

ხარ ოჯახის ერთგული
და სამშობლოს ქომაგი,
მტკივანია ეგ გული,
მაგრამ, არა ორმაგი!

შენ ისეთი კაცი ხარ,
ცილს ვერავინ დაგწამებს...
ვიცი, ფიქრი მამულზე
მევლებურად გაწამებს.

## წინ დიდი გზაა

### ახალგაზრდების შემოქმედება

სარედაქციო ფოსტაში ყოველდღიურად საკმაოდ ბევრი ლექსი თუ პროზაული ქმნილება შემოდის, ხშირია სტუმრიანობაც – ავტორებს თავისით მოაქვთ საკუთარი შემოქმედების ნაყოფი – ზოგი მოსაწონია, ზოგიც – არა... ამიტომაც ზოგი იბეჭდება, ზოგი კი – არა...

ახლახან სრულიად ახალგაზრდა გოგონა გვესტუმრა. იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პირველკურსელი გამოდგა – ნინო კინწურაშვილი.

ნინოს რამდენიმე ფურცელი ეჭირა. გადავხედე, სამი მათგანი შევარჩიე – სამი ნოველა. და აი, მკითხველსაც ვთავაზობთ მათ, გზასაც ვულოცავთ ნინოს!

ნანა ღვინეფაძე.



### ...მაშინ მივხვდი, რა ბედნიერი ვიყავი

ბედნიერება მაშინ გავიგე რა იყო, როცა...

თუმცა, მივყვეთ მოვლენებს.

როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ეს მოხდა 1984 წლის 11 ივლისის დღის 11 საათზე.

მოულოდნელი ძვრები ვიგრძენი. უკუნეთ სიბნელეში განწირული კივილი მომესმა, რამდენიმე ძლიერმა ბიძგმა შემაქანა. სითბოს მიჩვეულს ცოტა შემაცია. მყუდროება შემოჭრილმა ცივმა ჰაერმა დამირღვია. ეს სიახლეები არ მესიამოვნა და, სიმართლე რომ ვთქვა, შემეშინდა კიდეც. მანამდე თავს საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობდი. სიბნელე, სიჩუმე, სითბო – ყველაფერი ეს საკმაოდ კარგ გარემოს მიქმნიდა. თუმცა, უნდა ვაღიარო, რაღაც მაინც მაკლდა, რაღაც მთავარი, რაც ჩემთვის იმჟამად უცნობი, მაგრამ აუცილებელი იყო.

ის განწირული კივილი კი პერიოდულად წყდებოდა, მერე ისევ ისმოდა, გამოუცდელობის მიუხედავად, მივხვდი, რომ ეს ნაცნობი ქალის კივილი იყო. ამასთან ერთად რამდენიმე უცნაური ხმაც მომესმა. ავწრიალდი, მივხვდი, რაღაც რიგზე ვერ იყო, მერე კი უცებ აღმოვაჩინე, რომ სადღაც ნელ-ნელა უკანა სვლით მივდიოდი. თითქოს ეს თავისთავად მოხდა, მე არაფერ შუაში ვიყავი. არც კი ვიცოდი, სად ან რატომ მივექანებოდი, თანდათან ხმები უფრო ძლიერდებოდა და ჩემი გულიც გამალებით ცემდა. სიცივე უფრო გაუსაძლისი გახდა. ამ დროს კი ვიღაც, ჯერ თავზე, შემდეგ კი ტანზე შემეხო. უეცრად რაღაც საშინელი სინათლე დავინახე, მერე უცხო ხელები, რომლებსაც ვეჭირე და ქალი, რომელიც ღიმილით დამყურებდა. მისმა სიმახინჯემ კიდევ უფრო შემაშინა.

მცირე პაუზის შემდეგ მივხვდი, რომ კივილი შეწყდა, ის საშინელი ქალიც ველარ დავინახე, მხოლოდ დამჭკნარ ხელებს ვხედავდი.

ცოტა ხანში სითბო ვიგრძენი, რომელიც თეთრმა ნაჭერმა მომანიჭა და უეცრად, ისეთი ლამაზი ქალი შევნიშნე, რომელმაც თვალი მომჭრა, მისი კეთილი თვალები საოცარი ღიმილით მომშტერებოდა. დამჭკნარმა ხელებმა მასთან მიმიყვანა. მან გულში ჩამიხუტა, თბილად გამიღიმა და საოცარი სიყვარულით შუბლზე მაკოცა. მხოლოდ მაშინ გავიგე, თუ რა მაკლდა იმ მყუდრო სამყოფელში. მაკლდა ის, რასაც სითბო, სიყვარული და ალერსი ჰქვია, ანუ, ერთი სიტყვით, – დედა, რომელიც დაბადებისთანავე გავიცანი და მაშინ მივხვდი, თუ რა ბედნიერი ვიყავი.

* * *

საშინელი ქარბუქია. ირგვლივ ყველაფერი ცახცახებს. ღამე ისეთი ბნელია, რომ ცა შიშით ძრწის და დედამიწისაგან გაცლას ცდილობს. ქარი გრიალებს, ფანჯრის ნაპრალებში იპარება და წივის. ქუჩა ცარიელია. მას ქარი დაეპატრონა და ერთპიროვნულად მბრძანებლობს. შიში მატულობს და სულში მკვიდრდება. თითქოს დედამიწა ცარიელია. სხეული ცახცახებს, შინაგანი კივილის ხმა თანდათან ძლიერდება და სმენას ახშობს. სულის კანკალი იწყება. სულს ეშინია და შველას ითხოვს, გამალებით იყურება აქეთ-იქით, გამოჩენას ცდილობს, მას ვერავინ ამჩნევს, არც ესმით მისი, ყველა მხოლოდ „მე“-ში იყურება, მის იქით კი თვალს ხუჭავს და ყურს იყრუებს. სული კი ბრძოლას განაგრძობს და ხტის. „რაც შეიძლება მაღლა“ – მოუწოდებს თავის თავს და სიტყვებით: „დამინახავენ, მიპოვნიან“, გამხნევებას ცდილობს.

ამასობაში ქარი მძაფრდება, მისი განცდები პიკს აღწევს, სულისაგან განსხვავებით, სხეული უმოძრაოდ წევს, არც შიში, არც სუსხი არ ეკარება, არც რაიმეს განიცდის, არც სუნთქავს, უბრალოდ, მოვალეა და ძევს. ამასობაში სულის მაძიებელი არსად ჩანს, სული იღლება, იცლება ძალისაგან და იმედგაცრუებით სავსე, ცრემლმორეული კუთხეს ეყრდნობა, თავდახრილი იჩოქებს და ლოცვას იწყებს, მხურვალედ სთხოვს უფალს შეწყალებას და იმედით გაჰყურებს ზეცას, მხოლოდ იქიდანღა ესახება მხსნელი. ქარიც მშვიდდება, იოკებს აღელვებულ გრძნობებს და ძალაგამოცლილი სიბნელეში ხმას იკმენდს. უეცრად ცა იბზარება და ნათელი ჩნდება. შემაძრწუნებელ სიჩუმეს ჩიტი არღვევს. მზის სხივი ცის ბზარიდან მორცხვად იპარება მიწაზე. სული თავს წევს და ტირის. წამოდგება სიხარულით სავსე, ზეცას თვალს აპყრობს და ბედნიერების ცრემლით ღაღადებს, მადლობას სწირავს უფალს, მორცხვ მზის სხივს ეგებება და დედამიწაზე მობრძანებას ულოცავს.

### ვისაც მოიშინაურებ, მის წინაშე ვალდებულიც ხარ

დღეს მოსიარულე უამრავი ველური ადამიანის მიუხედავად, სიტყვა „მოშინაურებას“ მხოლოდ ცხოველს ვუკავშირებ. სწორედ ამის გამო ჩემი თხზულება პატარა ბიბის მოშინაურებასა და ჩემს ვალდებულებებზეა აგებული.

თითქმის მიძინებული სუსტმა ყეფამ გამომაღვიძა. ეს იყო დეიდაჩემის მოულოდნელი სიურპრიზი – პატარა შპიცის ლეკვი, ბიბი, რომელსაც თვალები ჩემს ხელისგულზე აეხილა.

ყველაფერი აქედან დაიწყო. ბიბის სიყვარულს, ბუნებრივია, მოჰყვა ვალდებულებაც, რომელსაც პატარა, დაუცველი არსების მიმართ ვგრძნობდი. ბიბი გახდა ჩემი ყოველდღიური საზრუნავი. მის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა პასუხისმგებლობა, რომელიც არცთუ ისე ადვილი, მაგრამ მაინც შესაძლებელი აღმოჩნდა.

ჩემი მზრუნველობით განებივრებული ბიბი ოჯახში არავის ინდობდა და უყურადღებობის შემთხვევაში ყველანაირი ხერხებით ახსენებდა ყველას თავს, რის გამოც პირველი საყვედური მე დავიმსახურე: „შენს გათამამებულ ძაღლს თავად მიხედე. როგორც გინდა, ისე მოუარე და ახლავე გარეთ გასვი, თორემ...“

შემდეგ პირდაპირ ბიბიზე გადავიდნენ: „დაწყნარდი, გეყოფა ამდენი ყეფა, თორემ...“

მაგრამ იგი არავის და არაფერს ერიდებოდა. უმიზეზო ყეფამ, ოთახებში გაუთავებელმა სირბილმა და ყველას ლოკვამ მუქარა გაამართლა და მრავალჯერ დანაპირები „თორემ“ სისრულეში მოიყვანა.

მე და ბიბი ტრაგიკულად დაგვაშორეს ერთმანეთს. დამშვიდობების ჩემთვის უმძიმესი სცენა თითქმის ნახევარი საათი გაგრძელდა. იგი რაიონში წაიყვანეს.

ამის შემდეგ დიდხანს ვფიქრობდი იმაზე, რამდენად კარგად გავითავისე მოშინაურებულის მიმართ ვალდებულება. იქნებ ჩემი ბრალი იყო ბიბის ასეთი თავხედური ქცევა, რომელიც ცუდი შედეგით დასრულდა. ვფიქრობ, არა! მე იგი ზედმეტად მიყვარდა, ზედმეტად ვუვლიდი და ვალდებულებასაც გადავაჭარბე.

რაც შეეხება ბიბის ვალდებულებებს, მას იგი არც უგრძვნია და არც არავის დაუკისრებია იქამდე, სანამ სოფელში უზარმაზარი ეზოს მეთვალყურედ არ დანიშნეს. თუმცა, ვალდებულებებს ვერც იქ გაუმკლავდა. ეს გასაგებიცაა. ოთახის პატარა ლეკვი უდიდეს ეზოში აღმოჩნდა.

საბოლოოდ იგი დაუდევარი მძღოლის მსხვერპლი გახდა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ჩემს ხელისგულზე გახელილი ბიბის პატარა შავი თვალები, ჩემი ხელების ნაცვლად, სხვა, უპასუხისმგებლო პატრონის ხელში დაიხუჭა.

მას შემდეგ მოშინაურებას ვერიდები. ბიბი ჩემი, პირველი ნამდვილად არა, მაგრამ უკანასკნელი მოშინაურებული ცხოველი იყო, რომელმაც ვალდებულების შესრულების აუცილებლობა ნათლად დამანახა.

## 50 წელიწადი უსტალინოდ

# ბელადის საიდუმლო ცხოვრება

(მერვე გვერდიდან)

### სტალინი – კულინარი

ანასტას მიქოიანი იხსენებდა, რომ სტალინს ძალიან უყვარდა თევზის კერძები. სუფრაზე ყოველთვის ჰქონდა რამდენიმე ჯიში: დუნაის ქაშაყი, ქერჩული, შებოლილი, ვიმბა („რებეცი“) და შამაია. გარდა ამისა, თვითონ იგონებდა და შეუკვეთავდა ხოლმე კერძებს, რომლებიც ჩვენ აქამდე გაგონილიც არ გვქონდა. ეს იყო რაღაც სუფისა თუ მეორე კერძის მაგვარი, აჯაფსანდალი, როდესაც დიდ ქვაბში ერთად იშუშებოდა ბადრიჯანი, პამიდორი, კარტოფილი, შავი წიწაკა, დაფნა და ცხვრის ხორცის ნაჭრები. ამ კერძს სტალინმა „არაგვი“ დაარქვა.

უშიშროების სამინისტროს პოლკოვნიკი მგალობლიშვილი ამტკიცებდა, რომ ღვინოებიდან სტალინი სვამდა მხოლოდ ატენურ მწვანეს. არის გორის მახლობლად სოფელი ატენი, რომელიც ცნობილია იქ ჯერ კიდევ V საუკუნეში აშენებული ტაძრებით და ვაზის ჯიშით, რომელიც მხოლოდ იქ ხარობს. ამ ყურძნისაგან დგება ღიაზურმუხტისფერი რაღაც განუმეორებელი გემოსა და სურნელის ღვინო. ატენური სტალინისათვის პატარა კასრებით მიჰქონდათ თვითმფრინავით და ღვინოს რომ არ ეჯაყჯაყა, მთელი გზა გულში ჰქონდათ ჩახუტებული უშკომის პოლკოვნიკებს. სტალინი ხშირად აზავებდა ღვინოს წყლით, რაც ქართულ სუფრაზე არ არის მიღებული.

უკანასკნელი სასმელი, რომელიც თავის სიცოცხლეში იგემა სტალინმა, იყო მაჭარი. „როგორც ჩვეულებრივ, როდესაც ხაზეინთან სტუმრები მოდიოდნენ, ჩვენ ერთად ვადგენდით მენიუს, – იხსენებდა სტალინის ყოფილი მცველი ლოზგაჩოვი. – 28 თებერვალს ღამით, ჩვენ მენიუში გვქონდა: ახალი ღვინო, მაჭარი, რომელსაც სტალინი მცირე სიმაგრისათვის ყურძნის წვენს ემახდა. და აი, ამ ღამეს ხაზეინი მიძახებს და მეუბნება. „მოგვიტანე წვენი ორ-ორი ბოთლიო“. ვინ იყო იმ ღამეს? მისი ჩვეულებრივი სტუმრები: ბერია, მალენკოვი, ხრუშჩოვი და წვეროსანი ბულგანინი“.

**ხალხთა ბელადისეული „არაგვის“ რეცეპტი (იგივე „ჩანახი“).**

ცხვრის ხორცი დავჭრათ მოზრდილ ნაჭრებად და მარილი მოვაყაროთ. მსხვილად დავჭრათ გათლილი კარტოფილი, და ალყაალყად ხახვი. რამდენიმე ნაწილად დავჭრათ ბადრიჯანი და პამიდორი. თიხის ჯამში ჩავაწყოთ ხორცი, ზემოდან კარტოფილი, მერე – ბადრიჯანი, სულ ბოლოს – ხახვი, პამიდორი, მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი მწვანილი (ოხრახუში, ქინძი, კამა), დავუმატოთ მწვანე წიწაკა და მარილი, და შევდგათ ჰაერღუმელში.

რეცეპტში შესაძლებელია ვარიაციებიც. მაგალითად, ბადრიჯანი შეგიძლიათ ჩააწყოთ მთელ-მთელი, ოღონდ, ალაგ-ალაგ წინასწარ ჩაჭრათ, და შიგ ჩადოთ ცხვრის დუმის ნაჭრები და შავი პილპილი. პამიდორი – ასევე მთელ-მთელი. ცხვრის ხორცი – ნეკნისა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კულინარიაშიც არის შესაძლებელი შემოქმედებითი, სტალინური მიდგომა“...



ჟურნალი „ოგონიოკი“, № 9.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 70, ორშაბათი, 17 მარტი, 2003 წელი.

ერთი — მრავალთაგანი



# იმნაიშვილები

## ერთი ქართველი ინტელიგენტის ოჯახი

**იმნაიშვილების ოჯახის დიასახლისი ღირსების ორდენით დააჯილდოვეს. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების გამოქვეყნების შემდეგ დაჯილდოებულნი სახელმწიფო კანცელარიაში მიიწვიეს. ისინი ოთხ ათეულზე მეტი იყვნენ. ედუარდ შევარდნაძეს ყურადღების მიღმა არ დარჩენია მასთან მიწვეულ მოქალაქეთა დამსახურება.**

პრეზიდენტმა დაჯილდოებულთ ილიას სიტყვები შეახსენა: — „თითო კაცმა თითო სიკეთე რომ აკეთოს, ქვეყანაზე გაჭირვება აღარ იარსებებს“. ეს მინიშნება ყველაზე ნაკლებად ლამარა იმნაიშვილს ეხებოდა. ამ შემთხვევაში უპრიანი იქნებოდა მისი და მისი ოჯახის მოქმედების მაგალითად მოყვანა. ოჯახის უფროსი თამაზ იმნაიშვილი, საქართველოში და მის საზღვრებს იქითაც კარგად ცნობილი მსოფლიოს ჩემპიონი, სახელოვანი მესტენდური, ცოლ-შვილის მოყვარული და ქვეყნის პატრიოტია. მისი მეუღლე ლამარა, რომელსაც ორდენი გადაეცა, შვილების კარგი აღმზრდელია; იგი მარტო დიასახლისობით როდი გამოირჩევა, საბავშვო თეატრ „ენკი-ბენკის“ პროდიუსერი გახლავთ. მათი უფროსი გოგონა ნინო უკვე **პრეზიდენტის სტიპენდიატია.** ამ მიზნით მიღებული პირველი ხელფასი 1200 ლარი გოგონამ მთლიანად ქველმოქმედებას მოახმარა. თანხის ნაწილი ნიჩბისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას შესწირა (ეკლესია მისმა მშობლებმა აღადგინეს). კასპის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს კი მშობლების დახმარებით ერთი ტონა საზამთრო ჩაუტანა, ბავშვებს „ენკი-ბენკის“ სპექტაკლიც გაუმართეს. ნინო ამ თეატრის წამყვანი „მსახიობია“. ნიჭიერი და კეთილი თენგო ბიჭი ჯერ 9 წლისაა, ხატავს და ეზოს ბიჭუნების თამაშების დიდი ორგანიზატორია. სიკეთის, სხვებისთვის ხელის გაწვდომის გრძნობა, რომელიც შვილებში გადადის, ოჯახში ინერგება. გავესაუბრეთ ღირსების ორდენის კავალერს **ლამარა იმნაიშვილს:**

***— ყველაზე დიდ განძად რა მიგაჩნიათ?***

— ქალისათვის უმთავრესი ოჯახია. ვცდილობ დრო ისე გავანაწილო და ჩემი მოვალეობის შესრულება მოვასწრო, დღეს ქალები რაღაცით გამოირჩევიან, ზოგი პოლიტიკოსია, ზოგი კარგი დიასახლისი, შვილების კარგი აღმზრდელი. ქალი იმითაც გამოირჩევა, რომ შინაც მოასწროს საქმე და გარეთაც; თავიც მოვლილ-მიხედული ჰქონდეს და ოჯახიც. შინაურიც იცოდეს და ჩვენებური სტუმარმასპინძლობის წეს-ჩვევების შეხსენება არ დასჭირდეს. სამსახურიც შეეძლოს და ქველმოქმედებაც. ყოველივე ეს მე მემკვიდრეობით დედისგან გადმომეცა. სწორედ დედამ უნდა შთაუნერგოს შვილს ზნეობრიობა, აკი ნათქვამია **„დედა იკითხეო“...** მათ აღზრდაში ორი რამ არის უმთავრესი, დიდი სიყვარული და პირადი მაგალითი, მე და ჩემი მეუღლე, ამ პრინციპით ვხელმძღვანელობთ.

***— ყოველივე ხომ მეუღლის გვერდით ამოდგომით შეძელით, ამ გზით შეაყვარეთ შვილებს სოფლის სიმშვენიერის დანახვა, სტუმართმოყვარეობა, გაუღვივეთ სწავლის სურვილი, შრომის, წიგნის სიყვარული (რაც დღეს მთავარია), ჩემი დაკვირვებით თქვენ ეს ქრისტიანული გზით მათი აღზრდის მეთოდმა გიკარნახათ...***

— ... თურმე დედოფალთან დიდგვაროვანი ქალები შეიკრიბნენ და ერთმანეთს ძვირფას სამკაულებს ახარბებდნენ. დედოფალს ჰკითხეს, თქვენი ძვირფასი სამკაული გვიჩვენეო, მან მაშინვე **საკუთარ შვილებს უხმო** და შეკრებილთ განუცხადა: — **ესენია ჩემი ყველაზე ძვირფასი განძიო.** ჩემი ოჯახი ეკლესიურია და ჩვენც უფლის ნაჩვენებ გზას მივყვებით... ადამიანები ცხოვრების მარტო მაყურებლები როდი არიან, არამედ მისი შემოქმედიც და მოქმედი პირებიც. თვით ცხოვრებაა ამ პირთა ქმნილება, ამ პირთა ნამოქმედარი... ყოველ ადამიანს თავის საკუთარის „შინას“ გარდა, სხვაგვარი „შინაცა“ აქვს, საცა ეგ ერთი მრავალთაგანია და საცა ამის გამო მისი „მე“ მოვალეა და „ჩვენი ბრძანებელი“, ეგ „ჩვენ“ თვითონ საზოგადოებაა, ის ხომ ოჯახებისგან, პიროვნებებისგან შედგება, როგორიცა ვართ „ჩვენ“ — საზოგადოებაც ისეთია.

**— ოჯახის საძირკველი ხომ ცოლქმრობაა. ილია გვარიგებს: „დედობა და ცოლობა დიდი საქმე არ არის, ეს ბუნებრივი საქმეა, საქმე კარგი დედაკაცობაა“.**

— მეც ვცდილობ გავწიო დედაკაცობა, ამ ცდაში სიკეთეს ვხედავ. უფალი გვასწავლის, სიკეთის გამხელა უნდა იყოს მკეთებლის ზეციური მისაგებელი. სიკეთეს ჩვენი სულისთვის, უფლისთვის და შვილების სწორად აღზრდისთვის ვაკეთებთ. ამიტომ მაპატიეთ და, ჩვენს საქველმოქმედო საქმეებზე ჩვენ არ ვსაუბრობთ. ვწუხვარ, რომ ხშირ შემთხვევაში სიკეთე ამა თუ იმ პიროვნების რეკლამისათვის კეთდება და ისიც არჩევნების წინ ან სხვა სერიოზული მიზნებისათვის. შვილებს აქედანვე, ვუნერგავ, რომ მათ მიერ ყოველივე უანგაროდ უნდა კეთდებოდეს. რა მოგასვენებს, როცა შენს მეზობელს შია. ჩემი მშობლები თანამდებობის პირები არ იყვნენ, მაგრამ შვილებს ცხოვრების „აკადემიკოსებად“ მიგვაჩნდა. მამა გვასწავლიდა: „ღმერთისაგან ბოძებული მარტო შენ არ გეკუთვნის, ის შენს გვერდით მდგომ შენზე შეიძლება არაფრით ნაკლებ პიროვნებასაც უნდა არგუნო“! ამასავე ვასწავლი შვილებს და თეატრ-სტუდიაში მოსულ მოზარდებსაც.

***— ვიცი, რომ არც „ენკი-ბენკის“ ულხინს, მაგრამ საშვილიშვილო საქმე კეთდება, როგორ ახერხებთ?***

— ამ თემაზე საუბარი მიჭირს... 9 წლის წინათ, როცა ქვეყანას და ყველას უჭირდა, ბავშვები უსახსრობის გამო ვერსად დადიოდნენ, მაშინ მე და ჩემმა მეუღლემ მოზარდებისათვის თეატრი-სტუდია დავაარსეთ... 3 წელიწადია, განათლების სამინისტროს ვთხოვ გაუქმებული მეთოდური ცენტრის შენობაში უზნაძის ქუჩაზე ჩვენთვის, თუნდაც, ორი ოთახი დაეთმოთ (ის დღესაც ცარიელია), მაგრამ ჩვენთვის ვერ გაიმეტეს. მაინც ვწვალობთ და ყოველწლიურად 5000 ბავშვისათვის სპექტაკლებს ვმართავთ. გვიჭირს, მაგრამ დახმარება არავისთვის გვითხოვია. ვისაც ხელის გამოწვდენა შეუძლია, ყველა ერთი და იგივეს გვეუბნება, ყოჩაღ იმნაიშვილებო, კარგ საქმეს აკეთებთ, რომ შეგვეძლოს დაგეხმარებოდითო, ალბათ, უჭირთ...

***— საქართველოს ტელევიზიის „მოამბის“ კორესპონდენტი ხართ, საქველმოქმედო თეატრს „ენკი ბენკის“ უძღვებით; ყველაფერ ამას დიდი ძალისხმევა სჭირდება. ვიცი, რომ დღე-დღეზე გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ეროვნულ ინსტიტუტში საინტერესო ექსპერიმენტის შესახებ დისერტაციას დაიცავთ. მახსოვხართ ჯერ კიდევ საყმაწვილო გაზეთის ნორჩკორობიდან, იმ დროიდანაც, სიყოჩაღით გამორჩეული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი რომ იყავით...***

— ჩარლი ჩაპლინის ერთი ცნობილი წერილი მინდა შეგახსენოთ, რომელიც მან შობის წინა ღამეს ჯერალდინოს გაუგზავნა; იქ წერდა: — მარტო გადი ხალხში, დააკვირდი მათ და დღეში ერთხელ მაინც უთხარი შენს თავს, მეც ერთი იმათგანი ვარ; ბევრი მათგანი შენზე ლამაზია, ჭკვიანი და ნიჭიერიც. გახსოვდეს, ორ ფრანკს რომ დახარჯავ, შენს თავს უთხარი, მესამე მონეტა ჩემი არ არის-თქო, იგი იმას ეკუთვნის, ვისაც ერთი ფრანკიც სანატრელი აქვსო.

ძველმა ბერძნებმა იცოდნენ, რომ საზოგადოებრივი სიმდიდრე ბრმად და არასწორად ნაწილდებოდა, ამიტომ გამოსახეს ბრმად სიმდიდრის ღმერთი პლუტოსი. რა საწყენია, რომ დღეს ჩვენთან ძალიან მომრავლდნენ სიმდიდრის თაყვანისმცემლები. უფლისთვის ხომ ყველაფერი ნათელია. ის, რაც დღეს ფულით შეიძლება იყიდო, ზნეობრივად აკრძალულია; დიდი ფულის პატრონები, არცთუ იშვიათად, არაფრად აგდებენ სიკეთის კეთების დაფარვის უფლისმიერ შეგონებას. სამწუხაროდ, ზოგჯერ თვით სიკეთეც იყიდება.

***— როგორც კახეთში იტყვიან ხოლმე, კარგი დედაკაცი კი ხარ, ლამარა!***

არ ვიცი, როგორ წარმოვაჩინე ერთი ქართველი ინტელიგენტის ოჯახის სახე. მათთან შინ ხშირად შენიშნავთ, როგორ ზის ნინო მამის წინ და ბრძენთა თამაშს ეთამაშება. ჭადრაკში პირველთანრიგოსანმა საკუთარი ხელით გამოძერწილი ჭადრაკის ფიგურებითაც რომ დაამახსოვრა თავი არა მარტო გარშემო მყოფთ, არამედ საქართველოს პრეზიდენტსაც, გახდა მისი სტიპენდიატი. თუმცა მასზე, ვისაც ნანახი აქვს სატელევიზიო ფილმიც (პირველი არხით) გიამბობთ: „მონოლოგი ნინო იმნაიშვილი“, გოგონამაც იცის და მისმა უმცროსმა ძმამაც, რომ წარმატება თავისით არ მოდის, შრომაა აუცილებელი...

**ცხოვრობს ეს ქართული ოჯახი წუწუნის გარეშე, მომავალს იმედით გაჰყურებს. მათი მსგავსნი ცოტანი როდი არიან, თუნდაც ჩავიხედოთ ღირსების ორდენის მფლობელთა ბევრისმთქმელ სიაში. დღეს კი ასეთია ერთი ქართველი ინტელიგენტის, მუდამ ხვალინდელი დღის განთიადის მომლოდინე იმნაიშვილების ოჯახი.**

**ნათელა ფაილოძე.**



**სურათებზე:** ედუარდ შევარდნაძე ლამარა იმნაიშვილს ღირსების ორდენს გადასცემს; ლამარა იმნაიშვილი „ენკი-ბენკის“ სტუდიაში.

უცნობი ისტორია

# ბრძოლა კავკასიისათვის

## (1942–1943 წლები)

(მეოთხე გვერდიდან)

ობერლეიტენანტი შირი მთლიანად იზიარებდა შ. მალღაკელიძის მოსაზრებას, და ასევე მიუთითებდა საბრძოლო პირობებში ბატალიონის ფრთხილი, ეტაპური გამოყენების აუცილებლობაზე, დასაწყისისათვის — ცალკეული ასეულებისა და ოცეულების დონეზე.

შ. მალღაკელიძისა და შირის მოხსენებების მიუხედავად, გერმანიის სარდლობა ნახევარზომებით შემოიფარგლა. თუმცა ბატალიონის მეთაურთა რეკომენდაციათა შესაბამისად, მისი შემადგენლობიდან გამოჰყვეს არაკეთილსაიმედო ლეგიონერებისაგან შედგენილი საგზაო-სამშენებლო ასეული და პროხლადნაიას უბანზე გადაიყვანეს, საერთოდ, მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით, სიფრთხილის აუცილებელი ზომები სრული მოცულობით მაინც არ მიუღიათ.

795-ე ბატალიონის პირველი შეტაკება წითელი არმიის ნაწილებთან მოხდა არა ბრძოლაში, არამედ პროპაგანდისტულ ფრონტზე. სექტემბერში, მდინარე ბაქსანის სამხრეთით, ნოვო-პოლტავსკოეს რაიონში დისლოცირებული 795-ე ქართული ბატალიონის მარჯვენა ფლანგის პირდაპირ დაბანაკდა ამიერკავკასიიდან ჩამოსული 392-ე ქართული საბჭოთა დივიზია პოლკოვნიკ სილაგაძის მეთაურობით. ფრონტის ამ უბანზე დივიზიამ თანდათან გაშალა პროპაგანდისტული საქმიანობა, რომლის მიზანი იყო 795-ე ბატალიონის გახრწნა. საბჭოთა პროპაგანდისტები ჰპირდებოდნენ, რომ წითელი არმიის მხარეზე გადასვლის შემთხვევაში ლეგიონერები არ დაისჯებოდნენ.

თავის მხრივ, 795-ე ბატალიონის მეთაურობამ, 392-ე დივიზიიდან მათ მხარეს გადასული ქართველი მებრძოლებისგან შეიტყო თუ არა ფრონტის ამ უბანზე ამ შენაერთის ჩასვლის ამბავი, თავადაც მიმართა კონტრპროპაგანდას, ქართველ წითელარმიელებს მოუწოდა, დაეტოვებინათ ბოლშევიკური არმიის რიგები და შეერთებოდნენ ქართულ ლეგიონს. თანმიმდევრულ პროპაგანდისტულ ორთაბრძოლაში, რაშიც ორივე მხარე მთელ თავის შესაძლებლობებს იყენებდა, წარმატება 795-ე ბატალიონს ხვდა. მისმა პროპაგანდამ, პოლკოვნიკი მაღლაკელიძე რომ წარმართავდა, განსაკუთრებით იმოქმედა ქართველ წითელარმიელებზე. გერმანული არქივის მონაცემებით, 392-ე დივიზიის პირდაპირ დისლოცირებული გერმანიის მესამე სატანკო კორპუსის 392-ე დივიზიის დაზვერვის ორგანოების მიერ მხოლოდ 1942 წლის 26 აგვისტო — 6 ოქტომბრის პერიოდში აღრიცხულია „დაახლოებით 2000 გადასული, ძირითადად 392-ე ქართული მსროლელთა ასეულის მოსამსახურე“. ამასთან, 1942 წლის 26-27 სექტემბერს ჩეგემის რაიონში გერმანიის ჯარების მხარეზე მთელი შემადგენლობით გადავიდა 392-ე დივიზიის 790-მსროლელთა პოლკის ორი ბატალიონი, მათ შორის ბევრი ოფიცერი და პოლიტხელი.

გერმანული ცნობები დასტურდება ამას წინათ საიდუმლოებამოხსნილი საბჭოთა საარქივო დოკუმენტებით. მაგალითად, სამხედრო-ისტორიულ ჟურნალში გამოქვეყნდა ამიერკავკასიის ფრონტის ჩრდილოეთის ჯარების ჯგუფის პოლიტიკური განყოფილების უფროსის, ბრიგადის კომისრის ნადორშინის პატაკი, რომელიც ეძღვნება ეროვნულ დივიზიებს (ორი — ქართული, სამი — აზერბაიჯანული, ორი — სომხური), ჯარების ამ დაჯგუფებაში რომ შედიოდა. მასში ნათქვამია, რომ „ამ დივიზიის ნაწილებში იყო დეზერტირობის, ასოთდამშავებლობისა და სამშობლოს ღალატის მასობრივი შემთხვევები. დაწვრილებით აღწერს რა იმ მძიმე მდგომარეობას, რაც შეიქმნა 89-ე სომხურ და 223-ე აზერბაიჯანულ დივიზიებში, ავტორი წერს: „ახლა ანალოგიური მდგომარეობა გამომჟღავნდა 392-ე ქართულ დივიზიაშიც. ამ დივიზიიდან მხოლოდ 4 დღეში, 9-დან 13 ოქტომბრამდე, სამშობლოს უღალატეს და მტრის მხარეზე გადავიდა 117 წითელარმიელი და მეთაური“.

სხვა ადგილას ნათქვამია: „მხოლოდ ბოლო 8 დღეში, 5-დან 13 ოქტომბრამდე, დაჯგუფების ნაწილებიდან მტრის მხარეს გადავიდა ან გადასვლას ცდილობდა 160 კაცი, მათ შორის 119 ქართველი და 14 უზბეკი“.

გასაკვირი არ არის, რომ უკვე 1942 წლის ნოემბერში დემორალიზებული, თავისი პირადი შემადგენლობის ნახევრის დამკარგავი 392-ე მსროლელთა დივიზია საქართველოში გადაიყვანეს და ფრონტზე აღარ გამოუყენებიათ.

**გიორგი მამულია,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

თარგმნა
**ვალიკო სიმონიშვილმა.**

(გაგრძელება იქნება).

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# პირველი არაბი კლონი

**მსოფლიოში მეოთხე კლონირებული ბავშვი გაჩნდა საუდის არაბეთში. ეს გამოაცხადა კომპანია clonaid-ის პრეზიდენტმა ბრიჟიტ ბუასელიემ.**

ბუასელიეს თქმით, პირველი არაბი კლონირებული ჩვილი გაჩნდა საუდელი მშობლებისაგან სამეფოს ერთ-ერთ კლინიკაში. ბავშვი თავს ნორმალურად გრძნობს. მშობიარობას ესწრებოდა clonaid-ის წარმომადგენელი.

ძირითადი პროცედურების განსახორციელებლად უშვილო წყვილი მხოლოდ რამდენიმე დღით ჩავიდა პარიზში. მაგრამ პრაქტიკულად ორსულობის მთელი პერიოდი სამეფოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

ბუასელიეს თქმით, ამჟამად წარმოებს სამზადისი საავტომობილო კატასტროფაში დაღუპული 18 წლის საუდელის გენეტიკური რეპროდუქციისათვის. უკვე აღებულია მისი კლონირებისათვის საჭირო გენეტიკური მასალა. „ასეთ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ძალზე ოპერატიულად, რათა, რაც შეიძლება მალე ავიღოთ დაღუპულის უჯრედები“, — აღნიშნა მან.



clonaid-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმ დიდ ინტერესს, რომელსაც არაბულ სამყაროში იჩენენ კლონირებისადმი „რელიგიური და საზოგადოებრივი ცრურწმენების მიუხედავად“. ბუასელიემ თქვა, რომ ამგვარი ექსპერიმენტების მოსაწყობად განაცხადები უკვე მიღებული აქვთ ლიბანიდან, მაროკოდან და სხვა არაბული ქვეყნებიდან.

ბრიჟიტ ბუასელიემ განაცხადა, რომ მსოფლიოში მეოთხე კლონის (ამჯერად ბიჭუნას) საუდელმა მშობლებმა მას ჯერ კიდევ 1999 წელს მიმართეს თხოვნით ექსპერიმენტის მოწყობის შესახებ.

შეგახსენებთ, რომ პირველი კლონირებული ბავშვის დაბადების შესახებ ცნობილი გახდა 2002 წლის 27 დეკემბერს. ეს არის გოგონა, ევა, რომელიც clonaid-ის მეთაურის თქმით, თავისი 30 წლის დედის, აშშ მოქალაქის ზუსტი გენეტიკური ასლია.

29 იანვარს ბრიჟიტ ბუასელიემ დაიფიცა, რომ პირველი კლონირებული გოგონა ისრაელში იმყოფება.

რაელიტების სექტასთან დაკავშირებულმა ბუასელიემ ეს განცხადება გააკეთა სასამართლოს მოსმენის დროს, რომელზეც წყდებოდა საკითხი ფლორიდის ხელისუფალთა მიერ ევასათვის მეურვის დანიშვნის შესახებ. ბუასელიეს ამ განცხადების შემდეგ მოსამართლე ჯონ ფრუშიანტმა განაცხადა, რომ მას არა აქვს საკმარისი რწმუნებები ამ საქმის განსახილველად და დახურა იგი.

clonaid კომპანიის მეთაურმა სასამართლოს ასევე დაუფიცა, რომ ევას შემდეგ გაჩნდა კიდევ ორი კლონირებული ბავშვი. მაგრამ მას ნანახი აქვს მხოლოდ ვიდეოფირი, სადაც ევაა გადაღებული.

ბრიჟიტ ბუასელიეს განცხადების თანახმად, მეორე კლონირებული ბავშვი 2003 წლის 4 იანვარს გაჩნდა ნიდერლანდში, ხოლო მესამე — 18 იანვარს იაპონიაში. მაგრამ, ამ ბოლო დრომდე კომპანია clonaid-ს არ მიუცია მეცნიერებისათვის იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ეს ბავშვები კლონირებული არიან და რომ ისინი საერთოდ არსებობენ.

# სილიკონის მკერდი — თვითმკვლელობის მიზეზი

**ქალები, რომლებიც იმპლანტანტების მეშვეობით იდიდებენ მკერდს, უფრო მეტად არიან მიდრეკილნი სუიციდისადმი იმათთან შედარებით, ვისაც ბუნებრივი ბიუსტი აქვთ. ასეთი დასკვნა გამოიტანეს ჰოლანდიელმა და შვედმა მეცნიერებმა.**




მკერდის გადიდების ოპერაცია პლასტიკური ქირურგიის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა. მაგრამ უტრეხტის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის მკვლევართა მონაცემებით, სილიკონის ჩანერგვა უშუალოდ უკავშირდება ქალთა უკმარისობის კომპლექსს და უკმაყოფილებას საკუთარი სხეულის გამო. თანაც, ქირურგიულ ჩარევამდე არსებული ფსიქოლოგიური პრობლემები დიდი ხნის ნანატრი „ახალი“ მკერდის შეძენის შემდეგ ხშირად ძლიერდება.

როგორც როიტერი იუწყება, მეცნიერებმა თვალი გაადევნეს 3 ათასზე მეტი შვედი ქალის ბედს, რომლებმაც გაიდიდეს მკერდი 1965-1993 წლებში. გამოირკვა, რომ პლასტიკური ქირურგების პაციენტთა შორის თვითმკვლელობების რიცხვი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე შვედეთის დანარჩენი მოქალაქეებისა. ოპერაციის შემდეგ 11 წლის განმავლობაში თავი მოიკლა 15-მა ქალმა. ამასთან, კვლევის შედეგებში არ შეუტანიათ ისინი, ვისაც ჰქონდა თვითმკვლელობის სერიოზული მიზეზი — მაგალითად, კიბოთი იყო ავად. თუმცა სილიკონის მკერდის მფლობელთა შორის გაიზარდა აგრეთვე ფილტვების კიბოთი გარდაცვლილთა რიცხვი. მეცნიერები ამას უკავშირებენ თამბაქოს წევას, რომელსაც განსაკუთრებით ეტანებიან ნევროზიანი ქალები.

მკვლევარებმა ურჩიეს პლასტიკურ ქირურგებს, ოპერაციის წინ შეაფასონ ხოლმე პაციენტების ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ბევრი ქალი დარწმუნებულია, რომ დიდი და ლამაზი ხელოვნური მკერდი მათ მყისვე ააცილებს თავიდან ყოველგვარ კომპლექსებს, — განაცხადა ერთ-ერთმა მეცნიერმა, ვერონიკა კუტმა. — მაგრამ პრობლემა მკერდის გადიდების შემდეგაც რჩება და ამის გადატანა ზოგიერთ პაციენტს, უბრალოდ არ ძალუძს.

# მაჰმადიანებს „სამი გოჭის“ კითხვას უკრძალავენ

**ბრიტანეთის ერთ-ერთ სკოლაში აიკრძალა ზღაპარი „სამი გოჭი“. წიგნი, რომლის მთავარი გმირები არიან ღორები, შეიძლება უსიამოვნო იყოს მცირეწლოვანი მუსლიმებისათვის, თვლის სასწავლებლის ხელმძღვანელობა.**



როგორც გაზეთი The Sun-ი იუწყება, ზღაპარი „სამი გოჭი“ ამოაგდეს დასავლეთ იორქშირის საგრაფოს ქალაქ ბეტლის დაწყებითი სკოლის პროგრამიდან, მრავალ სხვა საბავშვო წიგნთან ერთად, სადაც ღორია ნახსენები. კანონგარეშე გამოცხადდა ჰოლივუდის განთქმული „გოჭი ბეიბიც“.

სკოლის დირექცია ამტკიცებს, რომ ღორების ხსენება „უსიამო და შეურაცხმყოფელიც კი არის“ მუსლიმებისათვის. არადა, სკოლის მოსწავლეთა თითქმის ნახევარი ისლამის მიმდევართა ოჯახებში იზრდება. სწორედ ამიტომ, რამდენიმე დღის წინ, 7 წლამდე ასაკის მოსწავლეებს აუკრძალეს „არაპოლიტკორექტულ“ ნაწარმოებებთან ახლოს გაკარება. თუმცა, სკოლის ბიბლიოთეკაში აკრძალული წიგნები დღემდე ინახება.

მშობლებმა აკრძალვა აღმოაჩინეს სრულიად შემთხვევით, როცა ნახეს, რომ ბავშვების საშინაო რვეულებში წაშლილი იყო ყველა დავალება, რომლებიც „უწმინდურ ცხოველს“ ეხებოდა. თუმცა, მოზრდილ მუსლიმებს არ გამოუთქვამთ დიდი აღტაცება პედაგოგთა იდეის გამო. ბავშვთა ოჯახებმა ერთხმად განაცხადეს, რომ უბრალოდ აბსურდულია, ხელაღებით აკრძალო ყველა მოთხრობა, ლექსი, ზღაპარი და ფილმი, სადაც „გოჭია“ ნახსენები.

საგონებელში ჩავარდნილ მშობლებს მხარი დაუჭირა ბრიტანეთის მუფტიების საბჭოს წარმომადგენელმა ინაიათ ბანგლავალამ. „ეს არის ძალზე უცნაური სიახლე, — თქვა მან. — ჩვენი რელიგია არ უკრძალავს ბავშვებს ღორებზე დაწერილი წიგნების კითხვას. წესები კრძალავენ მხოლოდ ღორის ხორცის ჭამას და ამ ცხოველისაგან დამზადებული ნაწარმის მოხმარებას“. ხოლო ბეტლის მუსლიმთა რელიგიურმა ლიდერმა შეიჰ იბრაჰიმ მოგრამ დასძინა, რომ ნაფნაფი, ნიფნიფი და ნუფნუფი მაჰმადიანებს არავითარ საფრთხეს არ უქადიან.

# მაიორის მილიონი გირვანქა მაყურებლის ხველას გადააყოლეს?

**ბრიტანეთში დაიწყო ტელეთამაში „ვის უნდა მილიონის“ გამარჯვებულის გასამართლება. პროგრამის ორგანიზატორებს გაუჩნდათ ეჭვი, რომ მაიორმა ჩარლზ ინგრემმა ისარგებლა ერთ-ერთი მაყურებლის კარნახით.**

როგორც ბი-ბი-სი იუწყება, გამარჯვებულმა მოასწრო მილიონი გირვანქა ჩეკის აღება, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, პროგრამის ხელმძღვანელობამ სასამართლოში უჩივლა. ტელეშოუს ჩანაწერის ნახვის შემდეგ რედაქტორებმა შეამჩნიეს, რომ იმ მომენტებში, როდესაც ინგრემი ხმამაღლა ფიქრობდა, ვიღაც მაყურებელი ჩუმად ახველებდა და მას სწორ პასუხს მიანიშნებდა. პროგრამა, რომელშიც ინგრემი მონაწილეობდა, ეთერში აღარ გაუშვიათ. სამაგიეროდ, იგი აჩვენეს სასამართლო სხდომაზე, რომელიც 5 მარტს დაიწყო.

შოუს დაწყებისას ინგრემმა წამყვანს უთხრა: „ჩემთვის სულ ერთია, რამდენს მოვიგებ, ნებისმიერ შემთხვევაში ძალზე კმაყოფილი დავრჩებიო“. პირველ კითხვებს მაიორმა იოლად გასცა პასუხი, შემდეგ ისარგებლა წესებით გათვალისწინებული მაყურებელთა კარნახით და ახლობლისათვის დარეკვის შესაძლებლობით და მხოლოდ შუა თამაშიდან, როგორც ვარაუდობენ, დაიწყო ინგრემმა ნაკარნახევი პასუხებით სარგებლობა. მერვე კითხვაზე, თუ ვინ იყო ჟაკლინ კენედის მეორე ქმარი, შესთავაზეს პასუხის ოთხი ვარიანტი: ადანა კაშოგი, რონალდ რეიგანი, არისტოტელ ონასისი და რუპერტ მერდროკი. ფირზე მას შემდეგ, რაც ინგრემმა ორჯერ გაიმეორა ხმამაღლა ონასისის სახელი, ისმის ჩახველება, იგივე ამბავი მეორდება კიდევ რამდენიმე კითხვის დროს.



განსასჯელის ადვოკატი ამტკიცებს, რომ პასუხებისა და ჩახველების დროის მიხედვით დამთხვევა სრულიად შემთხვევითია, რადგან „რომელიღაც მაყურებელი ყოველთვის ახველებს, ამცხიკვებს ან გამოსცემს კიდევ რაღაც სხვა ბგერებს“.

მოწყობილმა გამოძიებამ პოლიცია გაიყვანა ტეკვენ უიტოკის — იმ მაყურებლის კვალზე, რომელიც თამაშის დროს ინგრენის შორიახლოს იჯდა. უიტოკმა დაადასტურა, რომ თამაშის დროს მართლაც ახველებდა, მაგრამ ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ალერგია აქვს მტვერზე. რაც შეეხება ინგრენის ხელშეწყობის ბრალდებას, მან ეს უარყო.

მოელიან, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება რამდენიმე კვირაში გამოცხადდება.

# ციყვი — წყლის თხილამურებზე

**ვირჯინიის შტატის ქალაქ შანტილში ამ შაბათ-კვირას ნავების გამოფენაზე გამოდიოდა მსოფლიოში ერთადერთი ციყვი, რომელიც წყლის თხილამურებით დადის.**

უნიკალური ცხოველის პატრონი ლუ ენ ბესტი ამბობს, რომ ციყვის გაწვრთნა თითქმის იგივეა, რაც ქმრის გაწვრთნა. „მთავარია, ორივეს უწილადო დიდი სიყვარული და უჩვენო, რაოდენ ერთგული ხარ მათი, მერე კი სულ მუდამ შეახსენო ხოლმე ეს“, — უთხრა მისის ბესტმა კორესპონდენტს.

ციყვი, რომელსაც სახელად ტვიგი ჰქვია, უკვე მეხუთეა ლუ ენ ბესტის პრაქტიკაში. პირველი ტვიგი გაწვრთნა მისმა მეუღლემ ჩაკმა, ჯერ კიდევ 1978 წელს. მას შემდეგ ცოლ-ქმარი ბესტები თავიანთი უნიკალური ნომრით იყვნენ პარიზში, ბერმუდის კუნძულებზე, მოიარეს მთელი აშშ და კანადა.



1997 წელს გამოსვლები შეწყდა იმის გამო, რომ ჩაკ ბესტი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა.

№5 ტვიგის წარმატების მიუხედავად, მისის ბესტი უკვე მეექვსე ციყვს წვრთნის. მან თქვა, რომ მხოლოდ ერთი ციყვი — №3, იყო მამრი. „მდედრები შედარებით იოლად იწვრთნებიან. ისინი უფრო დამჯერნი არიან. ხვადებს კი ვერაფერს გააგებინებ ამძუვნების დროს“, — აღიარა მომთვინიერებელმა.

# ყველაზე დიდი სენდვიჩი

**ბრიტანეთის ერთ-ერთი თონის მფლობელებს იმედი აქვთ, რომ მოხვდებიან გინესის რეკორდების წიგნში დედამიწის ზურგზე ყველაზე დიდი სენდვიჩის დამზადებისათვის.**

როგორც Ananova იუწყება, 2,5 კვ. მეტრი ფართობის რეკორდული სენდვიჩი დაამზადეს ინგლისის ცენტრალურ ნაწილში ჩეშირის საგრაფოს რობერტსის თონეში. მისი მფლობელი მაიკლ რობერტსი ამტკიცებს, რომ ახლანდელმა სენდვიჩმა გადაფარა 1999 წელს დამყარებული რეკორდი. რობერტსის თქმით, მან უკვე შეიტანა განაცხადი გინესის წიგნში და ახლა ელოდება ექსპერტთა ჩამოსვლას, რომელთაც უნდა დაადასტურონ ახალი რეკორდის დამყარება.

გიგანტური სენდვიჩი დაახლოებით ორ ტონას იწონის და დამზადებულია პურის, თუნოსის, მაიონეზისა და კიტრისაგან.

ამჟამად გიგანტი ქალაქ ბირმინჰემის ეროვნულ საგამოფენო დარბაზშია გამოტანილი და გინესის წიგნში დაფიქსირების შემდეგ „განადგურდება“.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**

**არჩილ მანჯგალაძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ორშაბათი
17 მარტი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.10 მხ. ფილმი "ველური ბუნება" 11.40 "მოდა ყველასათვის" 12.00, 15.00, 20.00 "მოამბე" 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 ნაშუადღევს 14.05 დოკ. სერიალი "ნასკას გამოცანა" 15.15 მხ. ფილმი "ჩემი გმირის გმირი" 16.50 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 17.00 ტელესერიალი "ძილის წინ" 17.15 "რამპა" 17.20 50-50 18.00 "ვესტნიკი" 18.20 დოკ. სერიალი "ხელოვნების სცენარები" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ბრავოკავალიერ" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.55 მუს.პაუზა 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საქართველო" 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 "რა ხდება?" 23.55 მხ. ფილმი "სიცოცხლე და სხვა არაფერი"

---

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 მოგზაურობა სასტუმროში 21.00 ჯანმრთელობა 21.30 დოკ. ფილმი 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "ჩრდილი ან იქნებ ყველაფერმა ჩაიარის"

---

17.00, 01.00 იმედის მელოდიები 17.56, 20.57 ახალი ამბების დაიჯესტი 18.00 სერიალი "მოგონებები ესპანეთის მოედნიდან" 19.00, 22.00, 00.50 ახალი ამბები 19.30, 21.00 სერიალი "ბანდიტური პეტერბურგი" 20.30 8 1/2 სპორტული პროგრამა "გოლი" 22.45 კინონოსტალგია "მშფოთვარე გული" (მერილ სტრიპი, სემ ნილი)

---

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "მედისონის სკოლა" 19.05 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა" 20.05 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.05 მხ. ფილმი "კარგი გოგონა" მთ. რ-ში: ჯენიფერ ენისტონი 02.00 კლასიკა

---

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "□□□□ სფეი" 10.20 მხ.ფ. "□ოგანიერი □ბი" 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. "საზღვარი" 22.40 "ბურთი და მოედანი" 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "თამაში წესე□ის გარეშე" 01.30 ღამის ფილმი

---

კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი "პროფესიონალი" 15.00 მხ. ფილმი "მეხუთე ელემენტი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "ეშმაკის საკუთრება" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "ნაიარევი სახე"

---

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 "ვარსკვლავები გვესწრებიან" 13.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 14.00 მხ. ფილმი "დრაკულა" 15.00, 21.00 ვესტი 15.30 ფილმის გაგრძელება 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 ექსტრაორდინალური 20.30 "გვარიშვილობა" 21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები 22.30 პირველი ნაბიჯები 23.00 მუსიკალური პაუზა 23.25 ინდური მხ. ფილმი

---

08.00 ტორროლა 11.00 განმეორებით ქართული მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "ჩრდილი გაუგრდა მოსვლაში" მთ. როლ-ში ბინ ბელები 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 ფილმი ბრავო "შეშლილის სიკვდილის და ბოროტების ბალში" მთ. როლ-ში კევინ სპეისი 01.40 ფილმი ღამურა "მგელი" მთ. როლ-ში ჯეკ ნიკოლსონი, მიშელ პფაიფერი 03.45 პაუზის გარეშე

---

09.35 მხ. ფილმი "ჩილაძე ნაშუადღევის ფული" 11.20, 15.45, 17.25, 18.25, 21.55, 23.50 მუსიკა 11.25 მხ. ფილმი "ოჯახური ქვეყანა" 11.45, 12.45, 17.50, 18.25, 21.55, 23.50 მუსიკა 13.00 დოკ. ფილმი "ფოტორობოტი" მე-4 ს. 13.45 მარიონეტების ფილმი "ყოჩაღები". "ბაბაგუნი" 13.55 გადაცემა "ოსტატები" - მოდელირება 14.15 "ბელისიმო" - უოტერი 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.45 "მსოფლიო ფეხბურთი" 15.15 მულტფილმი "კასპერი - მოჩვენებების შობა" 16.30 დოკ. სერიალი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" მე-1 ს. 18.00 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 18.40 მულტფილმი "ალექსი" 24-ე ს. 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 136-ე სერია 20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 21.00 მხ. სერიალი "ჰე. აი. პი" 22.00 "ტელემეტრი" 22.15 მხ.ფილმი "ეშმაკის მსხვერპლი" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ.ფ. "უკანასკნელი ზარი"

---

19.00 საინფორმაციო გამოშვება 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 19.45 დოკუმენტური ფილმი 20.15 მელოდრამა "ძმისწული" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 22.55, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.00 "ალტერნატივა" საავტორო გადაცემა 01.00 კომედია "ბატონი შეცდომა" 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 03.30 დრამა

**VII არხი**

09.25 "აჩიკუდა" 09.45 აუდიო-ვიდეო-ტელე 10.25 სპორტი 10.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა მელოდია 11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 12.00 "ობიექტივი"-სტუმარი (გამეორებით) 12.50 კომპიუტერული ტექნიკა 13.40 დისნეი და მისი მეგობრები 14.00 კომპიუტერული თამაშები 14.15 მობილურები 18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე 19.00 "აჩიკუდა" 19.35 კომპიუტერული ტექნიკა 20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა 20.55 კომპიუტერული თამაშები 21.10 "ლა-ლა-ლა" 22.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 22.25 "კინოკლუბი " - "ელისაბედი" ისტორიული. როლებში: ქეით ბლანშეტი და ჰეფრი რაში 00.20 მობილურები 01.10 "ბიორითმი"

## სამშაბათი
18 მარტი

07.30 ალიონი 09.45 მხ. ფილმი "სიცოცხლე და სხვა არაფერი" 12.00, 15.00, 20.00 "მოამბე" 11.30 სერიალი "კონტაქტი" 12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 ნაშუადღევს 14.05 "ლერესის შოუ" 15.00 ფეხბურთი. თბილისის "ლოკომოტივი" - წნორის "მილონი" 16.50 მუსიკალური ფილმი "ძველი ქართული საგალობლები" 17.15 ტელესერიალი "ძილის წინ" 17.30 შემეცნებითი ფილმი - მოგზაურობა დედამიწის გარშემო 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ხელოვნების სცენარები" 18.35 ბასტი-ბუბუ 18.55 "და არს მუსიკა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 "სათავეებთან" 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 "რა ხდება?" 23.55 მხ. ფილმი "ჩრდილი ან იქნებ ყველაფერმა ჩაიაროს"

---

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 ამბები ჩვენზე 21.00 დოკ ფილმი 21.30 ასპარეზი 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "მადმუაზელი"

---

17.00, 01.00 იმედის მელოდიები 17.56, 20.57 ახალი ამბების დაიჯესტი 18.00 სერიალი "მოგონებები ესპანეთის მოედნიდან" 19.00, 22.00, 00.55 ახალი ამბები 19.30, 21.00 სერიალი "ბანდიტური პეტერბურგი" 20.30 8 1/2 პლანეტა ჰოლივუდი 22.45 მძაფრსიუჟეტიანი კინო "სიცილიელი" (კრისტოფერ ლამბერტი)

---

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00,18.00, 21.00, 01.40 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა" 19.30 პერეკროსტოკი 20.05 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 23.40 ჩემპიონთა ლიგა. 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.40 კლასიკა

---

08.00 ანონსი, აღსავალი 08.05 დიალოგი 10.35 "ბურთი და მოედანი" 10.50 მხ. ფილმი "საზღვარი" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 14.50, 17.20, 19.30, 21.45, 23.30, 00.55 მუსიკა 15.15 მხ.ფ. "თამაში წესე□ის გარეშე" 17.30 მულტფილმი 20.00 მხ.ფ. "როცა კვლავ შევხვდე□ით" 1 ნაწილი 22.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი "როცა კვლავ შევხვდე□ით"2 ნაწილი 01.10 ღამის ფილმი

---

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ნაიარევი სახე" 15.00 მხ. ფილმი "პატივმოყვარეობის კოცონი" 16.30 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "დიდიე" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "დიდი რბოლა"

---

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" 12.30 სალონი 14.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 15.00, 21.00 ვესტი 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "სალონი" 21.30 "სპორტის სამყარო" 22.30 სტუდია "ეკონომისტი" 23.30 მუსიკალური პაუზა 00.00 მხ. ფილმი "რაზმი "ზღვის კატები"

---

08.00 ტორროლა 11.00 განმ. უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "გრძნობების გარეშე " მთ. როლ-ში დევიდ სპეიდი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 რუსული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 აბა გამოიცანი მელოდია 00.00 ფილმი ბრავო "უხამსი საქციელი " მთ. როლ-ში კეტი ჰოლმსი 01.40 ფილმი ღამურა "ლეგენდა ველურ დასავლეთზე " მთ. როლ-ში კურტ რასელი 03.45 პაუზის გარეშე

---

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 14.15, 17.50, 18.30, 19.50, 21.55, 23.45 მუსიკა 10.00 მულტფილმი "ალექსი" 24-ე ს. 10.30 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "ჰე. აი. პი" 12.45 მხ.ფ. "უკანასკნელი ზარი" 14.20 "ტელემეტრი" 14.45 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 15.10 მხ. ფ. "ეშმაკის მსხვერპლი" 16.30 დოკ. სერიალი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" მე-2 ს. 18.00 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 18.35 მულტსერიალი "ალექსი" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.00 მხ. სერიალი "ჰე. აი. პი" 22.15 მხ. ფილმი "დრაკონთა ბრძოლა" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ. ფილმი "ორმოცდაათ წელიწადში"

---

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 საბავშვო ფილმი "მატჩი" 11.00 დოკუმენტური ფილმი 12.15 კომედია "ბატონი შეცდომა" 13.50 დრამა "მკვდარი პოეტების საზოგადოება" 16.15 მულტფილმი 17.40 კომედია "თავზეხელაღებულნი" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 «Ï ðåññ-ï àï üå» 19.40, 22.50, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 19.50 დოკუმენტური ფილმი 20.30 მელოდრამა "წარმატების ფასი" 21.55 "გალერეა" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.40 «Ï ðåññ-ï àï üå» 23.00, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.05, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.10 დოკუმენტური ფილმი 01.00 მხატვრული ფილმი "ცირკი დაიწვა და ჯამბაზები გაიფანტნენ" 03.30 მელოდრამა "გონება და გრძნობები"

**VII არხი**

09.10 მელოდია 09.25 "აჩიკუდა" 09.50 "ბედნიერი ერი" 09.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) მელოდია 11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 12.00 მობილურები 12.45 "ბიორითმი" . 13.05 აუდიო-ვიდეო-ტელე 13.45 კომპიუტერული თამაშები 13.50 დისნეი და მისი მეგობრები 14.15 კომპიუტერული ტექნიკა 18.20 კომპიუტერული ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20.05 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა 20.45 კომპიუტერული თამაშები 20.55 "ღამის კაპრიზი" 21.55 მობილურები 22.45 "კინოკლუბი" - "სამიზნეზე". მყაფრსიუჟეტიანი. მთ. როლებში: დოლფ ლუნდგრენი. 00.35 აუდიო-ვიდეო-ტელე 01.10 "ბიორითმი" .

## ოთხშაბათი
19 მარტი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ჯაშუშები" 10.15 მხ. ფილმი "ჩრდილი ან იქნებ ყველაფერმა ჩაიაროს" 11.15 "ცირკი" 12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 ქართული ენის გაკვეთილი 14.30 "წყვილები და დუეტები" 15.15 მხ. ფილმი "დონ ჟუანი" 16.50 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 17.05 ტელესერიალი "ძილის წინ" 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ხელოვნების სცენარები" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ისტორიანი" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 "მათი შვილები" 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 "რა ხდება?!" 23.55 მხ. ფილმი "მიწის კონტროლი"

---

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 და არს მუსიკა 21.00 დოკ. ფილმი 21.30 წარსულის ტერიტორია 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "სია"

---

17.00, 00.55 იმედის მელოდიები 17.56, 20.57 ახალი ამბების დაიჯესტი 18.00 სერიალი "მოგონებები ესპანეთის მოედნიდან" 19.00, 22.00, 00.45 ახალი ამბები 19.30, 21.00 სერიალი "ბანდიტური პეტერბურგი" 20.30 8 1/2 სპორტული პროგრამა "ესტაფეტა" 22.45 ფანების კინოკლუბი "ურჩხული"(რობერტო ბენინი)

---

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი? 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "მედისონის სკოლა" 19.05 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა" 20.05 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 23.40 ჩემპიონთა ლიგა. 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.40 კლასიკა

---

08.00 ანონსი, აღსავალი 08.05 დიალოგი 10.30 მხ. ფილმი "როცა კვლავ შევხვდე□ით" 1 ნაწილი 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 14.30 დოკ. ფილმი 14.50, 17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30, 01.05 მუსიკა 15.15 მხ. ფილმი "როცა კვლავ შევხვდე□ით" 2 ნაწილი 17.30 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 19.45 გადაცემა - მურადა 20.00 მხ.ფ. "გულე□ი ატლანტიდაში" 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "ტელეხედვა" 01.30 ღამის ფილმი

---

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "დიდი რბოლა" 14.40 მხ. ფილმი "სამი სურვილი" 16.30 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "სასიყვარულო ისტორია" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი" 22.30 მხ. ფილმი "ლამაზმანი ჯო"

---

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 "სალონი" 13.30 ექიმი გვირჩევს 14.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 15.00, 21.00 ვესტი 15.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 სცენის ოსტატები 20.30 მულტფილმი 21.30 "სპორტის სამყარო" 22.30 თინეიჯერი 23.30 მუსიკალური პაუზა 23.55 მხ. ფილმი "მთელი მსოფლიოც არ კმარა"

---

08.00 ტორროლა 11.00 განმეორებით რუსული მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "უცოლო" მთ. როლ-ში კრის ო დონელი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 ქართულ-უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 ჩაძიროზანა 00.00 ფილმი ბრავო "მზის სხივის გემო" მთ. როლ-ში რეიჩელ უაიზი 01.40 ფილმი ღამურა "თანახმა და წინააღმდეგი" მთ. როლ-ში ბობ ბალაბანი 03.50 პაუზის გარეშე

---

09.30, 14.30, 17.30, 20.30 დღის ამბები 09.50, 11.55, 14.25, 17.15, 17.50, 18.30, 19.50, 20.20, 21.00, 21.50 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 10.30 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "ჰე. აი. პი." 12.45 მხ. ფილმი "ორმოცდაათ წელიწადში" 14.45 "ევროპის სტადიონებზე" 15.05 მხ. ფილმი "დრაკონთა ბრძოლა" 16.30 დოკ. სერიალი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" მე-3 ს. 18.00 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 18.40 მულტსერიალი "ალექსი" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.15 ნინო ანანიაშვილი 22.00 "ტელემეტრი" 22.15 მხ.ფილმი "გრიგალი" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ. ფილმი "შემცვლელი-2"

---

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 სათავგადასავლო ფილმი "თავზეხელაღებულთა კუნძული" 11.15 დოკუმენტური ფილმი 12.15 მელოდრამა "გონება და გრძნობები" 14.40 კომედია "მანიტუს მაკასინები" 16.15 მულტფილმი 17.25 მხატვრული ფილმი "ვარსკვლავი" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "პრესდაიჯესტი" 19.35, 22.50, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 20.00 დოკუმენტური ფილმი 20.20 კომედია "მწვანე პასპორტი" 22.40 "პრესდაიჯესტი" 23.00, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.05, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.10 "ალტერნატივა" საავტორო გადაცემა 01.00 თრილერი "მერია" 03.30 მელოდრამა "ზღვა სიყვარული"

**VII არხი**

09.15 მელოდია 09.25 "აჩიკუდა" 09.50 აუდიო-ვიდეო-ტელე 10.30 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა -განმეორებით 11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 12.00 კომპიუტერული ტექნიკა 12.45 "ბიორითმი" - . 13.05 მობილურები 13.50 დისნეი და მისი მეგობრები 14.10 კომპიუტერული თამაშები 14.25 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე 19.00 "აჩიკუდა" 19.40 მობილურები 20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.00 კომპიუტერული თამაშები 21.05 "ლა-ლა-ლა" 22.00 კომპიუტერული ტექნიკა 22.30 მელოდია 22.50 "კინოკლუბი " - "მზის დევნა". საფრანგეთი-პოლონეთი 1997 წელი. კომედია. რეჟ-ჩარლზ კენგენისი როლებში: ჯერმს ბელუში ჰოლი ბერი 00.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 01.25 "ბიორითმი"

## ხუთშაბათი
20 მარტი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ჯაშუშები" 10.10 მხ. ფილმი "მიწის კონტროლი" 11.45 დოკ. სერიალი "მოდა ყველასათვის" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 "ნაშუადღევს" 14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.30 "თბილისი და თბილისელები" 15.15 მხ. ფილმი "ფრენკის ვარსკვლავები" 16.55 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 17.10 ტელესერიალი "ძილის წინ" 17.25 რამპა 17.30 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" (როდოსი) 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ხელოვნების სცენარები" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ჯანმრთელობა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 საქართველო არის ესე 22.10 "არტ-მობილი" 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 "რა ხდება?!" 23.55 მხ. ფილმი "ზიზლი" 01.30 ქართული ენის გაკვეთილი

---

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 ისტორიანი 21.00 შვიდეული 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "ვატელი"

---

17.00, 01.05 იმედის მელოდიები 17.56, 20.57 ახალი ამბების დაიჯესტი 18.00 სერიალი "მოგონებები ესპანეთის მოედნიდან" 19.00, 22.00, 00.55 ახალი ამბები 19.30, 21.00 სერიალი "ბანდიტური პეტერბურგი" 20.30 8 1/2 "არტ-ბულვარი" შოუ ბიზნესი 22.45 კინოვარსკვლავთა ღამე "სვანის სიყვარული" (ორნელა მუტი, ჯერემი აირონსი)

---

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "მედისონის სკოლა" 19.05 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა" 20.05 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 00.05 მხ. ფილმი "წითელი წრე" მთ. რ-ში: ალენ დელონი 02.10 კლასიკა

---

08.00 ანონსი, აღსავალი 08.05 დიალოგი 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 14.50, 17.20, 17.30, 21.55, 23.30, 00.50, 01.55 მუსიკა 18.45 ბუნების ფერები 19.30 კონცერტი 21.00 ტელესინე-ვიდეო (განმეორებით) 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "ტანგო" 00.55 მხ.ფ. "ორნი ქალაქში" 02.10 ღამის ფილმი

---

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი" 13.30 მხ. ფილმი "ლამაზმანი ჯო" 15.00 მხ. ფილმი "ლამაზმანი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "დაიჭირეთ გოჩი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი 2" 22.30 მხ. ფილმი "ოცნების ზღვარი"

---

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00, 21.30 სალონი 13.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 14.30 დოკ. ფილმი საქართველოზე 15.00, 21.00 ვესტი 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "სპორტის სამყარო" 20.30 მულტფილმი 23.00 "ერთი ერთზე" 23.30 მუსიკალური პაუზა 23.50 მხ. ფილმი "დარტყმის სიშორეზე"

---

08.00 ტორროლა 11.00 განმ. ქართულ-უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "თავქარიანი" მთ. როლ-ში მეთიუ ბროდერიკი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 მუსათეული მიქსი 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 აბა გამოიცანი მელოდია 00.00 ფილმი ბრავო "გაქცევა შოუშენკიდან" მთ. როლ-ში მორგან ფრიმენი 01.45 ფილმი ღამურა "მზად ნველაფრისთვის" მთ. როლში ნიკოლ კიდმანი 03.45 პაუზის გარეშე

---

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.25, 17.50, 18.30, 19.50, 21.55, 23.50 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 10.30 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "ჰე. აი. პი." 12.45 მხ. ფილმი "გრიგალი" 14.15 "ტელემეტრი" 14.45 "ევროპის სტადიონებზე" 15.10 მხ. ფილმი "შემცვლელი-2" 16.30 დოკ. სერიალი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" მე-4 ს. 18.00 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 18.40 მულტფილმი "მხიარული მელოდიები" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 20.00 დოკ. ფილმი "სინათლის სხივში" 21.00 მხ. სერიალი "ჰე. აი. პი." 22.00 "ჩემი ქვეყანა" 22.15 მხ. ფილმი "ფარული მოქმედება" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ. ფილმი "კომპიუტერული მოჩვენება"

---

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 საბავშვო ფილმი "საკალთბურთო ციებხელება" 11.00 დოკუმენტური ფილმი 12.15 მხატვრული ფილმი "უძილობა სიეტლში" 14.00 კომედია "ვერაფერს ვხედავ, არაფერი მესმის" 16.15 მულტფილმი 17.35 თრილერი "მომკალი მოგვიანებით" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 19.35 "პირისპირ" საავტორო გადაცემა 20.30 მელოდრამა "მოგონებანი" 21.55 "გალერეა" საავტორო გადაცემა 22.45, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.00 დოკუმენტური ფილმი 01.00 კომედია "შეშლილი პროფესორი – 2" 03.30 თრილერი "ზღვის ლომების ჯგუფი"

**VII არხი**

09.10 მელოდია 09.25 "აჩიკუდა" 09.45 მობილურები 10.10 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით 11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 11.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 12.10 "ბიორითმი" - . 12.30 აუდიო-ვიდეო-ტელე 13.00 დისნეი და მისი მეგობრები 13.20 კომპიუტერული თამაშები 13.40 კომპიუტერული ტექნიკა 18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.40 აუდიო-ვიდეო-ტელე 20.20 კომპიუტერული თამაშები 20.25 ღამის კაპრიზი" - თემა: 21.25 მობილურები 22.10 რაგბი - ზე12 სიდნეი - პრეტორია 23.40 სპორტული პროგრამა - "უეფას"-ს თასის ნახევარფინალი. 01.30 კომპიუტერული ტექნიკა 02.10 "ბიორითმი"

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## პოზიცია

(პირველი გვერდიდან)

შპს „ლილი და კომპანია“ სს „აზოტის“ ერთ-ერთი მსხვილი კრედიტორია, იგი ეთანხმებოდა და ახლაც ეთანხმება სს „აზოტის“ რეაბილიტაციის გეგმას, რომელიც მიღებულია ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ 2001 წლის 27 ივნისს №12ა-192-01 განჩინებით, და რომელიც 2004 წლის ივლისამდე უნდა განხორციელდეს. აღნიშნული კანონი ძალაშია შესული.

სს „აზოტის“ ირგვლივ კი ტელევიზიისა და მედიის საშუალებით ძალიან ბევრ არასწორ ინფორმაციას ვისმენთ.

ხოლო ფაქტი ერთია: სს „საქგაზმა“ (შემდგომში „დამკვეთი“) და სს „აზოტმა“ (შემდგომში „შემსრულებელი“) ურთიერთშორის 2001 წლის 5 სექტემბერს გააფორმეს ხელშეკრულება №286, რომლის თანახმადაც დამკვეთი კისრულობდა შემსრულებლისგან მიწოდებული პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ თითოეული ტონიდან 6 აშშ დოლარი გადაეხადა სს „აზოტის“ კრედიტორებისთვის. სს „საქგაზმა“ ეს პირობა არ შეასრულა.

# ერთმნიშვნელოვნად და კანონიერად მოვითხოვთ...

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, კომპანია „იტერამ“ და შპს „გაომ“ – სს „აზოტის“ კრედიტორთა კომიტეტმა, სს „აზოტის“ კრედიტორთა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს კომპანია „იტერას“ წარმომადგენელი ვ. რასოლენკო. იმავდროულად, ვ. რასოლენკო მუშაობდა და ახლაც მუშაობს სს „საქგაზის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ.

სს „საქგაზის“ 100-პროცენტიანი დამფუძნებელი კომპანია „იტერაა“.

ვ. რასოლენკომ სს „აზოტის“ კრედიტორთა ინტერესების დაცვის ნაცვლად სს „საქგაზი“ ხელშეკრულება №286-ით სს „აზოტის“ დებიტორი გახადა.

სს „აზოტიდან“ ზემოხსენებული ხელშეკრულების საფუძველზე მილიონობით ლარი უკანონოდ გადაიქაჩა სს „საქგაზში“ კრედიტორების ინტერესების საწინააღმდეგოდ, რითაც კრედიტორებმა, მათ შორის ჩვენც, ზემოთ ხსენებული რეაბილიტაციის გეგმისა №286 ხელშეკრულების კრედიტორების ნაწილში შეუსრულებლობის გამო დამატებით ვიზარალეთ.

სს „საქგაზს“ დღეისათვის სს „აზოტის“ კრედიტორების მილიონობით ლარი მართებს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ 2002 წლის 16 დეკემბერს №2/ა-265-02 გადახდის ბრძანებით დაადგინა: მოვალე სს „საქგაზმა“ განმცხადებლის – სს „აზოტის“ სასარგებლოდ გადაიხადოს 2 587 977 აშშ დოლარი და 5000 ლარი.

მანვე 2002 წლის 26 დეკემბრის (საქმე №2/ა-265) განჩინებით დააყადაღა სს „საქგაზის“ კუთვნილი 18000 ტონა მზა პროდუქცია სარჩელის (კრედიტორების მოთხოვნის) უზრუნველყოფის მიზნით.

სს „საქგაზს“, რომლის 100 პროცენტის მფლობელი კომპანია „იტერაა“, ვ. რასოლენკოს მხარდაჭერით, უნდა კრედიტორების კუთვნილი ფულით, უფრო ზუსტად, კრედიტორების კუთვნილი ფულის ნაწილით შეისყიდოს თვით სს „აზოტი“ 500 000 აშშ დოლარად.

ესაა ეკონომიკური ტერორის ტიპური მაგალითი, რომელსაც ახორციელებენ სს „აზოტზე“ და, შესაბამისად, სს „აზოტის“ კრედიტორებზე, რომლებიც 134-ზე მეტნი ვართ. ამ ფირმების უკან დგას ათასობით ადამიანი და სახელმწიფოც, ვინაიდან ყოველი ეკონომიკური ტერორი, განხორციელებული ზემოხსენებული ფირმების წინააღმდეგ, პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო ბიუჯეტთან.

სამწუხაროდ, სახელმწიფო სტრუქტურები ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევენ ფაქტებს, როდესაც ცალკეული ადამიანები ცივი გონებით უკანონოდ ათეულობით ფირმას ეკონომიკურ ტერორს უწყობენ.

რეაბილიტაციის გეგმის პერიოდში, დღემდე განვლილი 18 თვის განმავლობაში მარტო ჩვენმა ფირმამ 360 000 ლარის ზარალი განიცადა.

კომპანია „იტერას“ წარმომადგენლებმა მასმედიაში ასევე განაცხადეს, თითქოს სს „აზოტის“ კრედიტორები თანახმანი ვართ კომპანია „იტერას“ გეგმებზე სს „აზოტის“ აქციების შეძენასთან დაკავშირებით და ა. შ.

ტყუილია!

თვენახევრის წინათ სს „აზოტში“ ჩატარდა თათბირი, რომელზეც მოწვეული ვიყავით სს „აზოტის“ კრედიტორები, ასევე ქ. რუსთავის მერიის წარმომადგენლები.

თათბირს თავმჯდომარეობდა სს „საქგაზის“ გენერალური დირექტორი ლ. დეიკალო.

ერთ-ერთ საკითხად თათბირზე კრედიტორებს გვთხოვეს: კომპანია „იტერას“ მიერ სს „აზოტის“ აქციების მიყიდვის თაობაზე გამოგვეხატა კრედიტორებს პოზიცია.

სს „აზოტის“ კრედიტორებმა, ვინც ვესწრებოდით თათბირს, ერთმნიშვნელოვნად განვაცხადეთ უარი კრედიტორების თანხმობაზე. ვინაიდან სს „აზოტის“ აქციების მფლობელი სახელმწიფოა, შესაბამისად, სახელმწიფომ და მისმა სტრუქტურებმა უნდა გადაწყვიტონ, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, რას უზამენ აქციებს. შესაბამისად, ერისა და მომავალი თაობის წინაშე თვითონ უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი თავიანთ მოქმედებებზე.

თათბირზე ერთ საკითხად კრედიტორთა კომიტეტის თავმჯდომარე ვ.რასოლენკომ გამოაცხადა: სს „აზოტის“ პირველი წლის რეაბილიტაციის გეგმა 20 პროცენტით, ფაქტობრივად კი 19,8 პროცენტით შესრულებულიაო.

გაირკვა კი შემდეგი: სს „აზოტის“ რეაბილიტაციის გეგმის თანახმად, პირველ კალენდარულ წელს კრედიტორებისათვის უნდა გადაეხადათ დავალიანების 20 პროცენტი.

სს „აზოტის“ ადმინისტრაციას ამ დროის განმავლობაში სამოქალაქო დავებში სხვადასხვა ფირმებისათვის სხვადასხვა სასამართლო ინსტანციებში მოუგია 7000000 ლარი და წაუგია 12000000 ლარი.

თურმე მოგებულ 7 000000 ლარში გულისხმობს 19,8 პროცენტით კრედიტორული დავალიანების შემცირებას 20-პროცენტიანი გეგმის შესრულებას.

ამაზე კომენტარი ზედმეტია!!!

ბატონი ვ. რასოლენკო ან უვიცია, ან ჩვენ ყველას გვთვლის უვიცად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ლილი და კომპანია“ გთავაზობთ შემდეგ წინადადებას: რაკი სს „აზოტის“ ყველაზე მსხვილი კრედიტორი საქართველოს ფინანსთა სამინისტროა (33 000000 ლარი), ამიტომ:

1. კრედიტორებმა სასწრაფოდ მოვიწვიოთ თათბირი;

2. სს „აზოტის“ კრედიტორთა კომიტეტის თავმჯდომარე გავათავისუფლოთ თანამდებობიდან;

3. როგორც ყველაზე მსხვილი კრედიტორი, სს „აზოტის“ კრედიტორთა კომიტეტის თავმჯდომარედ ავირჩიოთ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი;

4. შეიქმნას კრედიტორთა ახალი კომიტეტი.

სს „საქგაზში“ შეხვედრებზე და ასევე სს „აზოტში“ ვ. რასოლენკოსთან შეხვედრებზე შპს „ლილი და კომპანიამ“ რამდენჯერმე ვამხილეთ, თუ რის განხორციელებასაც აპირებენ ვ. რასოლენკო და ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე სს „აზოტის“ წინააღმდეგ:

ა. კომპანია „იტერა“ 500 000 აშშ დოლარად შეისყიდის სს „აზოტის“ აქციებს (ისევ სს „აზოტისა“ და სს „აზოტის“ კრედიტორების მითვისებული კუთვნილი ფულის ნაწილით).

ბ. კომპანია „იტერა“ ქონების დაკანონების შემდეგ მოიწვევს უცხოელ აუდიტორს.

გ. უცხოელი აუდიტორი ამჯერად რეალურად შეაფასებს სს „აზოტის“ ქონებას.

დ. აღმოჩნდება, რომ კომპანია „იტერამ“ 500 000 დოლარად შეიძინა სს „აზოტის“ ქონება, რომლის საბალანსო ღირებულება იქნება დაახლოებით რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი.

ე. ამის შემდეგ, როგორც ასეული მილიონი ქონების მფლობელი, კომპანია „იტერა“ სასამართლოს ძალით უპრობლემოდ შეცვლის რეაბილიტაციის გეგმას საგაკოტრებო მორიგებით.

ვ. ეს იმას ნიშნავს, რომ სს „აზოტის“ კრედიტორებს მინიმუმ 100 წელიწადი მოუწევთ ლოდინი და ა. შ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ არ მიიღებენ ჩვენს წინადადებებს (რადგანაც ვხედავთ, როგორ ამუშავებენ და შეცდომაში შეჰყავთ, ალბათ, სხვადასხვა გარიგებებით რამდენიმე კრედიტორი), შპს „ლილი და კომპანიის“ ადმინისტრაცია აცხადებს, რომ არ სურს დაირღვეს ჩვენი არც სამართლებრივი და არც კონსტიტუციური უფლება, ამიტომ მოვითხოვთ, კომპანია „იტერასთან“ ხელშეკრულების გაფორმების დროს გათვალისწინებული იქნას კრედიტორების უფლებები, მათ შორის:

**1. რომ ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის შესრულებამდე დარჩენილია 18 თვე, რომ ქ. რუსთავის სასამართლოს მიერ დამტკიცებული განჩინება კანონიერ ძალაშია შესული და მისი შეცვლა არავის არ შეუძლია.**

**2. კომპანია „იტერამ“ აქციის შესრულებასთან ერთად გადაიხადოს კრედიტორების ვალი დარჩენილ 18 თვეში.**

**თუ ის კრედიტორები, რომელთა დამფუძნებელიც სახელმწიფოა, ნებისმიერი სხვა ფორმით სხვა წინადადებას დააყენებენ, მაშინ კერძო კრედიტორები, მათ შორის ჩვენც, ერთმნიშვნელოვნად და კანონიერად მოვითხოვთ: კომპანია „იტერამ“ აქციის შესყიდვასთან ერთად წინასწარ გადაიხადოს კერძო კრედიტორების ვალიც და ეს ჩაიდოს ხელშეკრულებაში, რომელიც გაფორმდება კომპანია „იტერასთან“.**

**მერაბ კიკვაძე,**
**შპს „ლილი და კომპანიის“ გენერალური დირექტორი.**

## [illegible]



ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი

21.03 (18.00) volfgang amadeus mocarti "დონ ჟუანი". opera or moqmedebad. [illegible] - giorgi Jordania.

23.03 (12.00) adolf adani "Jizeli". baleti or moqmedebad. [illegible] - giorgi Jordania.

*fasi 2-5 lari.*

[illegible]
[illegible] "[illegible]" [illegible].
[illegible]: 93-11-06

22.03, 23.03 (14.00) sabavSvo zRapari "ყველაზე დიდი სასწაული" damdgmeli reJisori - avTo varsimaSvili.

22.03 (19.00) kinomsaxiobTa Teatris speqtakli "ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" damdgmeli reJisori - giorgi margvelaSvili.

19.03 (19.00) daTo teraSvili "ჯინსების თაობა" damdgmeli reJisori - daTo doiaSvili.

20.03 (19.00) premiera. "სამი ნოველა" damdgmeli reJisori - lela WinWarauli.

21.03 (19.00) avTo varsimaSvili "პროვოკაცია" damdgmeli reJisori - avTo varsimaSvili.

23.03 (19.00) jozef ozborni "კომედიანტები" damdgmeli reJisori - avTo varsimaSvili.

*fasi 5 lari.*

**თეატრალური სარდაფი**
რუსთაველის გამზ. 42. ტ. 99-95-00

18.03, 20.03, 21.03 (20.00) nino basilia "თავვი". damdgmeli reJisori - levan wulaZe.

19.03 (20.00) nana janeliZe "ანტიგონე". damdgmeli reJisori - nana janeliZe.

*[illegible] 5 [illegible].*

**ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო თეატრი**

**დიდი დარბაზი**

18.03 (15.00) daviT kldiaSvili "დარისპანის გასაჭირი" damdgmeli reJisori - oTar baRaTuria.

19.03 (15.30), 21.03 (15.00) hans kristian anderseni "თოვლის დედოფალი" qarTul enaze. damdgmeli reJisori - gia kitia.

**მცირე დარბაზი**

23.03 (12.00) "ოქროს წიწილა" damdgmeli reJisori - anzor CxikvaZe.

*fasi 2 lari.*

[illegible]
[illegible]. [illegible] [illegible]. 10

21.03 (18.00) uiliam Seqspiri "ჰამლეტი". damdgmeli reJisori _ robert sturua.

22.03 (18.00) ilia WavWavaZe "კაცია-ადამიანი?!" damdgmeli reJisorebi _ robert sturua, andro enuqiZe.

23.00 (18.00) samuel beketi "გოდოს მოლოდინში". damdgmeli reJisori _ robert sturua.

*[illegible] 5-10 [illegible].*

**ვაკის სარდაფი**
ჭავჭავაძის. 32. ტ. 91-27-78

18.03 (20.00) uiliam Seqspiri "ვენეციელი ვაჭარი". damdgmeli reJisori - levan wulaZe.



**კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი**
მარჯანიშვილის ქ. 8 95-55-00

23.03 (18.00) premiera. inga garuCava, petre xotianovski "მიტევების დღე" damdgmeli reJisori - qeTi doliZe. mono speqtakli guranda gabunias monawileobiT.

20.03 (18.00) kinomsaxiobTa Teatris speqtqkli. uiliam Seqspiri "ჰამლეტი". damdgmeli reJisori - [illegible] [illegible].

21.03 (18.00) Teodor dostoevski "მარადი ქმარი" damdgmeli reJisori - Temur CxeiZe.

22.03 (18.00) mixeil bulgakovi "პილატე". damdgmeli reJisori - Temur CxeiZe.

*fasi 2-5 lari.*

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ადამიანი დროში



# ძალოსნობაში პრიზიორი 1928 წლიდან გვყოლია!

ამ მოკრძალებულ ჟურნალისტურ ნარკვევს თავისი ისტორია აქვს.

80-იანი წლების მეორე ნახევარში მასალებს ვაგროვებდი ქართული ძალოსნობის კოლორიტული ფიგურის, ოზურგეთელი არკადი აბაშმაძის – ქვემძიმე წონის ერთ-ერთი თვალსაჩინო ძალოსნის თაობაზე. ძალოსნობაში მოსკოვში გამოცემულ ტევად ცნობარში მოულოდნელად წავაწყდი ცნობას: 1928 წელი, სსრკ მე-8 პირად-გუნდური პირველობა, საშუალო წონა. გიორგი კოსტავა (ქუთაისი). საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორები საქართველოდან (მამია ქლენტი, არკადი აბაშმაძე) მხოლოდ თერთმეტი წლის შემდეგ მოგვევლინენ...

წერილი ა. აბაშმაძეზე 1987 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „თბილისში“. მანამდე მის შესახებ არაფერი დაბეჭდილა, გარდა ლაკონური სტრიქონებისა: „რეკორდები“, „საქართველოს ჩემპიონი“ და ა. შ. ახლა გრიგოლ (და არა გიორგი) კოსტავა „ამეკვიატა“. განა შეიძლება ქართული სპორტის ისტორიისათვის დაიკარგოს ძალოსანი, რომელიც პირველი ყოფილა საქართველოდან საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორთა შორის?

მივმართე პრესას – უშედეგოდ. მივმართე 1981 წელს გამოცემულ უნიკალურ ცნობარს „სპორტი საქართველოში“. სამწუხაროდ, მასში გრ. კოსტავა მხოლოდ საქართველოს რეკორდსმენთა შორის მოიხსენიება...

მკითხველი რომ არ გადავღალო, აქვე მოვჭრი: საჭირო მონაცემები გასული წლის ბოლოს დადგინდა მარლენ და გოგა ხაჭაპურიძეების მეშვეობით. დავუკავშირდი ქუთაისში მცხოვრებ პავლე კოსტავას, რომელმაც გამოჩენილი სპორტსმენის (და მეცნიერის) დისშვილის ქეთო ჩიქოვანის ტელეფონის ნომერი მომცა, ხოლო ქალბატონმა ქეთომ – გრიგოლ კოსტავას ერთადერთი შვილის – ქალბატონ თინათინის ოჯახს დამაკავშირა. როგორც თინათინმა, ასევე მისმა მეუღლემ – ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, გეოფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ ზურაბ კერესელიძემ, რომელიც სიმამრთან არა მარტო მამაშვილურ, არამედ მეგობრულ ურთიერთობაში გახლდათ, მეტად საინტერესო მოგონებები მომაწოდეს მათთან შემორჩენილ ფოტომასალასთან ერთად. დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს, აგრეთვე მ. საბაშვილის სახელობის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელებმა, მეცნიერების დოქტორებმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა, ინსტიტუტის დირექტორმა ოთარ ონიანმა, დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში გოგოლა მარგველაშვილმა და ბევრმა სხვამ. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ყველანი ნათესავი თუ კოლეგა, მოწაფე თუ უბრალოდ მისი საქმის მიმდევარი ან თაყვანისმცემელი მოუთმენლად ელოდებოდა იმ დღეს, როცა საქვეყნოდ გაცხადდებოდა გრიგოლ კოსტავას, ამ საინტერესო პიროვნების სახელი.

და აი, რამდენადაც და როგორც შევძელით, წარმოგიდგენთ თვითნაბად სპორტსმენს, რომელმაც მეკვლეს როლი შეასრულა სპორტულ მიღწევათა კვარცხლბეკზე ძალოსნობის ქართული სკოლის წარმოჩენაში.

როგორც მეცნიერს, ნიადაგმცოდნეობის სპეციალისტს, გრიგოლ კოსტავას მოიხსენებენ უმაღლესი რანგის სპეციალისტად, რომელმაც მშობლიური ქვეყნისთვის ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. ამაზე, ცხადია, ხმამაღლა და პირუთვნელად იტყვიან კოლეგები, იტყვიან პროფესიულად, საქმის ცოდნით – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ექვს ათეულზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორს, ორი საპატიო ნიშნის ორდენის კავალერს, პროფესორ გრიგოლ კოსტავას წლეულს სექტემბერში დაბადებიდან 100 წელი უსრულდება (გარდაიცვალა 83 წლის ასაკში, 1986 წლის 2 ოქტომბერს).

დაიბადა ქუთაისში, იქვე დაამთავრა ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა, მოწაფეობის წლებში გახდა პირველი ქართული სპორტული ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენის“ წევრი. გაიტაცა სპორტის ამ ულამაზესმა სახეობამ და სწრაფად მოიპოვა საუკეთესო ტანმოვარჯიშის სახელი.

გრიგოლ კოსტავას, ანუ როგორც ახლობლები ეძახდნენ, გრიშას ჭაბუკობიდანვე სპორტის არაერთი სახეობა იტაცებდა – სპორტული ტანვარჯიში, ძალოსნობა, ფეხბურთი, თხილამურები, ნიჩბოსნობა, ბილიარდი. ბავშვობიდან, თურმე, გამოირჩეოდა ფიზიკური ძალით. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ რამდენიმე ხანს ჭიათურის მაღაროებში მუშაობდა და მეშახტეები იხსენებდნენ, რომ გრიშა თავისი გამორჩეული ღონის წყალობით, 2-3 კაცის ნორმას თავისუფლად ასრულებდაო. კიდევ ერთი საინტერესო დეტალიც უნდა მოგახსენოთ: ქუთაისელებისთვის დედა მდინარე რიონია და ბიჭები რიონის პირად ჩადიოდნენ არა ოდენ საბანაოდ, არამედ... ქვების (გაიხსენეთ „საჯილდაო ქვა“) აწევაში პაექრობისთვის. ისევე როგორც ბასკებთან, ჩვენთანაც ბევრგან ხომ პოპულარულია შეჯიბრებები ქვის აწევაში, გადაადგილებაში და ა. შ. ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის ყოფილი მეცნიერ-თანამშრომლის იური ნებიერიძის სამეცნიერო ნაშრომის რეფერატულ ნაკვეთს გავეცანი და ამოვიკითხე, რომ ქვების აწევაში შეჯიბრებებს შორეული ისტორიული ფესვები აქვს, ყველაზე მეტად გავრცელებული ჩვენთან და ბასკებში, აგრეთვე კანადაში, შვეიცარიაში, აშშ-ში, არგენტინაში, ურუგვაიში...

რაც შეეხება ჩვენი ნარკვევის გმირს, მას ქვების აწევაში თანატოლებს შორის ბადალი არ ჰყოლია. ამ ძვალმსხილ, ღონიერ ყმაწვილს, თურმე, ვერავინ ჯობნიდა.

რა პოზიტიური გავლენა იქონია ყოველივე ამან სპორტში მის წარმატებებზე, ქვემოთ მოგახსენებთ.

1927 წელს გრიგოლ კოსტავა ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტს და მუშაობას იწყებს კოლხეთის დაბლობის ნიადაგური საფარის გამოკვლევებზე. „შეთავსებით“ აგრძელებს სპორტულ საქმიანობას. სწორედ ამ წლებს განეკუთვნება მისი უმაღლესი მიღწევა სპორტულ ასპარეზზე – მონაწილეობა 1928 წელს გამართულ ისეთ პრესტიჟულ სპორტულ ღონისძიებაში, როგორიც იყო საკავშირო სპარტაკიადა, სადაც საზღვარგარეთის ქვეყნებიც (გერმანია, საფრანგეთი, ფინეთი, ესტონეთი და სხვ.) იყვნენ მიწვეულნი. სპარტაკიადაზე გამგზავრებულ ამიერკავკასიის ძალოსანთა გუნდის შემადგენლობაში შვიდი სპორტსმენი შედიოდა საქართველოდან და სომხეთიდან.

გრიგოლ კოსტავა საშუალო წონაში ასპარეზობდა. ამ დროისთვის ის უკვე იყო საქართველოს რეკორდსმენი ატაცსა და აკვრაში. სხვათა შორის, 1927 წელს ერთხელაც მოსინჯა ძალები ნახევრადმძიმე წონით კატეგორიაში და თბილისელი ა. შირაის მიერ დამყარებული საქართველოს რეკორდი აკვრაში (120,03 კგ) გაიმეორა, მაგრამ მალე გრიშა თავის „მშობლიურ“ საშუალო წონას დაუბრუნდა და სწორედ მაშინ მოუხდა საკავშირო ასპარეზზე გამოსვლა.

სპარტაკიადაზე მან ხუთჭიდში (1936 წლამდე ასე იყო: ორი ხელით აჭიმვა, აკვრა, ატაცი და ცალი ხელით – აკვრა და ატაცი) 429,5 კგ აჩვენა და მესამე ადგილი დაიკავა. ცალკეული მოძრაობიდან ყველაზე მაღალი შედეგი გრიგოლს ურთულეს და უძნელეს მოძრაობაში – აჭიმვაში ჰქონდა. მან ხუთჭიდში გამარჯვებულ მოსკოველ დ. პოლიაკოვს ხუთი კილოგრამით აჯობა და ისეთივე შედეგი (90 კგ) დააფიქსირა, როგორც ხუთჭიდში მეორე ადგილზე გასულმა ნიჟნი ნოვგოროდულმა ნ. სოკოლოვმა.

ამიერკავკასიის ძალოსანთა გუნდმა სპარტაკიადაზე (ძალოსანთა შეჯიბრება სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა) მეოთხე ადგილი დაიკავა რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის კოლექტივების შემდეგ, მაგრამ უზბეკეთის, ესტონეთის, ფინეთის და სხვათა წინ. კავკასიელების ამ უდავო წარმატებაში, როგორც იტყვიან, ლომის წილი სწორედ გრიგოლ კოსტავამ დაიდო, რამდენადაც ამიერკავკასიის ძალოსანთაგან მხოლოდ ის გახდა პრიზიორი.

გულსატკენია, რომ გრიგოლ კოსტავამ შეუდარებლად ადრე დატოვა აქტიური სპორტი. არადა, მას უეჭველად შეეძლო გაცილებით მასშტაბური წარმატებით გაეგრძელებინა გამოსვლები ძალოსნურ ფიცარნაგზე. საილუსტრაციოდ, ალბათ, გამოდგება უშუალო მეტოქეების, ასაკით თითქმის თანატოლების დ. პოლიაკოვის და ნ. სოკოლოვის მაგალითი. მათ ხომ უკანასკნელად 1943 წლის ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა და არცთუ წარუმატებლად: სოკოლოვი მეორე იყო, პოლიაკოვი – მესამე.

ერთი სიტყვით, ნამდვილად ადრე წავიდა ფიცარნაგიდან დიდი პოტენციური მონაცემების მქონე ძალოსანი!

ორიოდე სიტყვა სპორტულ ტანვარჯიშზეც.

გრიგოლ კოსტავას ოჯახის წევრები იხსენებენ, რომ მას თავი უპირველესად ტანმოვარჯიშედ მიაჩნდა. უკვე მოხსენიებულ საკავშირო სპარტაკიადაზე, თითქოსდა, ტანმოვარჯიშეთა შორის გაუგზავნიათ, მაგრამ, სამწუხაროდ, დოკუმენტურ დასტურს, ჯერჯერობით, ვერ მივაკვლიეთ.

ახლა კი, ძვირფასო მკითხველო, ჭეშმარიტად სენსაციური ცნობა უნდა შემოგთავაზოთ.

ხომ გახსოვთ, 50-იანი წლების ცნობილი სომეხი ტანმოვარჯიშე ა. აზარიანი, რომელიც 1952-62 წლებში რვაჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი რგოლებზე ვარჯიშში ძირითადად, ე. წ. ჯვრის (კპეყი) უზადოდ შესრულების წყალობით.

და ოჯახის წევრთა გადმოცემით, პრიორიტეტი ამ ილეთის შესრულებაში, თურმე, ნარკვევის გმირს გრიგოლ კოსტავას ეკუთვნის.

ძიებას ვაგრძელებთ და ვინძლო ვიპოვოთ ფოტო, რომელზედ გრიგოლ კოსტავა გამოსახული ყოფილა სწორედ ამ ილეთის შესრულებისას.

ვიდრე ამ საგაზეთო მასალას დავამთავრებდე, გრიგოლ კოსტავას ერთ გამორჩეულ თვისებაზე უნდა მოგახსენოთ: თავმდაბლობა. დიახ, მას იცნობდნენ როგორც საქმეში გამოჩენილ და დარგში თავდადებულ, ნიჭიერ პროფესიონალს, იცოდნენ, რომ ახალგაზრდობაში სპორტით იყო გატაცებული, მაგრამ თუ იგი ძალოსნობაში საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი, საქართველოს რეკორდსმენი, ხოლო ტანვარჯიშში უძნელესი ილეთის შემსრულებელი იყო, ოჯახის წევრთა გარდა არავინ იცოდა, თვით ინსტიტუტშიაც კი, სადაც ათეულობით წელი გაატარა. აი, რა გვითხრა მისმა ასპირანტმა გია რამიშვილმა, რომელმაც ბატონი გრიგოლის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „თავის დარგში ითვლებოდა წამყვან სპეციალისტად, ერუდირებულ, კულტურულ, დარბაისელ, რუსული ენის ბრწყინვალედ მცოდნე, ძალიან თავმდაბალ პიროვნებად, მაგრამ მისგან არასოდეს სხვა არაფერი მომისმენია“.

დამეთანხმებით, დღევანდელ საქართველოში ასე მომრავლებული ნარცისების პირობებში მეტისმეტი თავმდაბლობა, ვშიშობ, ნონსენსად არ მოგეჩვენოთ.

და ბოლოს, რაკი საქართველოში ძალოსნობის ფუძემდებლად დამსახურებულად ითვლება გიორგი ჩიკვაიძე, რომელმაც ჯერ კიდევ სტუდენტმა 1915 წელს პირველმა საქართველოდან დაამყარა მსოფლიო რეკორდი (ცალი ხელით აკვრაში), დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ კოსტავამ სათავე დაუდო ძალოსნობის ქართული სკოლის მომავალ ტრიუმფულ სვლას, რასაც მოჰყვნენ საქართველოდან ოლიმპიური, მსოფლიო, ევროპის და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები.

**გიორგი მახარაძე.**





**სურათებზე: პროფესორი გრიგოლ კოსტავა – 1970 წელი; ძალოსანთა სექციაში – შტანგასთან მარცხნიდან მეორე გრიგოლ კოსტავა; ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ტრჟებონში ამხანაგური მატჩის წინ – მეკარე გრიგოლ კოსტავა.**

## მხოლოდ შედეგები

# ევროპული ჩემპიონატების ტაბლო

**იტალია.** „იუვენტუსი“ – „მოდენა“ 3:0, „რეჯინა“ – „მილანი“ 0:0.

**ესპანეთი.** „ვილიარეალი“ – „რეალი“ 0:1, „დეპორტივო“ – „რაიო ვალეკანო“ 2:0, „რასინგი“ – „სოსიედადი“ 1:2.

**ინგლისი.** „ასტონ ვილა“ – „მანჩესტერი“ 0:1, „ფულჰემი“ – „საუთჰემპტონი“ 2:2, „ევერტონი“ – „ვესტ ჰემი“ 0:0, „ლიდსი“ – „მიდლსბრო“ 2:3, „ბლექბერნი“ – „არსენალი“ 2:0, „ჩარლტონი“ – „ნიუკასლი“ 0:2, „სანდერლენდი“ – „ბოლტონი“ 0:2.

**გერმანია.** „ბოხუმი“ – „ბაიერნი“ 1:4, „ჰანზა“ – „ვერდერი“ 1:0, „ლევერკუზენი“ – „ვოლფსბურგი“ 1:1, „ბორუსია“ – „ჰანოვერი“ 2:0, „ჰამბურგი“ – „შალკე“ 3:1, „კოტბუსი“ – „კაიზერსლაუტერნი“ 1:3, „ბილეფელდი“ – „გლადბახი“ 4:1.

**პორტუგალია.** „აკადემიკა“ – „ბენფიკა“ 1:4.

**ჰოლანდია.** „ვიტესი“ – „ეინდჰოვენი“ 0:5, „როდა“ – „ბრედა“ 0:0, „გრააფსხაფი“ – „ვალვაიკი“ 2:4, „ჰერენვენი“ – „ტვენტე“ 3:0, „ზვოლე“ – „როზენდალი“ 1:1.

**ბელგია.** „ლოკერენი“ – „გენტი“ 5:1, „ბრიუგე“ „შარლერუა“ 1:2, „სენტ ტრუიდენი“ – „ანტვერპენი“ 1:0, „ლომელი“ – „მეხელენი“ 4:1, „ბევერენი“ – „გენკი“ 1:4.

**შოტლანდია.** „პარტიკი“ – „ჰიბერნიანი“ 0:1, „აბერდინი“ – „დანდი“ 3:3, „დანდი იუნაიტედი“ – „ლივინგსტონი“ 0:1.

**რუსეთი.** „ურალანი“ – „ლოკომოტივი“ 1:2 (ანგარიში მასპინძელმა **ზურაბ წიკლაურმა** გახსნა), „ტორპედო-მეტალურგი“ – „სპარტაკი“ 0:0 (ავტოქარხნელი **ალექსანდრე რეხვიაშვილი** მინდვრიდან გააძევეს), „კრილია“ – „როტორი“ 3:0, „ტორპედო“ – „როსტოვი“ 1:1, „ზენიტი“ – „სატურნი“ 2:1.

**ავსტრია.** „კერნტენი“ – „რაპიდი“ 1:0, „რიდი“ – „ბრეგენცი“ 1:3, „ზალცბურგი“ – „გრაცერი“ 1:1, „შტურმი“ – „ადმირა“ 2:1.

**შვეიცარია.** „თუნი“ – „ბაზელი“ 1:4, „ქსამაქსი“ – „ვილი“ 3:0, „არაუ“ – „ვადუცი“ 5:1.

**დანია.** „ბრონდბიუ“ – „ვიბორგი“ 2:1.

**ჩეხეთი.** „სლავია“ – „ტეპლიცე“ 3:1.

**საბერძნეთი.** „ქსანთი“ – „პანიონიოსი“ 0:1, „კალითეა“ – „პანახაიკი“ 3:1.

**თურქეთი.** „ისთანბული“ – „გალათასარაი“ 1:2, „ადანა“ – „დენიზლი“ 2:1, „ელაზიგი“ – „ფენერბახჩე“ 3:3, „სამსუნი“ – „ტრაბზონი“ 1:3.

**პოლონეთი.** „გროცლინი“ – „პოგონი“ 2:0, „ლეხი“ – „ოდრა“ 2:3, „გარბარნია“ – „ოსტროვეცი“ 3:1, „პლოცკი“ – „პოლონია“ 0:1, „ვიძევი“ – „კატოვიცე“ 2:0.

**საფრანგეთის თასის მეოთხედფინალი.** „მარტიგი“ – „პსჟ“ 0:1, „ბორდო“ – „ლორიანი“ 2:0, „შილინგეიმი“ – „რენი“ 1:2.

**გია პლატონიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

კრივი

# 7 სარტყელი, 6 ჩემპიონის გვარი... ანბანით!

**ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა მსოფლიოში სულ სამი კრივის ორგანიზაცია არსებობდა, ცხადია, თავისი ჩემპიონებითა და პრეტენდენტებით, მიმომხილველები სისტემატურად აკრიტიკებდნენ შექმნილ ვითარებას და მას ქაოსურს უწოდებდნენ. გასაგებია, ჩემპიონი ერთი უნდა იყოს, მაშინ კი სამი მძიმეწონოსანი ფლობდა ამ წოდებას. მაშ, რაღა ვთქვათ დღეს, როცა ასეთი ორგანიზაციების რიცხვი უკვე შვიდამდე გაიზარდა, აქედან ექვსს ჰყავს თავისი ჩემპიონი მძიმე წონაში, მეშვიდე კი მალე აპირებს მის გამოვლენას. როგორ გნებავთ, ამ რიცხვის ერთამდე შემცირება, თუმცა ამას საერთოდ არავინ აპირებს. „მრავალჩემპიონობა“ კი, უპირველეს ყოვლისა, მრავალ მატჩსა და დიდ შემოსავალს ნიშნავს.**

მაშ ასე, დღეისათვის მეტად პრესტიჟულ მძიმე წონაში პროფესიონალთა შორის მსოფლიო ჩემპიონები არიან (ანბანით!): კრის ბერდი (აშშ), გიორგი კანდელაკი (საქართველო), ლენოქს ლუისი (ინგლისი), ჟან-მარკ მორბეკი (საფრანგეთი), კორი სანდერსი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), როი ჯონსი (აშშ). ვიმეორებთ, კიდევ ერთი ვერსიით უძლიერესი ჯერაც არ არის გამოვლენილი. ამ ჩემპიონებს ემუქრებიან ოფიციალური პრეტენდენტები თუ მაღალი რეიტინგის მქონენი – ერთი სიტყვით, მდგომარეობა ბუნდოვანია და რთული.

ჩვენს გულშემატკივრებს, გასაგებია, ყველაზე მეტად გიორგი კანდელაკის მომავალი შეხვედრები აინტერესებთ. თვალის მცირე ტრავმის გამო მან გადადო უახლოესი ბრძოლა, რომელიც 22 მარტისთვის ლონდონში იყო დანიშნული. ერთი რამ, ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად ცნობილია: ოქტომბერში თბილისის სპორტის სასახლეში იგი დაიცავს თავის წოდებას იმავე პეტერბურგელ ალექსანდრე ვასილიევთან, რომელთან შეხვედრაშიც მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა.

ამ უმაღლესი წოდების მფლობელთაგან ყველაზე დიდი სახელი და ავტორიტეტი, ცხადია, ლენოქს ლუისს აქვს. ზოგი ცნობით, ლუისი საერთოდ აღარ აპირებს რინგზე გამოსვლას, თუმცა არც ისე დიდი ხნის წინათ გააფორმა კონტრაქტი ვიტალი კლიჩკოსთან. ამ მატჩს ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. პირველ რიგში, ეს არის WBC-ს პრეზიდენტი ხოსე სულეიმანი, რომელმაც განაცხადა, რომ ვიტალი კლიჩკო არასოდეს ითვლებოდა მსოფლიო ჩემპონობის ოფიციალურ პრეტენდენტად და ამიტომაც უნდა მოიცადოს. ცნობილი პრომოუტერი დონ კინგი კი აცხადებს, რომ ვიტალი კლიჩკოს არა აქვს ლუისთან შეხვედრის უფლება სულ სხვა ამბის გამო – მან არ შეიტანა საპრეტენდენტო გადასახადი ლარი დონალდთან პაექრობის წინ. მთავარი კი, რა თქმა უნდა, მაინც ლენოქს ლუისის ფაქტობრივი უარია, რომელსაც კლიჩკოსთან შეხვედრას მაინც მაიკ ტაისონთან შერკინება ერჩევნია. ტაისონი შარშან კი დაამარცხა, მაგრამ მატჩ-რევანში დიდ ინტერესს იწვევს, თანაც ორგანიზატორებს უზარმაზარი შემოსავლის იმედი აქვთ.

როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ექვსი ჩემპიონიდან თავის წოდებას დიდხანს ვერ შეინარჩუნებენ ვერც კრის ბერდი და ვერც 37 წლის კორი სანდერსი, თუმცა მან სენსაციური გამარჯვება (ნოკაუტი მეორე რაუნდში, ორი ნოკდაუნი – პირველში) იზეიმა ვლადიმირ კლიჩკოსთან. როგორც მოგეხსენებათ, უმცროს კლიჩკოსაც ჰქონდა ლუისთან შეხვედრის პრეტენზია, ახლა კი, ასეთი სასტიკი მარცხის შემდეგ, ამაზე, ცხადია, ვერც იოცნებებს.

WBA-ს ჩემპიონი ჟან-მარკ მორმეკი ჩვენი გულშემატკივრებისთვის ნაკლებად არის ცნობილი, მაგრამ ექსპერტების ნდობით სარგებლობს. ამას წინათ იგი ლას-ვეგასში შეხვდა უკრაინელ პრეტენდენტ ალექსანდრ გუროვს. მერვე რაუნდის დასაწყისში ფრანგმა, რომელსაც მთელი დარბაზი უსტვენდა და უკიჟინებდა (საფრანგეთის პოზიციის გამო ერაყის საკითხში!) მეტოქეს 8 დარტყმა მიაყენა და მსაჯმაც ტექნიკური ნოკაუტი აღნიშნა. პრეტენდენტმა გუროვმა გულწრფელად აღიარა მორმეკის სრული უპირატესობა.

რაც შეეხება მძიმეწონოსან ჩემპიონთაგან ყველაზე „მჩატე“ როი ჯონსს, რომელსაც თვით მაიკ ტაისონი თანამედროვეობის ყველაზე ძლიერ მოკრივედ თვლის (48 მოგება, არცერთი წაგება), იგი საერთოდ არ აპირებს მძიმეწონოსანთა შორის დარჩენას და აცხადებს, რომ ამ ერთხელ მოსინჯა ძალა და მასზე 15 კგ-ით მძიმე ჯონ რუისისაგან არაფერი დატოვა.

მაშ ასე, 6 მსოფლიო ჩემპიონი! იტყვის ვინმე, ვინ არის მათ შორის უძლიერესი?!

**გივი თორელი.**



გიორგი კანდელაკი.





ლენოქს ლუისი.

სანთელი

# გვახსოვხარ, „კიკიჩ“



**მამუკა გომართელი 1987 წლის ზაფხულში გავიცანი. რუსეთის ძველ და ახალ დედაქალაქებში გატარებული ერთი თვე საკმარისი აღმოჩნდა, მთელი სიგრძე-სიგანით რომ შეგვეცნო სულიერი და ფიზიკური ხიბლით დაჯილდოებული ვაჟკაცის ღირსებანი და ჩვენი საძმოს კოლორიტად ჩაგვერიცხა. სამწუხაროდ, ჩვენი ახლობლობა ხანმოკლე აღმოჩნდა – „კიკიჩა“ 29 წლისა სამუდამოდ დაგვემშვიდობა...**

**მას შემდეგ არაერთხელ დავფიქრებულვარ – მაინც, რითი ახერხებდა ჩვენი უმცროსი მეგობარი თავის ირგვლივ ისეთი აურის შექმნას, სადაც ყველა ცდილობდა დამკვიდრებას. ოჯახიშვილობით? – კი, ბატონო. ვერის უბნელობით? – რასაკვირველია. ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ერთ შტრიხს გავუსვამ ხაზს – მამუკა პრაქტიკულად ადასტურებდა, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია – იგი სპორტსმენი გახლდათ.**

**სპორტსაზოგადოება „დინამოში“ დაოსტატებულმა რესპუბლიკის ნაკრების წევრმა ათჯერ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა ცურვაში. დაგვეთანხმებით, საამაყოდ ესეც ეყოფა მის ერთადერთ სიხარულს – მიშიკოს, მაგრამ მან ისიც უნდა იცოდეს (და დარწმუნებული ვარ, უკვე იცის კიდეც), რომ მამამისი მოყვასთან ურთიერთობაშიც ჩემპიონი იყო. ეს მოგვიანებით, შპს „მორკინალში“ საქმიანობის დროსაც დამტკიცდა, სადაც დღესაც დიდი სიყვარულით იგონებენ მამუკა გომართელს, ისევე, როგორც „გეპეიში“, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.**

**დღეს „კიკიჩას“ 37 წელი შეუსრულდებოდა...**

**გია პლატონიშვილი.**

ინტეგრაცია

# ხელი მოვაწერეთ დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის კოდექსს

**დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს შორის მხოლოდ საქართველომ და რუსეთმა მოაწერეს ხელი დანიაში კოდექსს, რომელიც შეიმუშავა დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის სააგენტოთა კონგრესმა.** კოდექსში ასახულია, აგრეთვე, დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით საწვრთნელი პროცესის მიმართულებები, რომლებიც საჭიროა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიისათვის, გარდა ამისა, სპორტსმენებისა და გულშემატკივართათვის საჭირბოროტო საკითხები. მაგრამ, როგორც პრესკონფერენციაზე განაცხადა საქართველოს ოლიმპიური ნაკრების მთავარმა ექიმმა, ქვეყანაში ჯერჯერობით არ არის დოპინგ-ლაბორატორიები და შეუძლებელია შესაბამისი ანალიზის განხორციელება. ამიტომ მას სპორტსმენებისა და მწვრთნელების თვითშეგნების იმედი აქვს.

კოპენჰაგენში გამართულ დოპინგის წინააღმდეგ მებრძოლ სააგენტოთა კონგრესზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ აღნიშნა, რომ თუ რომელიმე ქვეყანა უარს იტყვის კოდექსის ხელმოწერაზე, ეს ნიშნავს მის ჩამოშორებას ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობისაგან.

**საქინფორმი.**

მსოფლიო შტრიხებში

## ყოჩაღ, ბებია!

**ნორვეგიელმა პოლიციელებმა დააკავეს 94 წლის ქალი, რომელიც ქუჩაში მირბოდა. მათ ეგონათ, რომ ის მოხუცებულთა თავშესაფრიდან იყო გამოქცეული.**

ქალაქ ბერგენის წესრიგის დამცველებმა ძლივს დაიჯერეს, რომ მხცოვან ქალს ასეთი სწრაფი სირბილი შეეძლო და თანაც თავისი სიამოვნებისათვის დარბოდა.





„მე მათ ვუთხარი, რომ ყველაფერი წესრიგში მაქვს – თავიც და ფეხებიც, პოლიციელები დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად იმ მისამართზე ვცხოვრობ, რაც დავუსახელე. შემდეგ კი სირბილი გავაგრძელე“, – განუცხადა ადგილობრივ რადიოს სინგრედ კრონ დე ლანტემ.

ყოჩაღ, ბებია!

## მიდი, კიდევ იცეკვე!

**კარნავალი ბრაზილიელისათვის ყველაზე დიდი დღესასწაულია. ბრაზილიელი ცხრა მთას იქითაც რომ იყოს გადახვეწილი, მარტის დღეებში მაინც აუწყობს ფეხს რიოდე-ჟანეიროს რიტმებს.**

თუმც ეს სულაც არ ანაღლებს ბერლინის „ჰერტას“ ხელმძღვანელობას, მან შეღავათიც კი არ გაუწია თავიანთ ბრაზილიელ ნახევარმცველს მარსელინიუს, რომელსაც უეფას თასზე „პორტუსთან“ და ქვეყნის ჩემპიონატზე „ჰამბურგთან“ დამარცხებები კი არ უგლოვია, არამედ მატჩების შემდეგ მთელი ღამეები ბერლინის ღამის ბარ-რესტორნებში ცეკვავდა.

„აღმაშფოთებელია, – განაცხადა კლუბის მენეჯერმა დიტერ ჰენსენმა, – მე და ჰუბორ სტევენსონს (მწვრთნელია. **რედ.**) დილის 6 საათამდე არ გვეძინა, – გუნდის ბედზე ვმსჯელობდით. მარსელინიუ კი ამ დროს ცეკვავდა! მას ცუდი მრჩევლები ჰყავს. ამ ეგრეთ წოდებულ მეგობრებთან მას ყველაფერი ავიწყდება. მაგრამ არა უშავს – ჩვენ მის აგენტს მოველაპარაკებით და სწორ გზაზე დავაყენებთ!“

არ ვიცით, კიდევ რას უპირებენ აცეკვებულ ფეხბურთელს, იმ ორი ღამისთვის კი ის 20 ათასი ევროთი დააჯარიმეს.

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## დიპლომირებული სპეციალისტი



1

**ათლეტიზმში ძირითადად ყოფილი ძალოსნები, მოჭიდავეები და სპორტის სხვა ძალისმიერ სახეობათა წარმომადგენლები ვარჯიშობენ. აღარაფერს ვამბობთ მათზე, ვინც უშუალოდ ათლეტიზმით დაიწყო ვარჯიში. რაც შეეხება მწვრთნელებს, მათ შორის ჯერჯერობით ცოტანი არიან საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის კურსდამთავრებულები. ერთ-ერთი გამონაკლისი გახლავთ წარსულში ცნობილი კულტურისტის არტემ ნიკოგოსოვის ვაჟი გრიგოლ ნიკოგოსოვი (დაიბადა 1980 წელს). ათლეტიზმს მისდევს გრიგოლის ძმა – ალექსანდრეც.**

ამჟამად გრიგოლ ნიკოგოსოვი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოყვარულ ათლეტებს ავარჯიშებს. მისი სიმაღლეა 171 სმ, წონა – 108 კგ, ბიცეპსების გარშემოწერილობა – 54 სმ, მკერდის პერიმეტრი – 135 სმ.

გთავაზობთ ბიცეპსების (მხრის ორთავა კუნთების) ვარჯიშებს გრიგოლ ნიკოგოსოვის შესრულებით:

**1. ბიცეპსების ვარჯიში ტრენაჟორზე, ბლოკის სახელურის ამოქაჩვით ჯერ ერთი, შემდეგ მეორე ხელისათვის (სულ. 1).** თითოეული ხელისათვის სრულდება 6-6 მისვლა 12-12 გამეორებით.

**2. იგივე ვარჯიში იდაყვის მუხლზე დაყრდნობით (სურ. 2).** თითოეული ხელისათვის სრულდება 6-6 მისვლა 10-10 გამეორებით.

**3. ორმაგი ბიცეპსი ბლოკის სახელურების ქვემოდან ამოქაჩვით (სურ. 3).** სრულდება 4 მისვლა 10-10 გამეორებით.

**4. იგივე ვარჯიში ბლოკის სახელურების ზემოდან დაქაჩვით (სურ. 4).** სრულდება 4 მისვლა 10-10 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

**გენადი სანაიას ფოტო.**



2



3



4

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ალბომი

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ცურვაში, აწ გარდაცვლილი მამუკა გომართელი ვაჟთან — მიშიკოსთან ერთად. 1991 წელი.
17 მარტი მამუკა გომართელის დაბადების დღეა.

ფოტო მოგვაწოდა გოჩა რობაქიძემ.

მოდა

## მაქსმარა – იდეალური ქალებისათვის...

იტალიელი აკილე მარამოტი სამოღვაწეო ასპარეზზე 50-იან წლებში გამოვიდა. მან თავდაპირველად სამოდელო-სამკერვალო სკოლა დააარსა და აქედანვე ქალის ტანსაცმლის შექმნისას, უმთავრესად, მისი ფიგურაზე მორგება მიიჩნია. სწორედ ამან განაპირობა ფირმა მაქსმარას ორიგინალობისა და უდიდესი წარმატების საიდუმლო. აღსანიშნავია ისიც, რომ მარამოტის ესკიზებითა და თარგებით შექმნილი ტანსაცმელი მხოლოდ იდეალური ფორმისა და სხეულის ქალებისთვის იქმნებოდა. იგი ძირითადად პალტოებს, საქმიან ჟაკეტებსა და პიჯაკებს კერავდა, რომლებსაც ყოველთვის უამრავი მოდის მოყვარული მომხმარებელი ჰყავდა.

მაქსმარას წყალობით იტალიურმა მოდამ ევროპაში უდიდეს წარმატებას მიაღწია, უფრო მეტიც, მან მოდის კანონმდებელ ქვეყანას – საფრანგეთსაც კი გაუსწრო...

მაღალი მოდის სამყაროში იდეალური ფორმისა და სხეულის ეგრეთ წოდებული „მაქსმარას ქალი“ ერთსულოვნად აღიარეს, მასთან მიახლოებასა და მსგავსებაზე ყოველი მოდის მიმდევარი ოცნებობდა.

მას შემდეგ, რაც მაქსმარამ უდიდესი პოპულარობა მოიპოვა, მისი მსგავსი კოლექციები შექმნეს და მას მიბაძეს ცნობილმა დიზაინერებმა: ანა-მარია ბერეტამ, სოპრანიმ, ემანუელ კანიმ, კარლ დაგერფილდმა და სხვებმა.

დროისა და მოდის ცვალებადობის მიუხედავად, მაქსმარა ტრადიციას ყოველთვის ინარჩუნებს და „მის ქალად“ კვლავ ის ითვლება, ვისაც ლამაზი და იდეალური სხეული აქვს...

დღეისთვის მაქსმარა მაღალი მოდის სამყაროში ერთ-ერთ უდიდეს და უძლიერეს ფირმად არის აღიარებული, ხოლო მისი დამაარსებელი აკილე მარამოტი კი — ღირსეულ და ელიტურ დიზაინერად.

და ბოლოს, აკილე მარამოტიმ ფირმის სახელწოდება თვითონვე შეარჩია — მან მოიგონა ჯადოსნური სიტყვა მაქსი და მისი გვარის დასაწყისს — მარას წინ დაურთო. დიზაინერის აზრით, მაქსმარა ყველა ენაზე ლამაზად და მიმზიდველად გამოითქმის.

ლელა დონაძე.



სურათზე: მაქსმარას ერთ-ერთი საგაზაფხულო მოდელი.

გახსენება

## ტკივილიანი სიცარიელე



სპორტული ტელეჟურნალისტის ზაზა ბიწაძის მოულოდნელმა სიკვდილმა ტკივილიანი სიცარიელე დატოვა ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის, კოლეგებისთვის.

ზაზა ბიწაძე — უსამართლობასთან მუდამ შეურიგებელი, მთელი ცხოვრება ჩახმახივით ფეხზე შემდგარი, სიკვდილთან დამარცხებული აღმოჩნდა. ალბათ, იმიტომ, რომ არც მას უფიქრია სიკვდილზე, არც ჩვენ გვიფიქრია მის სიკვდილზე. სიკვდილი მას ჩუმად, ფეხაკრეფით, ქურდულად მიეპარა, თორემ ხელში იარაღმომარჯვებული (მეორე დღისათვის სანადიროდ წასასვლელად იარაღს ამზადებდა) თავად დაასწრებდა და თავს მოიკლავდა — იმდენად ვერ ეგუებოდა დაჯაბნას...

და თუ ადამიანის ყველაზე დიდი სილამაზე სიმართლისათვის მისწრაფებაა და სიმართლის სიყვარულია, იგი მშვენიერი იყო თავის სამყაროში...

ვისაც გვიყვარდა, გვიყვარდა ასეთი შეუპოვარი მართალი და უიღბლო. სწორედ ამ ხასიათის გამო გვეიმედებოდა ზაზა ბიწაძის ყოფნა ამ წუთისოფელში.

პროფესორის ვაჟიშვილი, ინტელიგენციის დიდი გვარის შთამომავალი, საამაყო ძმითა და დით, მათი შვილებისა და შვილიშვილების სათუთი ბიძა „ქუჩის ბიჭობას“ იბრალებდა და ამით თითქოს პროტესტს უცხადებდა არსებულ გარემოს.

მორიდებული იყო. გულჩვილიც, მაგრამ შეუვალი, მკაცრი კაცის ნიღაბს ირგებდა. მათხოვარი ქალისათვის ერჩია იების კონა ეყიდა, ხურდას ვერ ჰკადრებდა.

ძალიან წიგნიერი იყო, მრავალმხრივ განათლებული, მაგრამ თავისი ინტელექტით არავის აბრუებდა.

ზაზა ბიწაძეს თითოეული ჩვენგანი გამოუთქმელად, თავისებურად ვუყვარდით, მისთვის სამშობლოს სიყვარული თითოეული ჩვენგანის სიყვარული იყო. მას მოზომილი ბედნიერებით არ შეეძლო ცხოვრება და ძალიან ადრე იმიტომ გაგვეცალა, რომ ერთხელ კიდევ დავფიქრებულიყავით, რაოდენ საჭირონი არიან ასეთი ადამიანები დღეს ჩვენთვის.

კოლეგების და მეგობრების, ახლობლების სახელით

დოდო იორდანიშვილი.

---

მამა ირაკლი ჯავაშვილი, მეუღლე ხათუნა ჩხაიძე-ჯავაშვილისა, შვილი ერეკლე, და ქეთინო, სიძე თამაზ ხურცილავა, დეიდები, ბიძები, მამიდები, დეიდაშვილ-მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ნიკო (ნიკოლოზ) ირაკლის ძე ჯავაშვილის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა დ. ფასანაურში, რუსთაველის 62, 18 III, 2 სთ.

---



შვილები დათო, ლევან ზოდელავები, რძალი ეკო კეჭაყმაძე, შვილიშვილები დათუნა, ქეთი, გიგი ზოდელავები, ძმისწულები თამრიკო, მარინა, ბესო, დავით, ზურაბ სიხარულიძეები, დეიდაშვილი ლიანა ჩიქოვანი, ბიძაშვილები ნიკო, მანანა ავაზაშვილები, მაზლიშვილები მარინა, ეკა ზოდელავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქეთევან დავითის ასული სიხარულიძე-ზოდელავა.

პანაშვიდი 18, 19 III, 5 სთ. გამოსვენება 20 III, 3 სთ. მისამართი — ჭავჭავაძის 54ა.

---



მეუღლე ვლადიმერ (შოთა) შოთაძე, შვილები ელგუჯა, მერაბი, ზურაბი, რძლები ნანა ნემსაძე, ნანა ცერცვაძე, ქეთინო დარჩია, ეთერ ზაპერტოვა, ნინო ბუხრაძე, შვილიშვილები გიორგი, ნინო, ანი, ირაკლი, ლევანი, მამუკა შოთაძეები, შვილთაშვილები სანდრო, ანანო, სანდრო, ძმისწულები ნონა, მიხეილ ხომერიკები ოჯახებით, სიძეები მანუჩარ კასრაძე, ოთარ თავართქილაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ (მერი) მიხეილის ასული ხომერიკი-შოთაძე.

პანაშვიდი 18, 19 III, გამოსვენება 20 III, 2 სთ. მისამართი — დიდი დიღომი, III მ/რ. 36 კორპ.

---

გახსენება

## ბორის ინასარიძე



დღეს დაბადებიდან სამოცდაათი წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ ქართველ ინჟინერ-ჰიდრომშენებელს, საქართველოს ჭეშმარიტ პატრიოტსა და დიდ მამულიშვილს ბორის იაკინთეს ძე ინასარიძეს, რომელმაც უკვე ცხრა წელია უდროოდ დატოვა ეს არეულ-დარეული წუთისოფელი.

ბორის ინასარიძე დაიბადა ქ. თბილისში 1933 წლის 17 მარტს. თბილისის მე-11 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო აგრარული უნივერსიტეტის ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტზე. ჯერ კიდევ სტუდენტმა დაიწყო მუშაობა ინსტიტუტ „საქწყალპროექტში“.

ბორის ინასარიძემ სახელოვანი გზა განვლო რიგითი ინჟინრიდან გამოჩენილ ინჟინერ-ჰიდრომშენებლამდე. იგი იყო სამშენებლო სამმართველოს უფროსი საგარეჯოში, თელავში, სამაჩაბლოში, სადაც დააწინაურეს ყოფილი სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

შემდეგ ბორის ინასარიძე იყო ქალაქ ფოთში მდებარე უდიდესი სამშენებლო ტრესტის „კოლხიდმშენის“ მმართველი, „საქმთავარწყალმშენის“ უფროსის მოადგილე, რესპუბლიკური გაერთიანება „საქმთავარსოფლწყალსადენის“ თავმჯდომარე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა კულტურის, ჯანმრთელობის, განათლების, სპორტის მრავალი ობიექტი, გაყვანილი იქნა ასობით არხი, დაშრობილი — ათასობით ჰექტარი მიწა. ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა ხუთი ორდენი და სხვა მაღალი ჯილდო, მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული ინჟინრის, აგრეთვე დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდებები, იყო საოლქო და საქალაქო საბჭოების მრავალი მოწვევის დეპუტატი.

ამ ვრცელი და მშრალი ბიოგრაფიული მონაცემების უკან იდგა დიდი პატრიოტი, მეგობრის სული და გული, ყველას მხარში მდგომი, ლხინისა და ჭირის გამზიარებელი, გამოჩენილი და ყველაფრით გამორჩეული, სიკეთითა და კეთილშობილებით სავსე პიროვნება.

ის იყო ცხოვრებაში ერთგულების და კაცური კაცობის პრინციპების დამამკვიდრებელი, წლების მანძილზე უღალატოდ და უშეცდომოდ მცხოვრები, თბილი და გულჩვილი, უშიშარი და შეუდრეკელი, ოჯახის, შვილებისა და შვილიშვილების, ახლობლებისა და მეგობრების უსაზღვროდ მოყვარული ადამიანი.

მისი რკინისებური ჯანმრთელობა უდროოდ გატეხა საყვარელი ქალიშვილის მეუღლის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლის, 26 წლის კოკა კლდიაშვილის აფხაზეთში გმირულად დაღუპვამ.

განვლილი ცხრა წლის მანძილზე ბორის ინასარიძე არავის დავიწყებია და მომავალშიაც ასე იქნება. მის მაღალ სახელსა და საქმეს დავიწყება არ უწერია.

ნუგზარ წერეთელი, ზურაბ წერეთელი, გეიდარ ფალავანდიშვილი, გურამ გეგეშიძე, ნოდარ ზედელაშვილი, ნოდარ ცხვირავაშვილი, ოთარ მენაბდე, ზაურ კვირკველია, გელა ქვათაძე, დემნა რჩეულიშვილი, ტარიელ ჩიგოგიძე, გოგი შალამბერიძე, თენგიზ სხირტლაძე, რაჟდენ კიკილაშვილი, ვლადიმერ ცინცაძე, რომან პირტახია, ნოდარ გელაშვილი, გურამ ღლონტი, თამაზ კერესელიძე, ოთარ ჩხაიძე, ჯონდო ბალდავაძე, ამირან გაწერელია, ანზორ გრიგოლია, გოლიათ ლაკერბაია, გურამ ხაინდრავა.

---

ლევან, თამრიკო, ირინა და დათო კლიმიაშვილები, ქეთევან გარსიაშვილი, თეა ქუთათელაძე იუწყებიან

ნანა ციციშვილი-ჯანტურიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ გელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსლან რუსია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge